ბიბლიოთეკა


# ლელო

№048 (12 424) **28** თებერვალი ხუთშაბათი 2008
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი


ყაზბეგი ეროვნული ბიბლიოთეკა



## დევდარიანი კონკრეტული იდეით მოდის

35 წლის ნიჭიერი სპეციალისტი 16-წლამდელთა ნაკრებს უთავკაცებს 3

## კაპიტანს კაპიტანმა უპასუხა

სერია A. ტექნიკური შედეგები 6

### ძანეტის გოლმა ინტერს 9-ქულიანი ჰანდიკაპი შეუნარჩუნა

გუშინ, შუა კვირის იტალიური ტურის 9 შეხვედრა გაიმართა. მატჩთა მატჩი შედგა "სან სიროზე", სადაც "რომას" უნდა დაემტკიცებინა, რომ სკუდეტოსთვის ბრძოლის ძალა შესწევს. **ლუჩანო სპალეტის** ბიჭებმა ეს მხოლოდ ნაწილობრივ მოახერხეს. არადა, ახლოს იყვნენ მიზანთან: მატჩის დასრულებამდე 3 წუთით ადრე "ჯალოროსი" 1:0-ს იგებდა. პირველი ტაიმის ბოლოს **ტოტიმ ტადეის** ჩაწოდებით ისარგებლა და ახლო მანძილიდან ბურთს შეუჩერებლივ დასცხო. შეხვედრის უკანასკნელი გოლიც კაპიტნისა იყო. ამჯერად, **ძანეტიმ** იყოჩაღა: ორი რომაელის გარემოცვაში მაინც მოძებნა ბზარი და საჯარიმოს ხაზიდან **დონი** უძლური დატოვა - 1:1. კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ "ინტერი" კალაპოტიდანაა ამოვარდნილი. ამიტომ, "რომასთვის" ფრე ორმაგად საწყენია. ინტრიგის გასამძაფრებლად რეალური შანსი დაიკარგა...

გუშინვე, **კახა კალაძის** გარეშე მოთამაშე "მილანმა" "კატანიასთან" გასვლით მატჩში ფრეზე მეტს ვერ მიაღწია...





## ჯანზე ვარ და ჩემი დროც დაბრუნდება!

გიორგი ლომაია დროებით საქართველოში ითამაშებს 2

კრივი. სალიცენზიო ტურნირი

## პესკარა უკვე მორჩა, არის კიდევ ერთი შანსი




## საქართველოს საჭადრაკო ჩემპიონატი სკანდალით გაიხსნა 12

## რა დევს შავ ყუთში

ირაკლი ბერიაშვილის თვალსაზრისი 3

გახსენი...
# ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

# ჯანზე ვარ და ჩემი დროც დაბრუნდება!

## გიორგი ლომაია დროებით საქართველოში ითამაშებს



**ორიოდე დღის წინათ "ლელომ" ინტერნეტ-გაზეთის ინფორმაციაზე დაყრდნობით დაწერა, რომ საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობისგან ათვალწუნებული მეკარე გიორგი ლომაია სამკურნალოდ გერმანიაში იმყოფებოდა.**

**გუშინ თავად გიორგი დაგვიკავშირდა და ინფორმაცია უარყო:**

- გერმანიაში ვერ წავიდოდი, იქ არავინ მიწვევს და სამკურნალოც არაფერი მჭირს.

**- აბა, საიდან მოიტანეს, რომ მკურნალობ? თანაც, გერმანელი ექიმის კონკრეტული გვარიც დაასახელეს...**

- წარმოდგენა არ მაქვს, დასამალი რაა, ტრავმა რომ მქონდეს, ვიტყოდი კიდეც. გერმანიაში კარგა ხანია არ ვყოფილვარ, ვიზაც არ მაქვს.

**- უგუნდოდ დარჩენილი ახლა სად ვარჯიშობ?**

- ისევ "ვიტ ჯორჯიაში" და მინდა კლუბის ხელმძღვანელობას მადლობა ვუთხრა, ასეთ დროს გვერდში რომ დამიდგა. ვვარჯიშობ, ჯანზეც ვარ და თამაშის ხასიათზეც. მოკლედ, არ დაიჯეროთ, რომ ლომაიას ტრავმა აწუხებს.

**- სად გააგრძელებ კარიერას?**

- ეს ჯერ არ ვიცი, არის რაღაც შემოთავაზებები, მაგრამ კონკრეტული წინადადება არაა.

*საქართველოს პირველი მეკარის კარიერა იტალიასთან მატჩის შემდეგ აირია. პირლოს საჯარიმო დარტყმის შემდეგ, გიორგიმ ბავშვური ბურთი გაუშვა და შეხვედრა საქართველომ 0:1 წააგო. რა Qთქმა უნდა, გიორგი უხეშად შეცდა, მაგრამ კიდევ უფრო ალმაშფოთებელი იყო ის, რაცა ამას მოყვა - გიორგი ნაკრებიდან გააგდეს, მისი ადგილი აღარააო.*

*არადა უარესებიც გაგვიგია: ლევ იაშინს ლენინგრადის "დინამოს" მკარემ თავისი საჯარიმოდან გაუტანა, ინგლისის ნაკრებისა და "ლივერპულის" კიპერმა კლემენსმა ცენტრიდან გაუშვა, არგენტინელმა გოეკოეჩეამ მსოფლიო ჩემპიონატზე 45 მეტრიდან დარტყმული ვერ აილო...*

*ოთარ გაბელია იხსენებდა რინატ დასაევი კარიერის დასაწყისში რომ გამოჩნდა, გვეცინებოდა, ისეთ შეცდომებს უშვებდა, მაგრამ კონსტანტინე ბესკოვი ენდო და გაიზარდაო.*

*მათ შეცდომები აპატიეს, რადგან იცოდნენ, მსგავსი შეცდომისგან არც ერთი მეკარე დაზღვეული არ იყო.*

*ეს საქართველოშია - არანაირი დანდობა, ყველა, ვინც შეცდება, ავტომატურად, წარსულში უნდა დარჩეს. არც ერთ ქართველ მეკარეს ნდობა არ ალირსეს და გაზრდა არ დასცალდათ - ნიკა ჩხეიძეს, კაკო დევაძეს, ირაკლი ზოიძეს, დათო გვარამაძეს, ნიკა ტოგონიძეს. ახლა კი ვამბობთ, მეკარე არ გვყავსო.*

*ხშირად გვსმენია, აბა, რაღა დროს ლომაიააო, თითქოს, ნაკრების დღევანდელი მეკარეებიდან რომელიმე სჯობდეს. თანაც, გაითვალისწინეთ, საუბარია 28 წლის მეკარეზე, რაც მისი ამპლუისთვის საუკეთესოდ ითვლება.*

*ამბობენ, ჩამომხრჩვალის ოჯახში თოკს არ ახსენებენო. დაახლოებით ასეთი ვითარებაა, როდესაც ლომაიას იტალიის ნაკრებთან გასვლით შეხვედრაზე სიტყვას ჩამოუგდებ.*

*და მაინც, იტალიასთან წაგების შემდგომ მოვლენებზე გიორგისთან გასაუბრება საჭიროდ ჩავთვალეთ.*

**- გიორგი, მაშინ უგუნდო, უთამაშებელი იყავი და ხომ შეგეძლო ტოპმიოლერისთვის გეთქვა, ასეთ მდგომარეობაში თამაში სარიკო არისო?**

- მეც კარგად ვიცი, რომ უგუნდო და უთამაშებელი იტალიასთან არ უნდა მეთამაშა, მაგრამ მაშინ ისეთი მგდომარეობა იყო, რომ ტოპმიოლერს ვერ ვთხოვდი, არ მათამაშო-მეთქი.

**- რატომ?**

- ამის თხოვნა ღალატი იქნებოდა. იტალიაში მეორე მეკარედ გიორგი მაკარიძე წამოიყვანეს, რომელიც ჩემსავით უთამაშებელი იყო, "დინამოს" სათადარიგოებში იდგა და რაც მთავარია, გამოუცდელი ბავშვი გახლავთ.

მითხრეს, ძირითადში ვითამაშებდი და მეც არაფერი მითქვამს, უარი ღალატი არ იქნებოდა? სამწუხაროდ, მოხდა ის, რაც მოხდა.

**- ჩვენ უფრო ის გვაინტერესებს, ამის შემდეგ გაკეთებულ კომენტარებზე როგორი რეაქცია გქონდა?**

- ფაქტია, რომ კარგი არ მექნებოდა. კარგად მესმის, რომ პირლოს გოლი ჩემი ბრალი იყო. ამას რა აღიარება უნდა, ისედაც ვხვდები და მაშინ ძალიან განვიცადე, მაგრამ...

**- გულგატეხილობა გეტყობა...**

- არაფერია, მჯერა, მალე ჩემი დრო მოვა. რაც არ უნდა მლანძღონ, მეკარისთვის 28 წელი საუკეთესო ასაკია და ხელი არ ჩამიქნევია. მადლობის მეტი რა მეთქმის დათო გვარამაძისადმი, რომელმაც "ლელოსთან" ინტერვიუში ჩემზე კარგად ისაუბრა, ძალიან გამახარა და გამამხნევა. მან ყველაზე მეტად იცის ჩემი სატკივარი, რადგან თავადაც მსგავსი უნდობლობით მოკლეს და კარიერა ნაადრევად დაამთავრებინეს. ამ დროს, მსოფლიო დონის მეკარის ნიჭი ჰქონდა.

მარტო ჩემი და ქართველი მეკარეების ბრალია, საქართველომ იტალიასთან რომ წააგო და ვერაფერს იგებს? მწვრთნელს შეუძლია ფეხბურთელი და განსაკუთრებით, მეკარე დიდი სიმაღლეზე აიყვანოს, ვარსკვლავად ჩამოაყალიბოს.

**- დროებით რომელიმე ქართულ კლუბში თამაშზე არ გიფიქრია?**

- ვფიქრობ, როგორ არა, აბა, ასე როდემდე დავრჩე? შესაძლოა, მეორე წრეში ფორმის შესანარჩუნებლად ვითამაშო. ადრე, საქართველოში დაბრუნება

არ მსურდა, მაგრამ ჩემს მდგომარეობაში თამაში აუცილებელია. ახლა მსურს გარკვევა, აქ რომ სამი თვე დავრჩე, შემდეგ სხვა გუნდში გადასვლის შემთხვევაში, პრობლემა ხომ არ შემექმნება. მე მაინც ვცდილობ, ფორმა ჩევინარჩუნო და ვნახოთ, იმედია, უგუნდოდ დიდხანს არ დავრჩები.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ ვანო ხორგუაშვილთან

# ბათუმში ორი ქულა დავკარგეთ

**გორის „დილასთვის" უმთავრესი ამოცანა ამჯერადაც უმაღლეს ლიგაში დარჩენისათვის ბრძოლაა. გასულ სეზონშიც მეორე წრის დასაწყისში იმავე ვითარებიდან გამოსასვლელი პირველი შერკინება „დილას" სწორედ ბათუმში ჰქონდა. გუნდის მთავარ მწვრთნელ ვანო ხორგუაშვილთან საუბარიც აჭარული შეხვედრით დავიწყეთ.**

- ბათუმში უშუალო კონკურენტთან გვქონდა შეხვედრა და შესაბამისად, მეტად პრინციპული გახლდათ. აჭარლები ზამთრის შესვენებისას რამდენიმე კარგი ფეხბურთელით გაძლიერდნენ. „დილამ" იბრძოლა და მოგებაც შეეძლო. უკმაყოფილო ვარ მეორე წუთზევე ბათუმის კარში გატანილი და მსაჯის შეცდომით არჩათვლილი გოლით, არადა ეს სწრაფი გოლი იყო, რომელსაც კონკრეტულ მატჩში შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონოდა. ვფიქრობ ამ მიზეზით ფაქტობრივად ორი ქულა დავკარგეთ.

**- შედეგით არა, მაგრამ საკუთარი გუნდის თამაშით თუ ხართ კმაყოფილი?**

- არა ვარ კმაყოფილი, რადგან ბათუმში ჩვენი შესაძლებლობების მხოლოდ ნახევარი თუ გამოვავლინეთ. არ დავაკონკრეტებ რომელიმე სათამაშო რგოლის ხარვეზს, უბრალოდ ვიტყვი, რომ „დილას" ახლა უფრო მეტი შეუძლია.

**- რამდენად წაგადგათ ამ საქმეში მოსამზადებელი ეტაპი, ანუ რამდენად ნაყოფიერი გამოდგა იგი?**

- ძალიან სერიოზულად მოვემზადეთ როგორც ფიზიკური, ისე ტექნიკური და ტაქტიკური თვალსაზრისით. როგორც მშობლიურ ქალაქში ისე, ზღვისპირეთში. ფეხბურთელების შესაძლებლობათა უკეთ დასანახად კარგი სამსახური გაგვიწია ამხანაგურმა მატჩებმა, სადაც სხვათაშორის ოთხიდან სამჯერ გავიმარჯვეთ კიდეც.

**- გულშემატკივარი ფიქრობდა, რომ რამდენიმე ძლიერ ფეხბურთელს მაინც დაიმატებდით...**

- ის კონტიგენტი, რაც იყო გუნდში, ვერ ვიტყვით, რომ არასახარბიელოდ ირჯება. დასახული ამოცანის შესრულებისათვის შედეგიანი ბრძოლა ამათაც შეუძლიათ.

**- ვერც გორიდან საქართველოს სხვადასხვა გუნდებში მოთამაშე ფეხბურთელთა დასაბრუნებლად მუშაობამ გამოიღო შედეგი...**

- მართლაც მონდომებულები ვიყავით, ადგილობრივი საფეხბურთო სკოლების აღზრდილთა დასაბრუნებლად, მაგრამ მათ კონტრაქტი აკავშირებთ ამჟამინდელ გუნდებთან და მოცემულ ეტაპზე გაჭირდა მათი „დილაში" დაბრუნება.

**- „დილის" ისტორიაში ერთადერთი შავკანიანის გორული კარიერა როგორც ჩანს ხანმოკლე გამოდგა.**

- ნიგერიელი დიქსონ ჩუკვუ იანვარშივე გავუშვით გუნდიდან.

**- თასის მეოთხედფინალური საშინაო მატჩის შედეგიდან (3:2) გამომდინარე, საპასუხო შეხვედრა ბორჯომში ძნელი უნდა იყოს. ულირს კი უმაღლეს ლიგაში დასარჩენად მებრძოლ „დილას" თასის მომდევნო ეტაპისთვის ძალების ხარჯვა?**

- უმთავრესი მიზანი სწორედ უმაღლეს ლიგაში დარჩენაა, თუმცა თასის საპასუხო შეხვედრაშიც ვიბრძოლებთ. თუ მოვახერხეთ, ნახევარფინალზეც არ ვიტყვით უარს.

**- მომდევნო მატჩი „ამერთან" გაქვთ. მეტოქე საკმაოდ ძლიერია, რას გეგმავთ?**

- მეტოქესთან რასაკვირველია მეტისმეტად ძნელი მატჩი იქნება, მაგრამ აუცილებლად მოსაგებად ვიბრძოლებთ.

**- რეგიონის ხელმძღვანელობიდან ყურადღებამ ხომ არ იკლო ახალი გუბერნატორის მოსვლის შემდეგ?**

- არანაირად არ იკლო. ისევ კარგი მდგომარეობაა ამ თვალსაზრისით. მასთან უკვე გავმართეთ რამდენიმე შეხვედრა. „დილასთან" მიმართებაში გამოჩენილი ყურადღება მაფიქრებინებს, რომ გუნდის საქმე შედეგების მხრივ სულ უფრო წინ წავა.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

# დელგადო აგრძელებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში

## დიდი ტრამპლინი საქართველოს ნაკრები გუნდებისა და ევროპის კლუბებისკენ



ედუარდო დელგადო 2008 წლის 30 მარტს არგენტინაში იწვევს 17-18 წლის ასაკის პერსპექტიულ ფეხბურთელებს მაღალ დონეზე მოსამზადებლად.

მომზადების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. მომზადების სრული კურსის დაძლევის შემდეგ, ფეხბურთელები დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში, სადაც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს.

დელგადოს მიერ მომზადებულ ფეხბურთელებს, რომლებიც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს არგენტინის კლუბებში, შეეძლებათ გააგრძელონ თამაში და გააფორმონ კონტრაქტი ევროპის საფეხბურთო კლუბებთან.

მომზადების პროცესი ფასიანია. ასევე, ავია-ბილეთების, ადგილზე ბინის, კვების, არგენტინის ვიზისა და შიდა ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯებს ანაზღაურებს მსურველი ან მისი სპონსორები.

დაწვრილებითი ცნობებისა და საბუთების გასაფორმებლად მსურველები უნდა გამოცხადდნენ არგენტინის წარმომადგენელთან შემდეგ მისამართზე: თბილისი, ლეონიძის 4. (ყოფილი კიროვის ქუჩა, თავისუფლების მოედანთან).

მსურველთა მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 10 მარტიდან 22 მარტამდე, ყოველდღე (კვირის გარდა), 13-დან-15 საათამდე,

ფეხბურთელები არგენტინაში გაემგზავრებიან 2008 წლის 29 მარტს.

**საკონტაქტო ტელეფონი: 899 23-55-20**

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

# რა დევს შავ ყუთში

ლოგიკით განთქმული კახელი ძმების ანეკდოტი გაგონილი გექნებათ. მჩხიბავ ნარგიზას წყალგაუვალი დიაგნოზებისთვისაც გექნებათ მოკრული ყური. ნარგიზა და მისი მჩხიბავობის ამბები ანეკდოტი არ არის, ნამდვილია, მაგრამ საანეკდოტო კია. მისი გამოისობით საიქიოს გასტუმრებულ ხალხს სახელით ვერ ვახსენებ, უხერხულია, კონკრეტიკა აქ, საშარო თუ არა, საჩოთირო საქმე მაინც არის. ამიტომ ზოგადად მოგახსენებთ. მაგალითად, თირკმელების ტკივილის გასაყუჩებელი ნაყენით ლვიძლი დაუშალა კაცს, ესე იგი აკადემიურად, ციროზი დამართა; კუჭის წყლულის მორჩენის მცდელობაში - ინფარქტი და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

დაახლოებით, დაახლოებით კი არა, ზუსტად ეს პიროვნებები და ეს ამბები გამახსენდა ამას წინათ, როცა ქართული ფეხბურთის წარუმატებლობით გამწარებული გულშემატკივრებისა და ორ ბანაკად გაყოფილი ფეხბურთის სპეციალისტების კამათს (ამ სიტყვას ტექსტის შეასარბილებლად ვხმარობ, თორემ რა კამათიც იყო, მაყურებელმა მშვენივრად ნახა) ვუსმენდი. თავშეყრის მიზეზი, ჩემი, როგორც მაყურებლის აზრით, ქართული ფეხბურთის სატკივრისთვის დიაგნოზის დასმა უნდა ყოფილიყო.

დასვეს კიდეც.

ოღონდ არა იმ გაგებით, როგორითაც დღეს ვხმარობთ - ავადმყოფის ყოველმხრივი გამოკვლევის შედეგად ავადმყოფობის მიზეზის დადგენას რატომლაც მისი ძირძველი, ბერძნული მნიშვნელობა - "გამოცნობა" არჩიეს. მოკლედ, მჩხიბავი ნარგიზას ხელობას მიჰყვეს ხელი: ფედერაციის ბრალიაო, უსამართლოდ ჩატარებული არჩევნების ბრალიაო, მწვრთნელის ბრალიაო. ერთი სიტყვით, კიდევ ბევრს იტყოდნენ, ძალიან შეგვიანებული რომ არ ყოფილიყო და პოლიტიკურ შოუებზე გავარჯიშებულ და განაფულ ინგა გრიგოლიასაც რომ არ მობეზრებოდა ეს საფეხბურთო სექსტეტი.

ახლა კი ძალიან სერიოზულად.

ამთავითვე ვიტყვი, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ლამის ბოლო ადგილის დაკავება იმ სალამოს ტელესტუდიაში შეკრებილთა ბრალი ნაღდად არ არის. საიდან ვიცი, რატომ ვარ ასე დარწმუნებული? ძალიან უბრალოდ, ელემენტარული ლოგიკის წყალობით.

ორმოცდაათიან წლებში, ან ცოტა უფრო ადრე, ფეხბურთის კარგ დონეზე სათამაშოდ კვირაში რამდენიმე დღე ვარჯიში სავსებით საკმარისი იყო. მერე ყოველდღე ვარჯიშზე გადავიდნენ, მერე - ორჯერ ვარჯიშზე, მერე... აი, აქ კი ზღუდედ ადამიანის შესაძლებლობების ზღვარი ალიმართა. ვის აღარ მიმართეს - ფსიქოლოგებს, მძლეოსნობის მწვრთნელებს, სტომატოლოგებს... მოკლედ, მეცნიერებს. რატომ? იმიტომ რომ სპორტი - ეს ფეხბურთსაც ეხება - გამძლეობა, სისწრაფე და ძალაა. ცხადია, ტექნიკის დამატებით. ჩვენ, ქართველებს, გვაქვს საიმისო პრეტენზია და, არცთუ უსაფუძვლო, რომ საკმაოდ ტექნიკურები ვართ. კეთილი და პატიოსანი. მაგრამ ეს ყბადაღებული ტექნიკა დილის ნისლივით იფანტება, როცა ფეხბურთელი ილლება. ძალაგამოცლილი კაცი ველარც ურტყამს, ველარც ზუსტ პასს იძლევა, ეგრეთ წოდებული "მინდვრის ხედვაც" კატასტროფულად კლებულობს.

ძალიან ზოგადი რომ არ გამოვიდეს, თეორიულ მსჯელობას რომ არ დაემსგავსოს ეს მოსაზრება, ერთ სრულიად ცოცხალ მაგალითს მოვიტან. ოლიმპიურმა ჩემპიონმა ზურაბ ზვიადაურმა ტრავმებისა თუ სხვა მიზეზების გამო ვარჯიშს უკლო, ყველა ტურნირზე ლამის პირველივე შეხვედრას აგებდა. რა, ილეთები დაავიწყდა თუ ტაქტიკურად ველარ აზროვნებდა? ცხადია, არც ერთი და არც მეორე. უბრალოდ, უვარჯიშებლობის გამო ძალა და გამძლეობა (ალბათ უფრო გამძლეობა) მოაკლდა. ბრწყინვალე ტექნიკურმა არსენალმა და გამოცდილებამაც კი ვერ უშველა.

აი, ეს არის სპორტი. უფრო სწორად, ასეთია სპორტი.

დღეს ეს მოთხოვნები ძალიან მაღალია. მათ რომ შესწვდე, ძალიან დიდი დატვირთვით ვარჯიშია საჭირო.

ზევით უკვე ვახსენე ადამიანის, სპორტსმენის შესაძლებლობების ზღვარი. აი, ამ ზღვრამდე მიყვანა, რა თქმა უნდა, ვარჯიშით, არც ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარეს შეუძლია და არც მსოფლიოში ყველაზე სახელგანთქმულ მწვრთნელს. ეს ზღვარი მხოლოდ მეცნიერებამ იცის - მძლეოსნობის მწვრთნელებმა, ეგრეთ წოდებულმა ფიზმომზადების მწვრთნელებმა, სპორტულმა ექიმებმა... ეს სია შეიძლება გაგრძელდეს. გახსოვთ, ფეოლას გუნდში ფსიქოლოგი და სტომატოლოგი რომ ჰყავდათ? ეს 50 წლის წინათ იყო. მაგრამ ის ბრაზილიის ეროვნული ნაკრები იყო. დღეს მწვრთნელთა ასეთი ბრიგადა ათწლიანების გუნდებს სჭირდება. რომელი ქართული კლუბი დაიკვეხნის ამგვარი ფუფუნებით? ვერც ერთი.

ვერც ერთი. იმიტომ რომ, ისევ როგორც ადრე ნარჩინებული მოსწავლეები არ მიდიოდნენ "პუშკინის ინსტიტუტში", დღეს არც ერთი ასე თუ ისე კარგი ექიმი არ წავა, მაგალითად, ბოლნისში, ან, თუ გნებავთ, თელავში "ვილაც ლაწირაკების" პულსის გასასინჯად. ფიზმომზადების მწვრთნელები კი, თუ ერთ-ორ ენთუზიასტს არ მივილებთ მხედველობაში, უბრალოდ გაქრნენ - იმიტომ რომ ნიალი, რომელშიც ეს სპეციალისტები იზრდებოდნენ, დიდი ხანია მოკვდა საქართველოში. მე მძლეოსნობას ვგულისხმობ. მხოლოდ ექიმებმა და ფიზმომზადების მწვრთნელებმა იციან, როგორ უნდა დატვირთონ ესა თუ ის ორგანიზმი, რომ არც რამე დააკლონ და არც ზედმეტი მოუვიდეთ.

ქართული ფეხბურთი ევროპულ ფეხბურთს ვერასოდეს შესწვდება. მხოლოდ ნიჭისა და "კარგი" ფედერაციის თავმჯდომარისა და "კარგი" მწვრთნელის ყოლა საკმარისი არ არის. არაერთხელ უთქვამს ნოდარ ახალკაცს, საქართველოში ყველაზე წარმატებულ მწვრთნელს: მწვრთნელი სულ რალაც ოცი პროცენტია. დანარჩენი ფეხბურთელებზეა დამოკიდებულიო.

ლიტვის, ლატვიის ან, თუ გნებავთ, ესტონეთის ნაკრებთან დამარცხება სენსაცია არ არის. მე ამ სამივე ქვეყანაში მინახავს იქაური "დუბლები" - ჩვენს ნებისმიერ უბნის გუნდს ვერც კი შევადარებ. წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ ტექნიკაზე. სანაცვლოდ ისინი ორგანიზაციული თვალსაზრისით წავიდნენ წინ. საამისო ნიშნები ჩვენშიც შეინიშნება, მაგრამ, სამწუხაროდ, მდევრის როლში ალმოვჩნდით.

არა, არ შემიძლია ლოგიკით განთქმული კახელი ძმები რომ არ გავიხსენო. ეჭვი მლრლნის, ზოგს ეს ანეკდოტი მოსმენილი არცა აქვს.

მიხოს ძროხა მოპარეს და ქურდის ვინაობის დასადგენად ძმებს მიმართეს. უფროსმა ძმამ თქვა, ლამით მოიპარავდაო. შუათანამ - რადგან ლამით მოიპარა, შავი "ტელეგრეიკა" ეცმებოდაო. უმცროსმა ბეჭედი დაასვა: თედოს მოპარულიაო.

სასამართლოზე ძმებმა იგივე გაიმეორეს - თედოს დაადეს ხელი. მოსამართლე საგონებელში ჩავარდა. არ იცის, რა ქნას - ენდოს თუ არა. ბოლოს გადაწყვიტა ექსპერიმენტი მოეწყო, თანაშემწეს უბრძანა შავი ყუთი შემოეტანა. აი ისეთი, "ზნატაკებს" რომ შემოუტანენ ხოლმე.

- თუ გამოიცნობთ რა დევს ამ ყუთში, თედოს დამნაშავედ ვცნობ. - თქვა მოსამართლემ.

- რადგან კუბის ფორმა აქვს, შიგ მრგვალი რალაც იდება. - თქვა უფროსმა ძმამ.

- რადგან მრგვალია, ყვითელი იქნებაო, - დაამატა შუათანამ.

- რადგან მრგვალია და თანაც ყვითელი, ლიმონი ყოფილა, - დაასკვნა უმცროსმა.

შავ ყუთში მართლა ლიმონი ალმოჩნდა.

როდის მიაღწევს ქართული ფეხბურთი წარმატებას? ვერაფერს ვიტყვი. დღესვე რომ შეუქმნან ჩვენს ბიჭებს ევროპული პირობები, თქვენ თვითონ იანგარიშეთ, კიდევ რამდენი წლის ლოდინი მოგვიწევს. თუმცა მაინც მგონია, რომ მხოლოდ ამ გზას არ უნდა დავადგეთ. თორემ, ნარგიზა მჩხიბავი იქით იყოს, ლოგიკით განთქმული კახელი ძმებივით დაგვემართება, ან გავარტყამთ, არ - ვერა.

**ირაკლი ბერიაშვილი**



გიორგი დევდარიანი

# მთავარია საქმე

## ფედერაცია პრეცედენტს ქმნის. ახალი გამოწვევა დევდარიანისთვის. 35 წლის მწვრთნელი კონკრეტული იდეებით მოდის

გუშინდელ "ლელოში" საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთ ვიცე-პრეზიდენტთან, **რევაზ არველაძესთან** ინტერვიუ შემოგთავაზეთ, რომელშიც ის ამბობს, რომ ფედერაციის პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაცი გიორგი დევდარიანს** შეხვდება და მოუსმენს.

დევდარიანი **გიორგი ნემსაძის** მეგობარია, ფედერაციის პრეზიდენტის შარშანდელ არჩევნებში ნემსაძე ახალკაცის მოპაექრე გახლდათ და...

შეიძლება ითქვას, სასიამოვნო სიურპრიზია, ფედერაცია საინტერესო ხალხს უკვე იქაც რომ ეძებს, საიდანაც მხოლოდ კრიტიკასა და კონფრონტაციას ელოდა.

დევდარიანი 2003-05 წლებში "თბილისის'' მთავარი მწვერთნელი გახდა და გუნდს თანამედროვე ყავარზე გაადებინა კუდი. "თბილისი" იმ დროისთვის საქართველოს ჩემპიონატში ვინძლო ყველაზე პროგრესული და ლამაზი გუნდი იყო. დევდარიანის ხელში "თბილისში" რამდენიმე საინტერესო ახალგაზრდა დაწინაურდა: **გოგიტა გოგუა, ზაალ ელიავა, გიორგი ჭელიძე, გოგი ფიფია, რევაზ გეწაძე, გოჩა ხოჯავა...**

დევდარიანი ბოლო დროს ბავშვთა ფეხბურთში საქმიანობდა და გუშინ გადაწყდა, რომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებთა სამწვრთნელო შტაბში შეიყვანენ - ეს 35 წლის სპეციალისტი საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა.

16-წლამდელთა ნაკრები ეს-ესაა იქმნება, უკვე გამოცხადებულია გაფართოებული შემადგენლობა, რომლიდანაც 11 ჭაბუკი საფეხბურთო სკოლა "საბურთალოდანაა", სადაც მათი მწვრთნელი დევდარიანია - ცხადია, ეს ფაქტორიც მნიშვნელოვნად განაპირობებს ფედერაცია-დევდარიანის შესაძლო თანამშრომლობას.

16-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე არ მონაწილეობს. ამ ნაკრების შექმნის იდეა **რალფ მინგეს** ეკუთვნის, **კლაუს ტოპმიოლერის** თანაშემწეს, ვინც მალე ამავდროულად ფედერაციის ტექნიკური დირექტორიც გახდება.

16-წლამდელთა ნაკრები იმ 17-წლამდელთა ნაკრების საბაზო გუნდი იქნება, რომელიც გაისად ევროპის ჩემპიონატის შესარჩევში ითამაშებს. ჰოდა, არ არის გამორიცხული, რომ 16-წლამდელთა ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელმა წლეულსვე ითამაშოს 17-წლამდელთა ნაკრებში.

დევდარიანისთვის ეს ახალი გამოწვევა იქნება, ქართული საფეხბურთო მილეთისთვის კი კარგი პრეცედენტი: არანაირი ის ჩემიანია, ის იმისიანია - მთავარია საქმე.

- მადლობელი ვარ, რომ სანაკრებო დონეზე თავის გამოჩენის საშუალება მომეცა. მეგობრობა ერთია და ქართული ფეხბურთის სამსახურში ყოფნა-მეორე. მე ყოველთვის ქართულ ფეხბურთს ვემსახურებოდი. უამრავი იდეა მაქვს და მათ განხორციელებას ვეცდები, - გვითხარ დევდარიანმა და მერე ესეც ვკითხეთ:

**-"თბილისში" თქვენი იდეები ფეხბურთელების უნივერსალიზმს, კონცეტრაციას და ტაქტიკურ გეომეტრიას ეფუძნებოდა - ასეთივე იქნება გიორგი დევდარიანის კონცეფცია სანაკრებო ასპარეზზეც?**

- ახალგაზრდა ფეხბურთელებში საფუძვლიანად უნდა ისწავლებოდეს საფეხბურთო გეომეტრია, დიდი ყურადლება უნდა დაეთმოს მოთამაშეთა უნივერსალიზმსა და კონცენტრაციასაც - ყოველივე ამას ვცდილობდი "თბილისში" და ვფიქრობ, ეს გუნდს ეტყობოდა. თუ ფეხბურთელმა კონცენტრაცია დაკარგა, მას ზედმეტი ენერგიის დახარჯვა უწევს. გეომეტრია ძალიან მნიშვნელოვანია შეტევის ორგანიზაციის მეთოდებისთვის - სივრცეების გახსნა, რიცხობრივი უპირატესობის მოპოვება. მაგალითად, თუ ერთ ფეხბურთელს გასარბენი აქვს 60 მეტრი, გეომეტრიის გამოყენებით სამი ფეხბურთელი გაირბენს 20-20 მეტრს და ენერგია დაიზოგება. ყოველივე ამით მე ველოსიპედს არ ვიგონებ, უბრალოდ, ეს ჩემი ძირითადი პრიორიტეტებია.

**დავით თავართქილაძე**

GEO FM 95.1

ავტორადიო თბილისი

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge



# უცნაური და დაუმთავრებელი

...მართლაც, უცნაური გამოდგა მეორე წრის სასტარტო ტური! ჯერ იყო და ტური ლამის ოთხ დღემდე გაიწელა, მაგრამ მაინც "ნაკლულად" უნდა ჩავთვალოთ - "მგლები" და "მესხეთი" ერთმანეთს 11 მარტს შეხვდებიან. მთავარი, მაინც, ორი მოულოდნელი შედეგი იყო და იშვიათია შემთხვევა, როცა ერთ ტურში ჩემპიონობის ორივე კანდიდატი მარცხდება. თუმცა "ვიტ ჯორჯიას" მიერ "ზესტაფონის" ძლევა სენსაციად ნამდვილად არ უნდა შეფასდეს. ჯერ ერთი, სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზე მყოფმა გუნდმა მეორეადგილოსანი დაამარცხა. თანაც, ამ გამარჯვებით **ნესტორ მუმლაძის** გუნდი "ზესტაფონს" ქულებით გაუთანაბრდა და უფრო მეტიც - გადაასწრო კიდეც. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრაში "ვიტ ჯორჯიამ" მხოლოდ ბოლო წუთებზე გაუშვა გოლი და საბოლოოდ ფრეს დასჯერდა. ახლა კი მაქსიმალური მობილიზებისა და მოტივაციის წყალობით ერთობ ძლიერ მეტოქეს სავსებით დამსახურებულად მოუგო. რა თქმა უნდა, სტუმრებს დიდი დანაკლისი ჰქონდათ - გაბონელი ნახევარმცველი **პოლ კესანი** მოედნის ცენტრში შეუცვლელი ფეხბურთელი რომ არის, ამ მატჩმაც დაადასტურა. თანაც, აშკარაა, რომ ვერც მეორე ლეგიონერი - ბრაზილიელი **ჟონატასიც** არ არის სასურველ კონდიციებში. საერთოდაც, "ზესტაფონის" ფეხბურთელთა თამაშში უამრავი წუნი ჩანდა და ერთადერთი, ალბათ, ახალგაზრდა მცველი **უჩა ლობჟანიძე** იყო, დამაჯერებლად რომ გამოიყურებოდა. ისე კი, "დინამოსა" და "ზესტაფონის" წაგებებით ჩემპიონატმა რომ მეტი ინტრიგა შეიძინა, ფაქტია. ანუ, იმედი დავიტოვოთ, რომ საჩემპიონო დავაში უკვე სამი გუნდია (იქნებ, ოთხიც?) ჩართული. ახლა მთავარია, რომ "ვიტ ჯორჯიამ" სტაბილურობა შეინარჩუნოს, თორემ ამ გუნდისგან "მიჩვეული" ვართ უსიამოვნო ტენდენციას - ყველა ფავორიტს დამაჯერებლად ამარცხებს და ამასთან, თავისზე ბევრად სუსტ მეტოქეებთან ქულებს უმოწყალოდ ფლანგავს. ჰო, მთავარი კინალამ დაგვავიწყდა: დანაკლისი ვახსენეთ და "ვიტ ჯორჯიაზეც" არაფერი გვითქვამს. როგორც ყოველთვის, პირველი წრის დასრულების მერე "ვეტერინართა" რიგები კიდევ ორმა წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა - **პაატა დათუნაიშვილმა** და **ნიკა გელაშვილმა**. თუმცა, ვითომც არაფერიო - ნესტორ მუმლაძემ თავის ხელთ არსებული რუსურსით უკვე მერამდენედ მოახერხა ფავორიტის გამწარება. თანაც, რაც ყველაზე მთავარია, "ვეტერინარებმა" გუნდური თამაშით დაჯაბნეს მეტოქეს. ანუ, მასპინძელთა ყველა ფეხბურთელი ქების ღირსია. თუმცა კი, უდავოდ გამოსარჩევია **გიორგი მელქაძე** - საგოლე პასი რომ მიითვალა და მერე კი იშვიათი სილამაზის გოლი გაუტანა ჩვენი ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო მეკარეს **გრიგოლ ჭანტურიას**.

...ზემოთ აღვნიშნეთ, "ვიტ ჯორჯიამ" რომ "ზესტაფონს" მოუგო, მთლად მოულოდნელ შედეგად არ უნდა შევაფასოთო; ახლა კი ის ვთქვათ, თუ რა ჰქვია იმ ფაქტს, როცა გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი მეორე წრეს საშინაო მარცხით იწყებს. მაგრამ, რატომ გვავიწყდება, რომ "დინამო", ბოლოსდაბოლოს, მოქმედ ჩემპიონთან დამარცხდა? და მაინც, ასეთ შედეგს ძნელად თუ ვინმე იფიქრებდა. მით უმეტეს "დინამოს" მატჩამდე "ოლიმპი" სათასო შეხვედრაში შინ დამარცხდა "ზესტაფონთან" და ვერაფერი შთაბეჭდილება ვერ დატოვა. მაგრამ, სად რუსთავის სტადიონის მოედნის საფარი (ვერანაირ კრიტიკას რომ ვერ უძლებს, თანაც, თუ ატალახებულია...) და, სად - ეროვნულის". მეორე მომენტიც არის, რასაც მწვრთნელთა "დაუსწრებელი დუელი" ჰქვია და "ლეგიონერთა" პაექრობაში უკრაინელმა **ანატოლი პისკოვეცმა** გამოცდილ ჩეხ **დუშან უჰრინს** აჯობა! "ოლიმპმა" თამაში კონტრშეტევებზე ააწყო და მასპინძელთა დაცვის შეცდომები (განსაკუთრებით-მარცხენა ფლანგზე) მაქსიმალურად გამოიყენა. ამასთან, საიმედო იყო მეკარე **მირზა მერლანი** და სამივე გამოცდილი მცველი (**ლევან სილაგაძე, დავით ჭიჭვეიშვილი, მიხეილ მახვილაძე**), კვლავაც ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა ახალგაზრდა "საყრდენმა" **დავით დევდარიანმა**, აქტიურობით გამოირჩეოდნენ გარემარბები: **რევაზ გეწაძე** და **გიორგი კახელიშვილი**; პლუს ამას, ვთვლით, რომ ნამდვილად არ არის ურიგო შენაძენი უკრაინელი ლეგიონერი **ალექსანდრ ომელიანოვი**, რომელმაც თავის დებიუტი საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში გოლით აღნიშნა. მასპინძლებიდან, მეტ-ნაკლებად, **გიორგი მერებაშვილი** აქტიურობდა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. თანაც, ამ მატჩმაც დაადასტურა, თუ რამხელა ძალას წარმოადგენენ "დინამოსთვის" **დიდიე ოვონო** და **ჯორჯ აკირემი**, რომელთა არყოფნამაც გარკვეული წვლილი შეიტანა ერთპიროვნული ლიდერის დამარცხებაში.

სხვა ამ ტურში მნიშვნელოვანი და აღსანიშნავი, ალბათ, "მერანი"- "ბორჯომის" მატჩი იყო. ამას კი ორი მიზეზი ჰქონდა: ჯერ ერთი, შეხვედრის ერთადერთი გოლი ისე გავიდა, რომ პასის ავტორი... მასპინძელთა ახალგაზრდა მეკარე **რევაზ თევდორაძე** იყო; მეორეც ის, რომ სტუმართა შორის დებიუტი ჰქონდა კიდევ ერთ ლეგიონერს, 19 წლის კამერუნელს **ჯუსტს**. ხოლო იმაზე, რომ ამ შეხვედრაში "ბორჯომს" განაცხადში მხოლოდ 12 ფეხბურთელი ჰყავდა, აღარც ღირს ყურადღების გამახვილება მეტად კომიკურ სიტუაციაზე: "მერანისა" და "ბორჯომის" მატჩის მონაწილე ერთ მეკარეს... საქართველოს ნაკრების მაისური ეცვა, მეორეს კი-სხვა გუნდის. საბედნიეროდ, ასე მხოლოდ ერთი ტაიმი გაგრძელდა...

დაბოლოს, მოკლედ სხვა შეხვედრებზეც. ბათუმში აუტსაიდერების დაპირისპირებამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა; ისე, როგორც მატჩმა გლდანში - "ამერმა" მორიგი ორი ქულა დაკარგა უმაღლესში ადგილის შენარჩუნებისათვის მებრძოლ "ლოკომოტივთან". აი, "სიონმა" კი, ბევრისთვის მოულოდნელად სტუმრად "ცხინვალს" სძლია. მოულოდნელობაში კი იმას ვგულისხმობთ, რომ მასპინძლებს ქულები ჰაერივით სჭირდებოდათ, მაგრამ **გიორგი ყიფშიძის** გუნდმა ყველა ეჭვი გააქარწყლა და აშკარად "მშვიდობიან ზონაშიც" გადაინაცვლა. ამ მატჩსაც ჰყავდა გამორჩეული მოთამაშე - ბოლნისელთა გარემარბმა **გიორგი კვიტაიშვილმა** "სიონში" მისვლის მერე ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. საერთოდაც, ამ ახალგაზრდა ფეხბურთელს (ორივე ფლანგზე რომ შეუძლია ასპარეზობა) თამაშის ორიგინალური მანერა აქვს და სტაბილურობის შემთხვევაში თავისი ნიჭის დემონსტრირებას უფრო კარგად შეძლებს.

გია ტუხაშვილი

## XIV ტურის სიმბოლური ნაკრები





დინამო-ოლიმპი 1:2. ხმალაძემ მერლანს ვერ გაუტანა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 13 | 12 | 0 | 1 | 35:4 | 36 |
| 2. ზესტაფონი | 13 | 11 | 1 | 1 | 26:6 | 34 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 12 | 9 | 1 | 2 | 22:8 | 28 |
| 4. ბორჯომი | 13 | 7 | 4 | 2 | 17:9 | 25 |
| 5. ოლიმპი | 13 | 7 | 3 | 3 | 13:8 | 24 |
| 6. ამერი | 12 | 7 | 0 | 5 | 21:13 | 21 |
| 7. მესხეთი | 13 | 6 | 2 | 5 | 15:17 | 20 |
| 8. მგლები | 13 | 5 | 0 | 8 | 14:19 | 15 |
| 9. სიონი | 13 | 4 | 3 | 6 | 16:17 | 15 |
| 10. სპარტაკი | 13 | 3 | 3 | 7 | 5:14 | 12 |
| 11. მერანი | 13 | 3 | 1 | 9 | 7:23 | 10 |
| 12. ლოკომოტივი | 13 | 3 | 0 | 10 | 8:21 | 9 |
| 13. დილა | 13 | 1 | 3 | 9 | 7:24 | 6 |
| 14. ბათუმი | 13 | 1 | 1 | 11 | 5:28 | 4 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| ხუციშვილი (დინამო) | 10 |
| გ. მერებაშვილი (დინამო) | 8 |
| გ. ნოდ. ძელიძე (ზესტაფონი) | 8 |
| აკირემი (დინამო) | 7 |
| გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 7 |

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



კახა ალადაშვილი

# ბესონოვი ალადაშვილს აქებს

"ხარკოვის" ოფიციალურმა ვებგვერდმა გამოაცხადა, რომ **კახა ალადაშვილთან** კონტრაქტი გააფორმა.

*"ჩვენთან ითამაშებენ კახა ალადაშვილი და ვადიმ მილკო, რომლებიც დღემდე იურიდიულად კიევის "დინამოს" ეკუთვნიან. იჯარა სეზონის ბოლომდე გაგრძელდება,"* - იუწყება "ხარკოვის" პრეს-სამსახური.

კიევის "დინამოს არაოფიციალურ ვებ-გვერდზე კი ვკითხულობთ: *"ალადაშვილმა პირველი წრე უჟგოროდის "ზაკარპატიეში" გაატარა და 10 შეხვედრა ჩაატარა. აღვნიშნავთ, ბოლო პერიოდში კიევის "დინამოში" ძალები ქართველი ფეხბურთელების მთელმა ჯგუფმა მოსინჯა (ალადაშვილი, ირაკლი ქორთუა, დავით იმედაშვილი, ოთარ მარცვალაძე, ალეკო ამისულაშვილი). ვერც ერთმა მათგანმა თავის გამოჩენა ვერ მოახერხა. როგორც ჩანს, სელექციონერების მცდელობა, მოეძებნათ "მეორე კალაძე", წარუმატებლად დასრულდა."*

"ხარკოვის" მთავარი მწვრთნელი **ვლადიმირ ბესონოვი** გუნდის ახალწვეულის, **კახა ალადაშვილის** ფორმით კმაყოფილია. *"ალადაშვილი სწრაფი და გამძლე ფეხბურთელია, აქვს კარგი დარტყმა. როგორც კავკასიელებს შეეფერებათ, მოედანზე თავდადებულია"*, - ამბობს ბესონოვი.

რაც შეეხება თავად ალადაშვილს, "ხარკოვში" გადასვლით კმაყოფილია, ბესონოვსაც აქებს და იმედოვნებს, რომ კლუბთან თანამშრომლობას საიჯარო ვადის გასვლის შემდეგაც გააგრძელებს.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ კახა კალაძესთან

# ფეხბურთის მერე ბიზნესი

## 40 წლის კალაძე სტუდენტობას აპირებს

**საქართველოს ნაკრების კაპიტანს გუშინ დაბადების დღე ჰქონდა - კახა კალაძეს 30 წელი შეუსრულდა. დაბადების დღეზე კახას მოედანზე გასვლა არ მოუწია. გუშინ "მილანმა" ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში, სტუმრად "კატანიას" წინააღმდეგ ითამაშა. თამაშამდე ის პრესას გაესაუბრა, სადაც არაერთ საინტერესო თემას შეეხო.**



**- კიდევ რამდენ ხანს აპირებთ ფეხბურთის თამაშს?**

- ვერ დაგპირდებით, რომ 5 წელიწადში მოთამაშის კარიერას დავასრულებ. თუ მაღალ დონეზე თამაში შეგიძლია, ასაკს არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. ეს ადრე იყო, როცა 30 წლის ფეხბურთელს უკვე ჩამოწერილად მიიჩნევდნენ. შესაძლოა, პაოლო მალდინის მსგავსად მეც 40 წლამდე ვითამაშო. მთავარია, ჯანმრთელად ვიყო.

**- მერე რას აპირებთ?**

- მინდა, ეკონომიკური განათლება მივიღო. ინგლისში ან აშშ-ში წავალ სასწავლებლად. მწვრთნელობა ნამდვილად არ მინდა. ვთვლი, რომ ეს ჩემი საქმე არაა. არც ის მინდა, ჩემი შემდგომი ცხოვრებაც ფეხბურთთან იყოს დაკავშირებული. აი, მაგალითად კაკას სამშენებლო ბიზნესი აქვს ბრაზილიაში.

**- თქვენ კი მილანში ცნობილი რესტორნის მეპატრონე ხართ...**

- კი, ასეა, მაგრამ ეს არაა ფართო მასებისთვის გათვლილი რესტორანი. ეს რესტორანი იმიტომ მჭირდება, რომ მეგობრები მივიპატიჟო. ევროპის ზოგი ქვეყნებისგან განსხვავებით, იტალიაში სტუმართმოყვარეობას საკმაოდ აფასებენ.

ბიზნესი მხოლოდ იტალიაში არ მაქვს. ცოტა ხნის წინათ საქართველოში ბანკის გახსნაზე ლიცენზია მივიღე. კარგი ურთიერთობები მაქვს "არმანისთან" და "დოლჩე და გაბანასთან". ამჟამად ვქმნი დიდ ბრენდს "K", რომელიც ბევრ ცნობილ კომპანიას გააერთიანებს.

**- მარტო ცხოვრობთ?**

- დიახ და წარმოიდგინეთ მეზობლებსაც კი არ ვიცნობ. მხოლოდ ის ვიცი, რომ ჩემი სახლის სიახლოვეს ამბროზინი და ფავალი ცხოვრობენ. ჩვენი გუნდის ბევრი ფეხბურთელი სტადიონთან ახლო რეგიონში ცხოვრობს. იქ უფრო მშვიდი გარემოა. ჩემთვის კი უფრო მისაღები ქალაქის ცენტრია, სადაც ბევრი ხალხია. მიყვარს მაღაზიებში გავლ;ა და სადმე კაფეში ფინჯანი ყავის დალევა.

**- ხშირად დადიხართ იმ "ფერარით", რომელიც მილიონი დოლარი ღირს და რომლითაც ერთხელ კიევშიც იყავით?**

- არა, ის "ფერარი" უკვე კარგა ხანია გავყიდე. მანქანების კოლექციონერი არ ვარ, ავტომობილებს წელიწადში რამდენჯერმე ვიცვლი. სპორტული ავტომოილებიდან "ფერარი" და "პორშე" მომწონს. ყოველდღიურად კი "ბენტლი" მირჩევნია. ახლა სწორედ ის მყავს.

**- რამდენად ხშირად გაჩერებენ პოლიციელები?**

- მხოლოდ ორჯერ გამაჩერეს და ისიც იმიტომ, რომ შემოწმება იყო, წესები არ დამირღვევია.

**- სად და როგორ ისვენებთ ხოლმე?**

- ეგზოტიკური ადგილებზე დასასვენებლად არ დავდივარ, თბილისში ჩავდივარ ხოლმე. ხშირად ვარ ხოლმე ბათუმსა და ქობულეთში ან სხვაგან, ზღვის პირას.

მოამზადა
დავით ცაბაძემ

# მარცვალაძე კვლავ უთამაშებელია



**ოთარ მარცვალაძის** უთამაშებლობა გაგრძელდება. საქართველოს ნაკრების წევრი "ზაკარპატიედან" წამოსვლის შემდეგ, "ხარკოვში" ცდილობდა თავის დამკვიდრებას, მაგრამ კლუბმა მის აყვანაზე უარი თქვა. ამის მიზეზად მენისკი სახელდება. უკრაინული წყაროების ცნობით, აღნიშნული ტრავმა მარცვალაძეს საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენაში ხელს უშლის. მისი მომავალი მალე გაირკვევა. შეგახსენებთ, ოთარი კიევის "დინამოს" საკუთრებაა.

# ჩხეტიანიც სიმურგშია

ქართული ფეხბურთის განვითარებისა და წინსვლის "ნათელი" მაგალითი ფეხბურთელების უცხოეთში თავქუდმოგლეჯილი გაქცევაა. თუკი ადრე ქართველების რუსეთის პირველ ლიგაში გადასვლა გვრცხვენოდა, ახლა ფეხბურთელების გაგება ადვილია - მათ, ელემენტარულად, ოჯახის შენახვა სურთ.

ახლახანს საქართველოს გასული წლის საუკეთესო ნახევარმცველი **დავით ბოლქვაძე** თბილისის "ამერმა" აზერბაიჯანში, ზაქათალის "სიმურგში" გაანათხოვრა, ახლა კი "ზესტაფონიდან" წასული მცველი **კახა ჩხეტიანიც** მის გზას დაადგა.

*"პირობებზე შევთანხმდით და "სიმურგთან" სამწლიანი კონტრაქტი გავაფორმე. გუნდს საკმაოდ დიდი ამბიციები გააჩნია, ინტერტოტოზე გასვლისთვის უნდა ვიბრძოლოთ. პირადად მე კი იმედია, ძირითადში მოხვედრა არ გამიჭირდება. საქმეს ისიც მიიოლებს, რომ "სიმურგში" დათო ბოლქვაძე დამხვდა,"* - ინფორმაცია თავად კახა ჩხეტიანმა დაგვიდასტურა.

ჩხეტინი ზაქათალელებმა განაცხადში უკვე შეიყვანეს და სავარაუდოდ, ის 2 მარტს "თურანის" წინააღმდეგ ითამაშებს.

**მერაბ მამულაშვილი**

## შახტიორმა შეკრება დაასრულა

ყარაღანდის "შახტიორმა" თურქული შეკრება დაასრულა და ყაზახეთში დღეს ბრუნდება. ბოლო საკონტროლო მატჩი **რევაზ ძოძუაშვილის** გუნდმა ტოლიატის "სპორტაკადემიასთან" ჩაატარა და 3:1 გაიმარჯვა. **ლაშა ნოზაძემ** მეორე ტაიმში ითამაშა, **ლევან მელქაძეს** კი შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია.

## მუჯირი გამოჯანმრთელდა

"ბაქოს" ერთ-ერთი ლიდერი **ამირან მუჯირი** მოედანს აზერბაიჯანის ჩემპიონატის უახლოეს ტურში დაუბრუნდება. "ბაქო" დერბიში "ინტერს" დაუპირისპირდება. "ბაქოს" კიდევ ერთი წამყვანი ფიგურა, **ალექსანდრე გოგობერიშვილი** კი კვლავ ტრავმირებულია.




საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა მწუხარებას გამოთქვამს საფეხბურთო კლუბ "დინამო თბილისის" პრეზიდენტის ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

აჭარის ფეხბურთის ფედერაცია თანაუგრძნობს ბათუმის "დინამოს" მთავარ მწვრთნელს ავთანდილ კუნჭულიას მამის გარდაცვალების გამო.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა სამძიმარს უცხადებს ბათუმის "დინამოს" მთავარ მწვრთნელს ავთანდილ კუნჭულიას მამის გარდაცვალების გამო.

 იტალია. სერია A. XXV ტური

# დინამოს ფაქტორი იუვესთვის

**იუვენტუსი–ტორინო 0:0**

**იუვენტუსი:** ბუფონი-6, ზებინა-6, ლეგროტალიე-6.5, კიელინი-7, მოლინარო-6, პალადინო-6 (64. ნოჩერინო-5.5), კამორანეზი-6.5, სისოკო-6, ნედვედი-5.5, იაკვინტა-6, დელ პიერო-6.

**ტორინო:** სერენი-7.5, კომოტო-6, დი ლორეტო-6, ნატალი-შ.გ (27. დელაფიორე-6), მ. პიზანო-6.5, დიანა-5.5 (48. როზინა-6.5), გრელა-6.5, ბარონე-6, პ. ძანეტი-6, რეკობა-5.5 (81. ლანა-შ.გ), სტელონე-6.

**გაძევება:** ნედვედი (90. იუვენტუსი)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 11-8; **ჯარიმა:** 23-22; **თამაშგარე:** 3-8; **კარში დარტყმა:** 15-13 (8-7); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 22 000

ტურინული დერბი "იუვენტუსისთვის" მორიგ იმედგაცრუებად იქცა. ამჯერად, "ქალბატონს" მსაჯებისადმი საპრეტენზიო არაფერი აქვს. **სალვატორე რიცოლიმ** მოვალეობას თავი კარგად გაართვა, შეიძლება იმიტომაც, რომ განსაკუთრებით საკამათო სიტუაციები არ ყოფილა, თუ არ ჩავთვლით **პალადინოს** გაუქმებულ გოლს. ვგონებთ, აქაც ყველაფერი წესრიგში იყო...

**კლაუდიო რანიერის** შეგირდებმა ბოლო ორ მატჩში 5 ქულა დაკარგეს, რაც "მილანსა" და "ფიორენტინას" ოთხეულში მოსახვედრად გაჩაღებულ ბრძოლაში მეტ შანსს აძლევს. თუ "ქალბატონმა" ქულები მომავალშიც ასე ანიავა, დიდია ალბათობა, რომ გაისად ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩეს.

კაცმა რომ თქვას, ფრეთა დიდოსტატ "ტორინოსთვისაც" არაა ეს ქულა დიდი შვება. გუნდი სახიფათო ზონაშია, თუმცა "იუვესთან" ქულების გაყოფა **ვალტერ ნოველინოსთვის** არც ტრაგედიაა, უფრო პირიქით. საერთოდ, "ბრონეულებს" სახელოვანი მეტოქისთვის მთელი 13 წელიწადია არ მოუგიათ. მაგრამ აქვე, ისიც ვთქვათ, რომ "ტორო" ბოლო ექვს მატჩში არ დამარცხებულა (4 ფრე და 2 მოგება).

"იუვესთვის" **ტრეზეგეს** არყოფნა დიდი დანაკლისია და ეს გუშინწინდელ შეხვედრაშიც გამოჩნდა. ნახევარდაცვას კი **კრისტიანო ძანეტის** ხელი აკლდა. "სინიორამ" მოედნის ამ მონაკვეთში უპირატესობა ვერა და ვერ მოიპოვა. წინანდელზე ოდნავ უკეთესი იყო **სისოკო**, რომელიც სერია A-ს, ჯერჯერობით, ვერ გაუშინაურდა, შეცვლაზე შესულმა **ნოჩერინომ** კი თამაშში სიმწვავე ვერ შეიტანა. ნოველინოს მხრივ, მოულოდნელი ნაბიჯი იყო, **როზინას** ნაცვლად სათამაშო პრაქტიკას მოკლებული **რეკობას** ძირითადში დაყენება. თუმცა აქაც შეიძლება ვარაუდი იმაზე, რომ "ტორინოს" მწვრთნელს თავხოტორა ფორვარდი მეორე ტაიმისთვის, ერთგვარ კოზირად ჰყავდა გადანახული.

საერთო ჯამში, უპირატესობას "იუვენტუსი" ფლობდა. პირველ ტაიმში რამდენჯერმე იყოჩაღა მეკარე **სერენიმ**, განსაკუთრებით იმ ეპიზოდში, როცა **იაკვინტას** თავური მოიგერია. "ტოროს" მთავარი იარალი კი კონტრშეტევა იყო. მეორე ნახევარში ეს იარალი გაცილებით საშიში გახდა "ბიანკონერისთვის", რომელიც უფრო მეტ ყურადღებას დაცვით სამუშაოებს უთმობდა. მარცხების მიუხედავად, 54-ე წუთზე **დელ პიერომ** მაინც მოახერხა დასარტყმელ პოზიციაზე გასვლა, მაგრამ სერენი ამ ჯერზეც მოწოდების სიმაღლეზე იყო. მოგვიანებით, მისი დელ პიეროსთან დუელი კიდევ ერთხელ შედგა, თუმცა "ტორინოს" კიპერმა ალექსის საფირმო ჯარიმაც განმუხტა.

თამაშის მიწურულს გუნდებს თითო კარგი შანსი ჰქონდათ. ყველაფერი შეიძლებოდა დასრულებულიყო იმ ეპიზოდში, როცა როზინას მიერ ახლო მანძილიდან დარტყმულმა ხარიხას გადაუფრინა. მომენტი ჰქონდა **კამორანეზისაც**, მაგრამ სერენის ძლევა ვერც მან მოახერხა.

ნამატჩევს რანიერი გულდაწყვეტილი იყო. ძანეტის ფაქტორზე მანაც გააკეთა შენიშვნა: *"დღეს რეალურად გამოჩნდა, თუ რას ნიშნავს ჩვენთვის ძანეტი. სისოკო კარგი იყო, მაგრამ ძანეტი "იუვეს" დინამოა. საერთოდ, ტექნიკური თვალსაზრისით, ეს არ ყოფილა გადასარევი თამაში. ორივე გუნდი მოედნის ცენტრის გადალახვას გრძელი გადაცემებით ცდილობდა. სამწუხაროდ, ამ გზამ არ გაამართლა. პალადინო ჩინებული ფორვარდია, მაგრამ ჯერჯერობით, მან ვერ გაითავისა თავისი როლი".*

## გუშინ

**ინტერი–რომა 1:1**

**ინტერი:** ჟულიო სეზარი, მაიკონი, ბურდისო, კივუ, მაქსველი, ხ. ძანეტი, ვიეირა, კამბიასო (58. ბალოტელი), ფიგუ (62. პელე), სტანკოვიჩი (46. სუასო), კრესპო.

**რომა:** ა. დონი, კასეტი, ფერარი, მექსე, ტონეტო, დე როსი, პისარო (61. აკვილანი), პეროტა, ტადეი (86. ჟუანი), ვუჩინიჩი (77. ჟიული), ტოტი.

**გოლები:** 0:1 ტოტი (37), 1:1 ხ. ძანეტი (88)

**გაძევება:** მექსე (84. ინტერი)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 22-17; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 12-15 (3-7); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 48 717

**კატანია–მილანი 1:1**

**კატანია:** ბიცარი, სარდო (59. სპინეზი), სილვესტრი, ტერლიცი, სტოვინი, ხ. ვარგასი, კოლუჩი, ედუსეი, ბაიოკო, მარტინესი (84. პ. ალვარესი), მასკარა.

**მილანი:** კალაჩი, კაფუ (67. ოდო), ბონერა, მალდინი, ფავალი, ბროკი (79. გატუზო), ემერსონი, ამბროზინი, ზეედორფი, პატო, ფ. ინძაგი (77. ჯილარდინო).

**გოლები:** 0:1 პატო (55), 1:1 სპინეზი (63)

**გაფრთხილება:** 4-4; **კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 23-26; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 8-13 (4-8); **ბურთის ფლობა:** 37%-63%.

**მაყურებელი:** 21 000

**ფიორენტინა–ლივორნო 1:0**

**ფიორენტინა:** ფრეი, უიფალუში, დაინელი, გამბერინი, პასკუალი, კუძმანოვიჩი, ლივერანი (46. მონტოლივო), დონადელი, სემიოლი (37. პაპა ვაიგო), პაცინი, ოსვალდო (72. იორგენსენი).

**ლივორნო:** ამელია, გრანდონი, პასკუალე (48. ბალერი), გალანტე, კნეჟევიჩი, პულცეტი, ლოვიზო, ვიდიგალი, ა. ფილიპინი (65. დიეგო ტრისტანი), დიამანტი (89. ვაილატი), ბოგდანი.

**გოლი:** 1:0 პაპა ვაიგო (62)

**გაფრთხილება:** 4-1; **კუთხური:** 6-1; **ჯარიმა:** 23-17; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 18-4 (6-0); **ბურთის ფლობა:** 67%-33%.

**მაყურებელი:** 26 291

**პარმა–უდინეზე 2:0**

**პარმა:** ბუჩი, კოლი, დ. ძენონი (58. ჩიგარინი), ფალკონე, კასტელინი, მ. როსი, მორონე, მარიგა, პიზანუ, კ. ლუკარელი (85. დოსენა), რეჟინალდო (71. ბუდანი).

**უდინეზე:** კიმენტი, ფერონეტი (72. კოლომბო), ფელიპე (81. ფლორო ფლორესი), ლუკოვიჩი, ზაპოტოჩნი, გ. დ'აგოსტინო, ინლერი (85. პინცი), დოსენა, პეპე, კვალიარელა, დი ნატალე.

**გოლები:** 1:0 კ. ლუკარელი (78), 2:0 ჩიგარინი (89-პენ)

**გაფრთხილება:** 2-0; **კუთხური:** 1-5; **ჯარიმა:** 23-20; **თამაშგარე:** 6-3; **კარში დარტყმა:** 11-16 (6-7); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 12 457

**ატალანტა–სამპდორია 4:1**

**ატალანტა:** ფ. კოპოლა, რივალტა, კაპელი, პელეგრინო, თ. მანფრედინი, პინტუ, ტისონე, გუარენტე (77. დე აშენტისი), ლანჯელა (57. პადოინი), კ. დონი (81. პაოლუჩი), ფლოკარი.

**სამპდორია:** კასტელაცი, კ. ძენონი, კამპანიარო (19. მილიონიკო), გასტალდელო, ლუკინი, მაჯო (74. კალუ), სამარკო, ციგლერი (54. პიერი), პიერი, დელვეკიო, ბონაცოლი.

**გოლები:** 0:1 ვოლპი (3), 1:1 კ. დონი (11), 2:1 კ. დონი (32), 3:1 ფლოკარი (36), 4:1 კაპელი (52)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 14-22; **თამაშგარე:** 0-7; **კარში დარტყმა:** 13-7 (8-4); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 13 870

**ჯენოა–ნაპოლი 2:0**

**ჯენოა:** სკარპი, კონკო, ბოვო, გლეისონი (55. დე როზა), კრიშიტო, მილანეტო, პარო (20. იურიჩი), ფაბიანო (71. ა. ლუკარელი), ლეონი, ბორიელო, სკული.

**ნაპოლი:** ჯანელო, გრავა, კონტინი, დომიცი, მანინი, გარგანო (61. ლავეცი), ბლაზი, ჰამსიკი (46. ბოლიაჩინო), სავინი, კალაიო, სოსა (72. მონტერვინო).

**გოლები:** 1:0 სკული (41), 2:0 ბორიელო (75-პენ)

**გაძევება:** დომიცი (74. ნაპოლი)

**გაფრთხილება:** 1-5; **კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 19-19; **თამაშგარე:** 8-0; **კარში დარტყმა:** 13-6 (6-2); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 25 000

**პალერმო–ემპოლი 2:0**

**პალერმო:** ა. ფონტანა, ძაკარდო, რინაუდო, ბარძალი, კასანი, ჯოვ. ტედესკო (55. გუანა), მილიაჩო, სიმპლისიუ (82. კაზერტა), ბალცარეტი, კავანი (66. ბრეშანო), ამაური.

**ემპოლი:** ბასი, მარძორატი (61. ტოსტო), პრატალი, მორო, რაჯი, მარკიზიო (46. აბატე), ბუდელი, ბუშე, ანტონინი, ვანუკი, საუდატი (85. ვოლპატო).

**გოლები:** 1:0 სიმპლისიუ (14), 2:0 რინაუდო (38)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 24-12; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 14-9 (11-5); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 22 000

**ლაციო–რეჯინა 1:0**

**ლაციო:** ბალოტა, დე სილვესტრი, კრიბარი, სივილია, რადუ, დაბო (61. მუდინგაი), ლედესმა, კ. მანფრედინი, მეგნი (57. მაური), პანდევი, ბიანკი (75. როკი).

**რეჯინა:** კამპანიოლო, ჩირილო, კ. ვალდესი, არონიკა, მისიროლი, პ. ალვარესი (46. ბარეტო), კოსტა (75. კოცა), ვიჯანი (59. ბრიენცა), ჰალფრედსონი, კაშონე, მაკინვა.



სერენიმ ლაციო რამდენჯერმე იხსნა

**გოლი:** 1:0 ბიანკი (44-პენ)

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 5-7; **ჯარიმა:** 23-21; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 20-9 (12-4); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 16 000

**სიენა–კალიარი 1:0**

**სიენა:** მანინგერი, როსეტინი, პორტანოვა, ლორია, ა. როსი, ვერგასოლა, კოდრეა, გალოპა (69. ხარჯა), იაროლიმი (46. ლოკატელი), რიგანო (46. ფრიკი), მაკარონე.

**კალიარი:** სტორარი, ფ. პიზანო, ლოპესი, ბიანკო, აგოსტინი, ბიონდინი (50. კოსუ), პაროლა, კონტი, ფოჯა, ჟედა (76. მანკოზუ), ლარივეი (62. მატრი).

**გოლი:** 1:0 მაკარონე (88)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 19-20; **თამაშგარე:** 5-3; **კარში დარტყმა:** 13-11 (5-5); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 8 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 25 | 18 | 7 | 0 | 50-15 | 61 |
| 2. რომა | 25 | 15 | 7 | 3 | 42-24 | 52 |
| 3. იუვენტუსი | 25 | 13 | 9 | 3 | 44-21 | 48 |
| 4. ფიორენტინა | 25 | 12 | 8 | 5 | 37-23 | 44 |
| 5. მილანი | 25 | 11 | 9 | 5 | 37-19 | 42 |
| 6. უდინეზე | 25 | 10 | 6 | 9 | 31-35 | 36 |
| 7. სამპდორია | 25 | 10 | 5 | 10 | 32-31 | 35 |
| 8. ატალანტა | 25 | 8 | 10 | 7 | 40-38 | 34 |
| 9. ჯენოა | 25 | 9 | 8 | 8 | 30-33 | 34 |
| 10. პალერმო | 25 | 9 | 7 | 9 | 34-40 | 34 |
| 11. ნაპოლი | 25 | 8 | 6 | 11 | 36-40 | 30 |
| 12. ლაციო | 25 | 7 | 8 | 10 | 28-32 | 29 |
| 13. ტორინო | 25 | 4 | 15 | 6 | 27-30 | 27 |
| 14. პარმა | 25 | 5 | 10 | 10 | 31-37 | 25 |
| 15. სიენა | 25 | 5 | 10 | 10 | 28-34 | 25 |
| 16. ემპოლი | 25 | 6 | 7 | 12 | 21-32 | 25 |
| 17. კატანია | 25 | 5 | 9 | 11 | 21-31 | 24 |
| 18. ლივორნო | 25 | 5 | 8 | 12 | 26-39 | 23 |
| 19. რეჯინა | 25 | 4 | 9 | 12 | 21-39 | 21 |
| 20. კალიარი | 25 | 4 | 6 | 15 | 19-42 | 18 |

**ბომბარდირები:** 16 - ბორიელო (ჯენოა); 15 - ტრეზეგე (იუვენტუსი); 14 - იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), მუტუ (ფიორენტინა); 11 - დელ პიერო (იუვენტუსი), დი ნატალე (უდინეზე), ტოტი (რომა); 10 - კრუსი (ინტერი), კ. დონი (ატალანტა), ტავანო (ლივორნო); 9 - ამაური (პალერმო), ბელუჩი (სამპდორია), პანდევი (ლაციო); 8 - კაკა (მილანი), როკი (ლაციო).

## სერია B

**გამოტოვებული მატჩი**

**ასკოლი–ბრეშა 0:1**

**გოლი:** 0:1 კარაჩოლო (58)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კიევო | 27 | 17 | 6 | 4 | 49-29 | 57 |
| 2. ბოლონია | 27 | 16 | 8 | 3 | 37-16 | 56 |
| 3. ლეჩე | 27 | 16 | 7 | 4 | 44-17 | 55 |
| 4. ალბინოლეფე | 27 | 16 | 7 | 4 | 46-21 | 55 |
| 5. ბრეშა | 27 | 16 | 5 | 6 | 44-24 | 53 |
| 6. პიზა | 27 | 15 | 8 | 4 | 46-29 | 53 |
| 7. რიმინი | 27 | 13 | 6 | 8 | 38-24 | 45 |
| 8. მანტოვა | 27 | 12 | 6 | 9 | 40-33 | 42 |
| 9. მესინა | 27 | 11 | 5 | 11 | 24-37 | 38 |
| 10. ასკოლი | 27 | 9 | 10 | 8 | 35-27 | 37 |
| 11. ფროზინონე | 27 | 10 | 6 | 11 | 37-41 | 36 |
| 12. მოდენა | 27 | 8 | 9 | 10 | 37-37 | 33 |
| 13. ბარი | 27 | 7 | 10 | 10 | 34-41 | 31 |
| 14. ტრიესტინა | 27 | 7 | 9 | 11 | 28-41 | 30 |
| 15. გროსეტო | 27 | 6 | 10 | 11 | 24-38 | 28 |
| 16. პიაჩენცა | 27 | 8 | 3 | 16 | 22-37 | 27 |
| 17. ტრევიზო | 27 | 6 | 7 | 14 | 27-36 | 24 |
| 18. ვიჩენცა | 27 | 5 | 9 | 13 | 26-42 | 24 |
| 19. სპეცია | 27 | 4 | 10 | 13 | 29-43 | 22 |
| 20. აველინო | 27 | 5 | 7 | 15 | 25-41 | 22 |
| 21. ჩეზენა | 27 | 3 | 11 | 13 | 23-41 | 20 |
| 22. რავენა | 27 | 4 | 7 | 16 | 31-51 | 19 |

**ბომბარდირები:** 18 - კასტილიო (პიზა), ჩელინი (ალბინოლეფე), გოდეასი (მანტოვა); 15 - მარაცინა (ბოლონია); 14 - ლოდი (ფროზინონე), სუჩი (რავენა); 13 - გრანოკე (ტრიესტინა); 12 - ჟედა (რიმინი), პელისიერი (კიევო), პოსანცინი (ბრეშა), ტირიბოკი (ლეჩე); 11 - აბრუსკატო (ლეჩე), გუიდეტი (სპეცია), მოსკარდელი (ჩეზენა), სონჩინი (ასკოლი).

ვალენსია

# კანისარესი, ღამურების მორიგი თავსატეხი

**პრეზიდენტ სოლერს კლუბის რიგით მეორე უმსხვილესი აქციონერი დიქტატორს უწოდებს და დაუფარავ ბრძოლას უცხადებს...**





სანტიაგო კანისარესი

"ვალენსიას" თითქოს პრობლემები არ აკლდა. მთელმა სამყარომ გაიგო, რომ კლუბის ხელმძღვანელობას **დავიდ ალბელდამ** სასამართლოში უჩივლა. ყველაზე დიდი პრობლემა, რა თქმა უნდა, "ღამურების" მიერ ნაჩვენები უსახური თამაში და კატასტროფიული შედეგებია. ამას პრეზიდენტთან დაკავშირებით წინა დღეებში გავრცელებული ინფორმაციაც უნდა დავამატოთ. დაიწერა, რომ **ხუან ბაუტისტა სოლერი** თანამდებობიდან გადადგომაზე სერიოზულად ფიქრობს. ეს გარემოება, ცხადია, გუნდში არსებულ არასახარბიელო სიტუაციაზე მეტყველებს. ამ ყველაფერს შესაძლოა, კიდევ ერთი თავსატეხი დაემატოს. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, **სანტიაგო კანისარესი,** დავიდ ალბელდას მსგავსად, სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს. აი, რა განაცხადა, **რონალდ კუმანის** მიერ მოკვეთილმა ვეტერანმა მეკარემ: *"ვფიქრობ, დავიდმა აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა სრულიად დაუმსახურებლად, შელახული რეპუტაციის აღდგენის მიზნით, სასამართლოში იჩივლა. "ვალენსიას" სიყვარული ერთია, მაგრამ თავმოყვარეობა მეორე. როცა ღირსებას შეგილახავენ, ძნელია საკუთარი ინტერესების დაცვაზე არ იზრუნო. რატომღაც აქამდე არ მიფიქრია, რომ ალბელდას მსგავსად მეც მიმემართა სასამართლოსთვის. ალბათ, ქვეცნობიერად ვფიქრობდი, რომ მიხვდებოდნენ საკუთარ შეცდომას და უკან დაიხევდნენ, მაგრამ მსგავსი რამ აზრადაც არ გაუვლიათ. გადავწყვიტე, დავიდის ადვოკატებს შევხვდე და მეც მივმართო სასამართლოს. ისინი მომხდარი ფაქტის დეტალებს შესანიშნავად იცნობენ და უკეთეს რჩევას სხვაგან ვერ მივიღებ. ყველაფერს გავაკეთებ, რათა საზოგადოებამ სიმართლე გაიგოს და რა თქმა უნდა, შელახული რეპუტაცია აღვიდგინო."*

ამასობაში, "ვალენსიაში" არსებული დაძაბული ვითარება კიდევ უფრო გამწვავდა. კლუბის რიგით მეორე უმსხვილესმა აქციონერმა **ვისენტე სორიანომ** საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა: *"იმ მოტივის გამო, რომ სოლერი ყველაზე მეტ აქციას ფლობს და გუნდის პრეზიდენტია, "ვალენსიაში" ნამდვილი დიქტატურა დაამყარა. ჩვეულებრივ, უმაღლესი ხელისუფალი სხვებს აზრს უნდა ეკითხებოდეს და მათ შეხედულებებს შეძლებისდაგვარად ითვალისწინებდეს. რიგით თანამშრომლებზე რომ არაფერი ვთქვათ, სენიორ ხუანი დირექტორატის მაღალჩინოსნებსაც არაფერს ეკითხება და ყველაფერს ისე აკეთებს, როგორც თავად მოისურვებს. აშკარაა, ის ცუდი პრეზიდენტია და წარმოდგენა არ აქვს, როგორ უნდა იმართოს თანამედროვე ორგანიზაცია, ამ შემთხვევაში, საფეხბურთო გუნდი. უვარგისი მარკეტინგის გამო, "ვალენსია" ყოველდღიურად სერიოზულ ფინანსურ დანაკარგს განიცდის. მე ბიზნესმენი ვარ და ცხადია, ვერ დავუშვებ, არაკომპეტენტური ადამიანის გამო ჩემი ქონება განიავდეს. ორი გზა მაქვს, სასწრაფოდ გავყიდო აქციები, ან ვიბრძოლო იმისთვის, რომ სოლერი უშუალო მმართველობას ჩამოშორდეს. აქციები იმდენად გაიაფდა, მათი გაყიდვით დიდ ფულს დავკარგავ. გარდა ამისა, წასვლით სოლერს კარტბლანში მიეცემა და ჩვენთვის ძალიან საყვარელ "ვალენსიას" საერთოდ დაა-*

გაგრძელება მე-7 გვერდზე

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

# ჯანზე ვარ და ჩემი დროც დაბრუნდება!

## გიორგი ლომაია დროებით საქართველოში ითამაშებს



ორიოდე დღის წინათ "ლელომ" ინტერნეტ-გაზეთის ინფორმაციაზე დაყრდნობით დაწერა, რომ საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობისგან ათვალწუნებული მეკარე გიორგი ლომაია სამკურნალოდ გერმანიაში იმყოფებოდა.

გუშინ თავად გიორგი დაგვიკავშირდა და ინფორმაცია უარყო:

- გერმანიაში ვერ წავიდოდი, იქ არავინ მიწვევს და სამკურნალოც არაფერი მჭირს.

**- აბა, საიდან მოტანეს, რომ მკურნალობ? თანაც, გერმანელი ექიმის კონკრეტული გვარიც დაასახელეს...**

- წარმოდგენა არ მაქვს, დასამალი რაა, ტრავმა რომ მქონდეს, ვიტყოდი კიდეც. გერმანიაში კარგა ხანია არ ვყოფილვარ, ვიზაც არ მაქვს.

**- უგუნდოდ დარჩენილი ახლა სად ვარჯიშობ?**

- ისევ "ვიტ ჯორჯიაში" და მინდა კლუბის ხელმძღვანეობას მადლობა ვუთხრა, ასეთ დროს გვერდში რომ დამიდგა. ვვარჯიშობ, ჯანზეც ვარ და თამაშის ხასიათზეც. მოკლედ, არ დაიჯეროთ, რომ ლომაიას ტრავმა აწუხებს.

**- სად გააგრძელებ კარიერას?**

- ეს ჯერ არ ვიცი, არის რაღაც შემოთავაზებები, მაგრამ კონკრეტული წინადადება არაა.

*საქართველოს პირველი მეკარის კარიერა იტალიასთან მატჩის შემდეგ აირია. პირლოს საჯარიმო დარტყმის შემდეგ, გიორგიმ ბავშვური ბურთი გაუშვა და შეხვედრა საქართველომ 0:1 წააგო. რა Qთქმა უნდა, გიორგი უხეშად შეცდა, მაგრამ კიდევ უფრო ალმაშფოთებელი იყო ის, რაცა ამას მოყვა - გიორგი ნაკრებიდან გააგდეს, მისი ადგილი აღარააო.*

*არადა უარესებიც გაგვიგია: ლევ იაშინს ლენინგრადის "დინამოს" მეკარემ თავისი საჯარიმოდან გაუტანა, ინგლისის ნაკრებისა და "ლივერპულის" კიპერმა კლემენსმა ცენტრიდან გაუშვა, არგენტინელმა გოეკოეჩეამ მსოფლიო ჩემპიონატზე 45 მეტრიდან დარტყმული ვერ აილო...*

*ოთარ გაბელია იხსენებდა რინატ დასაევი კარიერის დასაწყისში რომ გამოჩნდა, გვეცინებოდა, ისეთ შეცდომებს უშვებდა, მაგრამ კონსტანტინე ბესკოვი ენდო და გაიზარდაო.*

*მათ შეცდომები აპატიეს, რადგან იცოდნენ, მსგავსი შეცდომისგან არც ერთი მეკარე დაზღვეული არ იყო.*

*ეს საქართველოშია - არანაირი დანდობა, ყველა, ვინც შეცდება, ავტომატურად, წარსულში უნდა დარჩეს. არც ერთ ქართველ მეკარეს ნდობა არ ალირსეს და გაზრდა არ დასცალდათ - ნიკა ჩხეიძეს, კაკო დევაძეს, ირაკლი ზოიძეს, დათო გვარამაძეს, ნიკა ტოგონიძეს. ახლა კი ვამბობთ, მეკარე არ გვყავსო.*

*ხშირად გვსმენია, აბა, რალა დროს ლომაიააო, თითქოს, ნაკრების დღევანდელი მეკარეებიდან რომელიმე სჯობდეს. თანაც, გაითვალისწინეთ, საუბარია 28 წლის მეკარეზე, რაც მისი ამპლუისთვის საუკეთესოდ ითვლება.*

*ამბობენ, ჩამომხრჩვალის ოჯახში თოკს არ ახსენებენო. დაახლოებით ასეთი ვითარებაა, როდესაც ლომაიას იტალიის ნაკრებთან გასვლით შეხვედრაზე სიტყვას ჩამოუგდებ.*

*და მაინც, იტალიასთან წაგების შემდგომ მოვლენებზე გიორგისთან გასაუბრება საჭიროდ ჩავთვალეთ.*

**- გიორგი, მაშინ უგუნდო, უთამაშებელი იყავი და ხომ შეგეძლო ტოპმიოლერისთვის გეთქვა, ასეთ მდგომარეობაში თამაში სარიკო არისო?**

- მეც კარგად ვიცი, რომ უგუნდო და უთამაშებელი იტალიასთან არ უნდა მეთამაშა, მაგრამ მაშინ ისეთი მდგომარეობა იყო, რომ ტოპმიოლერს ვერ ვთხოვდი, არ მათამაშო-მეთქი.

**- რატომ?**

- ამის თხოვნა ღალატი იქნებოდა. იტალიაში მეორე მეკარედ გიორგი მაკარიძე წამოიყვანეს, რომელიც ჩემსავით უთამაშებელი იყო, "დინამოს" სათადარიგოებში იდგა და რაც მთავარია, გამოუცდელი ბავშვი გახლავთ.

მითხრეს, ძირითადში ვითამაშებდი და მეც არაფერი მითქვამს, უარი ღალატი არ იქნებოდა? სამწუხაროდ, მოხდა ის, რაც მოხდა.

**- ჩვენ უფრო ის გვაინტერესებს, ამის შემდეგ გაკეთებულ კომენტარებზე როგორი რეაქცია გქონდა?**

- ფაქტია, რომ კარგი არ მექნებოდა. კარგად მესმის, რომ პირლოს გოლი ჩემი ბრალი იყო. ამას რა აღიარება უნდა, ისედაც ვხვდები და მაშინ ძალიან განვიცადე, მაგრამ...

**- გულგატეხილობა გეტყობა...**

- არაფერია, მჯერა, მალე ჩემი დრო მოვა. რაც არ უნდა მლანძღონ, მეკარისთვის 28 წელი საუკეთესო ასაკია და ხელი არ ჩამიქნევია. მადლობის მეტი რა მეთქმის დათო გვარამაძისადმი, რომელმაც "ლელოსთან" ინტერვიუში ჩემზე კარგად ისაუბრა, ძალიან გამახარა და გამამხნევა. მან ყველაზე მეტად იცის ჩემი სატკივარი, რადგან თავადაც მსგავსი უნდობლობით მოკლეს და კარიერა ნაადრევად დაამთავრებინეს. ამ დროს, მსოფლიო დონის მეკარის ნიჭი ჰქონდა.

მარტო ჩემი და ქართველი მეკარეების ბრალია, საქართველომ იტალიასთან რომ წააგო და ვერაფერს იგებს? მწვრთნელს შეუძლია ფეხბურთელი და განსაკუთრებით, მეკარე დიდი სიმაღლეზე აიყვანოს, ვარსკვლავად ჩამოაყალიბოს.

**- დროებით რომელიმე ქართულ კლუბში თამაშზე არ გიფიქრია?**

- ვფიქრობ, როგორ არა, აბა, ასე როდემდე დავრჩე? შესაძლოა, მეორე წრეში ფორმის შესანარჩუნებლად ვითამაშო. ადრე, საქართველოში დაბრუნება

არ მსურდა, მაგრამ ჩემს მდგომარეობაში თამაში აუცილებელია. ახლა მსურს გარკვევა, აქ რომ სამი თვე დავრჩე, შემდეგ სხვა გუნდში გადასვლის შემთხვევაში, პრობლემა ხომ არ შემექმნება. მე მაინც ვცდილობ, ფორმა ჩევინარჩუნო და ვნახოთ, იმედია, უგუნდოდ დიდხანს არ დავრჩები.

მერაბ მამულაშვილი

ინტერვიუ ვანო ხორგუაშვილთან

# ბათუმში ორი ქულა დავკარგეთ

**გორის „დილასთვის" უმთავრესი ამოცანა ამჯერადაც უმაღლეს ლიგაში დარჩენისათვის ბრძოლაა. გასულ სეზონშიც მეორე წრის დასაწყისში იმავე ვითარებიდან გამოსასვლელი პირველი შერკინება „დილას" სწორედ ბათუმში ჰქონდა. გუნდის მთავარ მწვრთნელ ვანო ხორგუაშვილთან საუბარიც აჭარული შეხვედრით დავიწყეთ.**

- ბათუმში უშუალო კონკურენტთან გვქონდა შეხვედრა და შესაბამისად, მეტად პრინციპული გახლდათ. აჭარლები ზამთრის შესვენებისას რამდენიმე კარგი ფეხბურთელით გაძლიერდნენ. „დილამ" იბრძოლა და მოგებაც შეეძლო. უკმაყოფილო ვარ მეორე წუთზევე ბათუმის კარში გატანილი და მსაჯის შეცდომით არჩათვლილი გოლით, არადა ეს სწრაფი გოლი იყო, რომელსაც კონკრეტულ მატჩში შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონოდა. ვფიქრობ ამ მიზეზით ფაქტობრივად ორი ქულა დავკარგეთ.

**- შედეგით არა, მაგრამ საკუთარი გუნდის თამაშით თუ ხართ კმაყოფილი?**

- არა ვარ კმაყოფილი, რადგან ბათუმში ჩვენი შესაძლებლობების მხოლოდ ნახევარი თუ გამოვავლინეთ. არ დავაკონკრეტებ რომელიმე სათამაშო რგოლის ხარვეზს, უბრალოდ ვიტყვი, რომ „დილას" ახლა უფრო მეტი შეუძლია.

**- რამდენად წაგადგათ ამ საქმეში მოსამზადებელი ეტაპი, ანუ რამდენად ნაყოფიერი გამოდგა იგი?**

- ძალიან სერიოზულად მოვემზადეთ როგორც ფიზიკური, ისე ტექნიკური და ტაქტიკური თვალსაზრისით. როგორც მშობლიურ ქალაქში ისე, ზღვისპირეთში. ფეხბურთელების შესაძლებლობათა უკეთ დასანახად კარგი სამსახური გაგვიწია ამხანაგურმა მატჩებმა, სადაც სხვათაშორის ოთხიდან სამჯერ გავიმარჯვეთ კიდეც.

**- გულშემატკივარი ფიქრობდა, რომ რამდენიმე ძლიერ ფეხბურთელს მაინც დაიმატებდით...**

- ის კონტიგენტი, რაც იყო გუნდში, ვერ ვიტყვით, რომ არასახარბიელოდ ირჯება. დასახული ამოცანის შესრულებისათვის შედეგიანი ბრძოლა ამათაც შეუძლიათ.

**- ვერც გორიდან საქართველოს სხვადასხვა გუნდებში მოთამაშე ფეხბურთელთა დასაბრუნებლად მუშაობამ გამოიღო შედეგი...**

- მართლაც მონდომებულები ვიყავით, ადგილობრივი საფეხბურთო სკოლების აღზრდილთა დასაბრუნებლად, მაგრამ მათ კონტრაქტი აკავშირებთ ამჟამინდელ გუნდებთან და მოცემულ ეტაპზე გაჭირდა მათი „დილაში" დაბრუნება.

**- „დილის" ისტორიაში ერთადერთი შავკანიანის გორული კარიერა როგორც ჩანს ხანმოკლე გამოდგა.**

- ნიგერიელი დიქსონ ჩუკვუ იანვარშივე გავუშვით გუნდიდან.

**- თასის მეოთხედფინალური საშინაო მატჩის შედეგიდან (3:2) გამომდინარე, საპასუხო შეხვედრა ბორჯომში ძნელი უნდა იყოს. ულირს კი უმაღლეს ლიგაში დასარჩენად მებრძოლ „დილას" თასის მომდევნო ეტაპისთვის ძალების ხარჯვა?**

- უმთავრესი მიზანი სწორედ უმაღლეს ლიგაში დარჩენაა, თუმცა თასის საპასუხო შეხვედრაშიც ვიბრძოლებთ. თუ მოვახერხეთ, ნახევარფინალზეც არ ვიტყვით უარს.

**- მომდევნო მატჩი „ამერთან" გაქვთ. მეტოქე საკმაოდ ძლიერია, რას გეგმავთ?**

- მეტოქესთან რასაკვირველია მეტისმეტად ძნელი მატჩი იქნება, მაგრამ აუცილებლად მოსაგებად ვიბრძოლებთ.

**- რეგიონის ხელმძღვანელობიდან ყურადღებამ ხომ არ იკლო ახალი გუბერნატორის მოსვლის შემდეგ?**

- არანაირად არ იკლო. ისევ კარგი მდგომარეობაა ამ თვალსაზრისით. მასთან უკვე გავმართეთ რამდენიმე შეხვედრა. „დილასთან" მიმართებაში გამოჩენილი ყურადღება მაფიქრებინებს, რომ გუნდის საქმე შედეგების მხრივ სულ უფრო წინ წავა.

ვასილ ბალახაძე

გორიდან


# დელგადო აგრძელებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში

## დიდი ტრამპლინი საქართველოს ნაკრები გუნდებისა და ევროპის კლუბებისკენ



ედუარდო დელგადო 2008 წლის 30 მარტს არგენტინაში იწვევს 17-18 წლის ასაკის პერსპექტიულ ფეხბურთელებს მაღალ დონეზე მოსამზადებლად.

მომზადების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. მომზადების სრული კურსის დაძლევის შემდეგ, ფეხბურთელები დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში, სადაც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს.

დელგადოს მიერ მომზადებულ ფეხბურთელებს, რომლებიც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს არგენტინის კლუბებში, შეეძლებათ გააგრძელონ თამაში და გააფორმონ კონტრაქტი ევროპის საფეხბურთო კლუბებთან.

მომზადების პროცესი ფასიანია. ასევე, ავია-ბილეთების, ადგილზე ბინის, კვების, არგენტინის ვიზისა და შიდა ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯებს ანაზღაურებს მსურველი ან მისი სპონსორები.

დაწვრილებითი ცნობებისა და საბუთების გასაფორმებლად მსურველები უნდა გამოცხადდნენ არგენტინის წარმომადგენელთან შემდეგ მისამართზე: თბილისი, ლეონიძის 4. (ყოფილი კიროვის ქუჩა, თავისუფლების მოედანთან).

მსურველთა მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 10 მარტიდან 22 მარტამდე, ყოველდღე (კვირის გარდა), 13-დან-15 საათამდე,

ფეხბურთელები არგენტინაში გაემგზავრებიან 2008 წლის 29 მარტს.

**საკონტაქტო ტელეფონი: 899 23-55-20**

ლევანტე

# დარჩება დე ბიაზი კიდევ ერთი წლით?

ოთხშაბათს, გვიან საღამოს, "ლევანტეს" მთავარი მწვრთნელი **ჯოვანი დე ბიაზი** კლუბის ოფისში დაიბარეს. მასთან საუბარი ადმინისტრაციული საბჭოს წევრებს სურდათ. დანიშნული შეხვედრის შესახებ ჟურნალისტებმაც შეიტყვეს და იფიქრეს, რომ იტალიელ სპეციალიტს თანამდებობიდან გადასაყენებლად იბარებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ "ლევანტემ" მეორე წრის მცირე მონაკვეთში ზუსტად იმდენივე ქულა მოიპოვა, რამდენიც მთლიანად პირველ წრეში, გუნდის მდგომარეობა დიდად მაინც არ გაუმჯობესებულა. ალბათ, ამიტომ ფიქრობდნენ, რომ აპენინელს გადააყენებდნენ...



ჯანი დე ბიაზი

თუმცა რეალობა აბსოლუტურად განსხვავებული აღმოჩნდა. ადმინისტრაციულმა საბჭომ დე ბიაზის პირიქით, თანამშრომლობის გახანგრძლივება შესთავაზა. ამის შესახებ ვალენსიური კლუბის პრესმდივანმა **ხავიერ ნავარომ** განაცხადა: *"ხელმძღვანელობა სენიორ ჯოვანის მუშაობით ძალიან კმაყოფილია. მისი ხელი აშკარად დაგვეტყო. ამიტომ, საბჭოს წევრებმა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს, დე ბიაზისთვის თანამშრომლობის ერთი წლით გახანგრძლივება შეეთავაზებინათ. უახლოეს დღეებში, ალბათ მოლაპარაკებები დაიწყება. ჯერჯერობით, არ ვიცით, როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს მთავარი მწვრთნელი. მისგან მხოლოდ ის გვსმენია, რომ ვალენსიაში კომფორტულად გრძნობს თავს. დანარჩენს დრო და მოლაპარაკებათა რამდენიმე სერია გამოააშკარავებს. იმედია, ყველაფერი კარგად დასრულდება."*

დე ბიაზი მოგვიანებით "დიარიო მარკას" კორესპონდენტს შეხვდა და დაახლოებით იგივე თქვა, რაც სენიორ ნავარომ გაახმაურა. იტალიელს ჯერ არ გადაუწყვეტია დარჩეს თუ არა უფრო მეტი ხნით "ლევანტეში". ვალენსიაში ცხოვრება კი სიამოვნებს, მაგრამ მისი გუნდი უმწვავეს კრიზისშია და სიტუაციის გაუმჯობესების გზებს თუ არ დაინახავს, დარჩენას მართლაც არ ექნება აზრი.

## აბრამოვიჩი 100 მილიონს დახარჯავს

"დეილი ექსპრესი" "ჩელსის" საზაფხულო ტრანსფერების თემას მორიგ სტატიას უძღვნის. პოპულარული გამოცემა იუწყება, რომ **რომან აბრამოვიჩი** შემადგენლობის გასაძლიერებლად 100 მილიონი გირვანქის დახარჯვას აპირებს და რომ მისი უმთავრესი სამიზნე მსოფლიოსა და ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი **კაკა** იქნება. "დეილი ექსპრესის" ვარაუდით, მილანელი ვარსკვლავის ტრანსფერისთვის 25 მილიონი გირვანქა (50 მილიონი დოლარი) სავსებით საკმარისი იქნება. აბრამოვიჩი ვალენსიისა და ესპანეთის ნაკრების თავდამსხმელის, **დავიდ ვილიას** შეძენასაც აპირებს. ეს უკანასკნელი 15 მილიონი გირვანქა ღირს. ვილიას შეძენა ჯერ კიდევ ჟოზე მოურინიოს სურდა. გასული წლის იანვარში, იმ დროს, როცა ტრავმების გამო "ჩელსის" თავდასხმა შესუსტებული იყო, პორტუგალიელმა მწვრთნელმა ვალენსიელი ვარსკვლავის შეძენა მოითხოვა, მაგრამ ცივი უარი მიიღო. მწვრთნელსა და პრეზიდენტს შორის ურთიერთობა პირველად მაშინ გამწვავდა. იმხანად ლონდონური კლუბის ხელმძღვანელობამ ტრანსფერზე უარი იმით ახსნა, რომ შემადგენლობის გასაძლიერებლად ასტრონომიული თანხების დახარჯვას აღარ აპირებდნენ. ერთი წლის თავზე მაშინდელი განცხადება აღარავის ახსოვს. ლონდონელებს მოსალოდნელ გარიგებასთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებიათ.

## ლორენტეს გარდა, გოლი ვერავის გააქვს

პრიმერა დივიზიონის დებიუტანტის კვალობაზე "ვალიადოლიდი" საკმაოდ კარგად ასპარეზობს, თუმცა ისიც ფაქტია, რომ კასტილიურ კლუბში ყველაფერი რიგზე არ არის. თუნდაც, "სანტიაგო ბერნაბეუზე" "რეალთან" განცდილი კატასტროფული მარცხი (0:7) რად ღირს. ერთ შეხვედრაში შვიდი ბურთის გაშვება დაცვის უსუსურობაზე მეტყველებს. რა თქმა უნდა, ეს დიდი პრობლემაა... თუმცა არანაკლებ მწვავე პრობლემად თავდასხმაში არსებული სირთულეები უნდა მივიჩნიოთ. საქმე ის არის, რომ "ვალიადოლიდში" 6 იანვრის შემდეგ გოლები მხოლოდ და მხოლოდ **ხოსება ლორენტეს** გააქვს. ბასკი ფორვარდი შესანიშნავ ფორმაშია და ეს ყველას ახარებს, მაგრამ ის გუნდი რა გუნდია, სადაც მოწინააღმდეგის კარის დალაშქვრა ერთი კაცის მეტს არავის შეუძლია. აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ხოსე ლუის მენდილიბარმა** განაცხადა, ხარვეზების არსებობას, რა თქმა უნდა, ვაღიარებთ და ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენი ბედი მხოლოდ ლორენტეს გოლებზე არ იყოს დამოკიდებულიო. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ბატონმა მენდილიბარმა ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად საშინაო მატჩებში მაინც უნდა დააყენოს ორი ფორვარდი.

THE TIMES. ჯანლუკა ვიალისა და ფრენკ ლემპარდის შეხვედრა

# ჩვენ არ გვინდა მწვრთნელობა!



ჯანლუკა ვიალი

**გაზეთმა "თაიმსმა" "ჩელსის" სხვადასხვა თაობის ორი ვარსკვლავის, ჯანლუკა ვიალისა და ფრენკ ლემპარდის შეხვედრის ორგანიზება ითავა. მართალია, მათ ერთად არ უთამაშიათ, მაგრამ საუბრის დროს ერთმანეთთან საერთო ენა უმალ გამონახეს. ლემპარდი "არისტოკრატებში" მაშინ მივიდა, როცა ვიალი ცხრა თვის ნასული იყო. სამაგიეროდ, ისინი ახლა მეზობლები არიან. მათი საცხოვრებელი ერთმანეთს რამდენიმე ათეული მეტრით, "სტემფორდ ბრიჯიდან" წუთების სავალზეა დაშორებული. ვიალიმ "ჩელსიში" 5 წელი დაჰყო, ჯერ როგორც ფეხბურთელმა, მერე კი როგორც მწვრთნელმა. ლემპარდი კი დღესაც თამაშობს. ის გუნდის სული და გულია. მათ ერთმანეთი ხსენებული შეხვედრის დროს გაიცნეს...**

*"ჩვენ დაცვითი რეფლექსი გვაქვს გამომუშავებული. კარგი იქნებოდა, ილაპარაკო ყველაფერი, რასაც ფიქრობ, იყო გულახდილი ნებისმიერ თემაზე საუბრის დროს... მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ შენს მიერ ნათქვამი შენსავე წინააღმდეგ შეიძლება იყოს გამოყენებული. ხანდახან, ჟურნალისტები ტექსტიდან ისე ჭრიან ფრაზებს, როცა წაიკითხავ, აბსოლუტურად განსხვავებულ აზრს იღებ იმისგან, რაც თქვი"*, - ასე იწყებს საუბარს **ჯანლუკა ვიალი**.

იქვე, საუბარში **ფრენკ ლემპარდი** ერთვება: *"დიახ, კარგი იქნებოდა, განსაკუთრებით საკუთარი თამაშის ანალიზი. მაგრამ შეიძლება, ერთი ისეთი ფრაზა ისროლო, რომ მყისვე შენს იმიჯზე იმოქმედოს. სიფრთხილეა საჭირო. ჩვენ ხომ მარტო ისე არ გვიყურებენ, როგორც ფეხბურთელებს, ჩვენ გვაფასებენ ასევე, როგორც პიროვნებებს".*

მაგრამ ზოგჯერ ხვდები ისეთ სიტუაციაში, როცა კითხვაზე პასუხის გაცემა გიჭირს: *"ხანდახან, ეს პატივისცემის საკითხია. მაგალითად, თუ მკითხავთ - რომელი სჯობს, ჯერარდი თუ ლემპარდი? ამაზე ჩემი აზრი მაქვს. მაგრამ არ მინდა, რომ ამაზე გაზეთებმა დაწერონ. შესაბამისად, ამგვარ კითხვებს არ ვპასუხობ"*, - ამბობს იტალიელი.

შემდეგ, საუბარი გადადის პრესაში გავრცელებულ სპეკულაციებზე, რომელიც უშუალოდ ლემპარდის მომავალს ეხება. გულშემატკივრები მისგან პირდაპირ და კონკრეტულ პასუხს ითხოვენ, მაგრამ 30 წლის ნახევარმცველი გრძნობს, რომ მისი კარიერა დასასრულს უახლოვდება. ამიტომ, მან კარგად აწონილი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, გადაწყვეტილება იმაზე, თუ როგორი იქნება მისი ცხოვრება ფეხბურთის გარეშე. ვიალი ამაზე ასე ფიქრობს:

*"ჩემი კარიერა საკმაოდ მდიდარი იყო მოვლენებით, ასევე იყო მწვრთნელობის დროსაც. მართალია, ეს დიდხანს არ გაგრძელებულა, მაგრამ ახალგაზრდა ვიყავი და ამ საქმიანობამ ძალები გამომაცალა. წარმატებებიც მქონდა და წარუმატებლობაც... ორჯერ გამათავისუფლეს პოსტიდან... შემდეგ, ჩემი პრიორიტეტები შეიცვალა. ფეხბურთში 25-წლიანი მოღვაწეობის განმავლობაში ახლაღა მივხვდი, რომ ჩემი ოჯახი ბედნიერი უნდა იყოს. ვერ ვგრძნობ აუცილებლობას, რომ მაინცა და მაინც მწვრთნელი ვიყო. მაგრამ, რა თქმა უნდა, ნებისმიერ მომენტში შემიძლია დაბრუნება. მაგრამ როცა ვუყურებ მწვრთნელებს ტელევიზიით და ვხედავ მათ გაფითრებულ სახეებს, როცა აშკარად იგრძნობა უზარმაზარი სტრესი, ამ ფონზე ბედნიერი ვარ, რომ ოჯახის კაცი გავხდი".*

*"ჯანლუკას აბსოლუტურად ვეთანხმები, - აგრძელებს ლემპარდი, - სამწვრთნელო სამუშაო არც მე მხიბლავს და ამას არც ვაპირებ. მე მიყვარს ფეხბურთი და ეს ჩემი ცხოვრებაა. მერე, როცა კარიერას დავასრულებ, ვივლი "ჩელსის" თამაშებზე და საყვარელ კლუბს გულმხურვალედ ვუქომაგებ. მაგრამ მწვრთნელობა? არა, არ მინდა. მინდა ვიმოგზაურო, ვიყო ოჯახთან ერთად და მშვიდი ცხოვრებით ვიცხოვრო".*

ვიალი: *"...მაგრამ რაღაც მაინც გაკლდება, მაგალითად, შაბათის ვნება, ფეხბურთი, აჟიოტაჟი... ისიც პრობლემაა, როცა ამას აღარ განიცდი. მაგრამ ჩემს შემთხვევაში ეს დანაკლისი ტელეექსპერტად მუშაობით კომპენსირდება".*

*"რა თქმა უნდა, მოსაწყენი იქნება, - ეთანხმება ფრენკი, - მაგრამ ვფიქრობ, შემიძლია, რომ ფეხბურთს კიდევ რაღაც მივცე, რაღაცით კიდევ გავამდიდრო და მეც მივიღო უფრო მეტი... იცით, როცა რაღაცას აკეთებ, ვალდებული ხარ, ეს საქმე უმაღლეს დონეზე შეასრულო, როგორც ამას ჟოზე მოურინიო აკეთებდა".*

თემა **ფაბიო კაპელოთი** იცვლება. ის ახლა ინგლისის ნაკრების მწვრთნელია და ბუნებრივია, მოსაუბრენი ამ საკითხს გვერდს ვერ აუვლიდნენ: *"მას აქვს გამოცდილება, დამაჯერებლობა და საკუთარი ძალების ურყევი რწმენა. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ კლუბსა და ნაკრებში მუშაობის სპეციფიკა ერთმანეთისგან განსხვავდება. კაპელოს ერთ-ერთი გამორჩეული თვისებაა, ზუსტად შეარჩიოს ის მოთამაშეები, ვინც სჭირდება და მერე დაარწმუნოს კლუბის პრეზიდენტი, რომ მათი ყიდვა აუცილებელია. მაგრამ ახლა, ის ვერ სთხოვს ინგლისის საფეხბურთო ასოციაციას რომელიმე ფეხბურთელის, მაგალითად, ცენტრფორვარდის ყიდვას. შესაბამისად, მას მხოლოდ იმ მოთამაშეებთან მოუწევს მუშაობა, რომლებიც მის განკარგულებაში იქნებიან. ვფიქრობ, ინგლისს დიდი პოტენციალი აქვს, ფაბიო იძულებული იქნება, რამდენადმე შეცვალოს მუშაობის სტილი და საქმისადმი მიდგომა. რაც არ უნდა იყოს, ადრე მას ყოველდღიური კონტაქტი ჰქონდა შეგირდებთან, ახლა კი მათ მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე უნდა შეხვდეს. ეს სერიოზულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. სწორედ ამ მცირე დროში მოუწევს მას, რომ ფეხბურთელებს რაღაც ახალი უთხრას და ასწავლოს"*, - ასკვნის ვიალი.

შემდეგ ის თანამოსაუბრეს მიმართავს: *"მაგალითად, მე ვნახე მისი პირველი მატჩი შვეიცარიასთან და მომეჩვენა, რომ მას უნდა, ინგლისის ნაკრებს პასით თამაში ასწავლოს. გამისწორეთ, თუ რაიმეში ვცდები: რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სხვა მწვრთნელების ხელში თქვენ მსგავსს არაფერს აკეთებდით. მიპასუხეთ, ფრენკ: შეგიძლიათ, მიაღწიოთ ეფექტურობას ახალი ამოცანების შესრულებისას იმ პირობებში, როცა ნაკრების მწვრთნელთან ერთად მხოლოდ რამდენიმე დღეს ატარებთ"?*

*"ჩვენ გვყავს გუნდი, რომელსაც ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლია, ასევე, როგორც ახლო წარსულმა გვაჩვენა, ჩვენი გუნდი ერთ-ერთი იმათგანია, რომელსაც შეუძლია, ნებისმიერ მეტოქესთან წააგოს. თანამედროვე ფეხბურთში წინა პლანზე გამოდის ორგანიზებულობა და ტაქტიკური განსწავლულობა. სულაც არ არის აუცილებელი, ლამაზი და გახსნილი ფეხბურთი ითამაშო. ევრო 2004-ზე საბერძნეთის ნაკრების მაგალითი ამ მხრივ ყველაზე თვალსაჩინოა. ავიღოთ, თუნდაც, იტალიის ნაკრების გამოსვლა 2006 წლის მუნდიალზე, თუ არ ჩავთვლით გერმანიასთან ნახევარფინალურ მატჩს. როცა შემტევ ფეხბურთს თამაშობ, მეტოქეს ყველა რგოლში უნდა აჯობო, სხვა მხრივ, ეს დიდი რისკია, მიუხედავად სათამაშო უპირატესობისა. როცა "ჩელსიში" ახალი გადასული ვიყავი, ვაგებდით ისეთ გუნდებთან, როგორიც ნორვეგიული "ვიკინგი" იყო. მოედანზე შეტევის სურვილით გავდიოდით, მაგრამ ვუშვებდით გოლებს და ტურნირებს მალევე ვემშვიდობებოდით... მაგრამ კლაუდიო რანიერისა და ჟოზე მოურინიოს წყალობით, თამაშისადმი ამგვარი მიდგომა წარსულში დავტოვეთ. ინგლისის ნაკრებმაც ანალოგიური რამ უნდა გააკეთოს"*, - დარწმუნებულია ლემპარდი.



ფრენკ ლემპარდი

ვიალი 32 წლისა იყო, როცა "იუვენტუსი" დატოვა და გადაწყვიტა, საკუთარი ძალები უცხოეთში გამოეცადა. თანამოსაუბრენი მივიდნენ დასკვნამდე, რომ ამგვარი გამოცდილება ნებისმიერ ფეხბურთელს შეიძლება გამოადგეს: *"ყოველთვის ვურჩევდი იტალიელ ფეხბურთელებს, რომ პრემიერლიგაში გადასვლაზე უარი არ ეთქვათ. ეს არის ახალი გამოცდა, გამოწვევა, ეს არის აგრეთვე შანსი იმისი, რომ გაიფართოვო თვალსაწიერი, ბევრი რამ ისწავლო და ცოდნა გაიმდიდრო. ამას ჩემს მაგალითაზე ვამბობ: ინგლისურმა ფეხბურთმა ჩემი საუკეთესო თვისებები გამოაჩინა, ისეთიც კი, რომელზეც მანამდე წარმოდგენაც არ მქონდა. ვფიქრობ, ფრენკისთვის იტალიაში ან ესპანეთში გადასვლა ანალოგიურ ეფექტს გამოიღებს".*

*"ვეთანხმები ჯანლუკას. თანამედროვე ფეხბურთში ამგვარი გამოცდილება, შეიძლება, მართლაც სასარგებლო იყოს. წარმოიდგინეთ, ინგლისის ნაკრებში რომ ეთამაშა ოთხ-ხუთ ისეთ ფეხბურთელს, რომლებიც სხვადასხვა ჩემპიონატებში გამოდიან. ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ უფრო მეტი იცი, ვიდრე საჭიროა... მაგრამ ჩვენთვის, ყველასთვის, პრემიერლიგა საკმაოდ კომფორტულია. ახლა, როცა ინგლისში ნაკლებ ხელფასს არ უხდიან ფეხბურთელს, ვიდრე იტალიასა და ესპანეთში, ცალკეულ შემთხვევებში კი გაცილებით მეტსაც, ბევრი უსვამს კითხვას საკუთარ თავს - რამდენად მიზანშეწონილია ასეთ დროს უცხოეთში გადაბარგება"?* - ალბათ, ამ კითხვას ლემპარდიც უსვამს საკუთარ თავს და ამიტომაც ამბობს უარს "იუვენტუსისა" და "ბარსელონის" შეთავაზებებზე.

წავა ლემპარდი ვიალის გზით? ალბათ, ამ კითხვაზე პასუხს ზაფხულში გავიგებთ. შეიძლება დავასკვნათ, რომ "ჩელსის" დღევანდელი ლიდერისთვის უცხოეთში გამგზავრება დახურული თემა არ არის, თუნდაც კომფორტული პრემიერლიგის ფონზე...

ბაიერნი

# ბავარიელები ბევრ ფულს აღარ დახარჯავენ

## რუმენიგე: კლინსმანს ყოველ მხრივ გამართული გუნდი ხვდება



ბაიერნის დირექტორატი იურგენ კლინსმანს გაშლილ სუფრაზე იწვევს

მიუნხენის "ბაიერნი" საზაფხულო ტრანსფერებში ბევრ ფულს აღარ დახარჯავს. ეს განცხადება ბავარიელთა ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ ჰაინც რუმენიგემ** გააკეთა. ახალ მწვრთნელს, **იურგენ კლინსმანს** იმ ფეხბურთელებით მოუწევს ფონს გასვლა, რომელსაც **ოტმარ ჰიტცფელდი** დაახვედრებს. შემადგენლობაში მცირე კორექტივებს, რასაკვირველია, შეიტანენ, მაგრამ შარშანდელის მსგავსი ხელგაშლილობა აღარ განმეორდება. შეგახსენებთ, გასულ ზაფხულს "ბაიერნმა" მისთვის უჩვეულო თანხა, 69 მილიონი ევრო (100 მილიონი დოლარი) დახარჯა. მან სამი უმაღლესი კლასის ფეხბურთელი - **ფრანკ რიბერი, ლუკა ტონი** და **მიროსლავ კლოზე** შეიძინა

მიუნხენელები ბუნდესლიგის ერთპიროვნული ლიდერები არიან. ისინი უახლოეს მდევარ ბრემენის "ვერდერს" ოთხი ქულით უსწრებენ. გერმანულმა გრანდმა უეფას თასის მერვედფინალშიც გააღწია. ამის მიუხედავად, სეზონის დასრულებისთანავე კლუბს მთავარი მწვრთნელი შეეცვლება. ჰიტცფელდს გერმანიის ნაკრების ყოფილი თავკაცი კლინსმანი შეცვლის. ოტმარი კი შვეიცარიის ნაკრებში გაემგზავრება.

აი, რა განუცხადა რუმენიგემ პოპულარულ ტაბლოიდ "ბილდს": *"გადავხედოთ ჩვენი გუნდის დაცვას, ნახევარდაცვას ან თავდასხმას. არა მგონია, რომელიმე რგოლი გაძლიერებას საჭიროებდეს. "ბაიერნი" სრულყოფილი კოლექტივია. მას შესამჩნევად სუსტი წერტილები არ გააჩნია. დარწმუნებული ვარ, ამ შემადგენლობით, უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა შეიძლება. რაც შეეხება სატრანსფერო პოლიტიკას, ამ ეტაპზე ყოველ წელს ერთი სუპერვარსკვლავის შეძენა შეუძლებლად მიმაჩნია. იმისთვის, რომ კლუბმა საკუთარ თავს ამის უფლება მისცეს, სატელევიზიო შემოსავლებმა მინიმუმ 25 მილიონ ევროს უნდა გადააჭარბოს."*

გასულ ზაფხულამდე ბავარიელთა გენერალურ მენეჯერ **ული ჰიონესს** იმით მოჰქონდა თავი, რომ კლუბის საბანკო ანგარიშმა უპრეცედენტო მასშტაბებს მიაღწია. მაგრამ "ბაიერნი" თანხას ყოველთვის ეკონომიურად ხარჯავდა. მიუნხენელთა ხარჯები ახლოსაც ვერ მოვიდოდა წამყვანი ინგლისური, ესპანური ან იტალიური კლუბების ხარჯებთან. "ბაიერნის" ეკონომია იმით დასრულდა, რომ 2006-07 წლების სეზონში კლუბმა სრული ფიასკო იწვნია. ის არათუ გერმანიის ჩემპიონი ვერ გახდა, სამეულშიც კი ვერ გააღწია და ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩა. ეს იყო "ბაიერნის" ყველაზე სუსტი სეზონი ბოლო ათი წლის განმავლობაში. მეტის მოთმენა შეუძლებელი იყო. დირექტორატმა ჯიბეზე ხელი გაიკრა და სარეკორდო თანხა დახარჯა, მაგრამ იმ ამბებიდან ერთი წლის თავზე ის ისევ ძველ პოლიტიკას უბრუნდება. რუმენიგე ამბობს, რომ ეს ყველაფერი პრაგმატული მოსაზრებებითაა ნაკარნახევი. გუნდი ფულს დახარჯავდა, რომ სჭირდებოდეს, მაგრამ არ სჭირდება.

აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ "ბაიერნმა" მომავალი სეზონისთვის გარკვეული ინვესტიციები უკვე განახორციელა. მაგალითად, მან ახალგაზრდა ბრაზილიელი მცველი **ბრენო** და გერმანიის ნაკრების ნახევარმცველი **ტიმ ბოროვსკი** შეიძინა. რუმენიგეს სრულად ეთანხმება ენაჭარტალა **ული ჰიონესიც.** ის ამბობს, რომ გაუმართლებელია ტრანსფერები ტრანსფერებისთვის, ისე, როგორც ამას მთელი რიგი ევროპული გრანდები აკეთებენ (ესეც ჰიონესის სიტყვებია). გასულ ზაფხულს ულიმ არა მხოლოდ ბევრი ფული დახარჯა, არამედ ბევრიც გააკეთა. "ბაიერნმა" სამი ფეხბურთელის გაყიდვით 35 მილიონი ევრო მოიხვეჭა. შეგახსენებთ, ნახევამცველი **ოუენ ჰარგრივსი** "მანჩესტერ იუნაიტედში" გაუშვეს, თავდამსხმელი **როი მაკაი** - "ფეიენოორდში", ხოლო მეორე თავდამსხმელი **როკე სანტა კრუსი** - "ბლექბერნში". უცნობია იმ ფეხბურთელების ვინაობა, რომელთაც ჰიტცფელდთან ერთად "ბაიერნიდან" აბარგება მოუწევთ.

ახლავე შეიძლება ითქვას, რომ წამსვლელთა შორის **ლუკას პოდოლსკი** არ იქნება. ჰიონესმა განაცხადა, რომ კლინსმანმა პოდოლსკისთან კონტრაქტის გაგრძელება მოითხოვა. ამიტომ მიუნხენელებმა უარით გაისტუმრეს ყველა კლუბი, რომელთაც ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშის შეძენა ენადა. პოდოლსკის ტრანსფერზე ბევრს საუბრობდნენ. ლუკასი ბავარიელთა ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება, მაგრამ კლინსის სურვილმა სპეკულაციებს საფუძველი გამოაცალა.



მირკო სლომკა

შალკე

# რა ელის სლომკას?

## გუნდის შედეგებზე მარტო მწვრთნელს არ მოსთხოვენ პასუხს

"შალკეს" დირექტორატმა საგანგებო სხდომა გამართა. მასზე კლუბის ბოლოდროინდელი შედეგები განიხილეს. გერმანელი მიმომხილველების ცნობით, მთავარი მწვრთნელის, **მირკო სლომკას** მომავალი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

გასულ კვირას გელზენკირხენელებმა ჩემპიონთა ლიგის პირველი მერვედფინალური მატჩი ჩაატარეს. მათ "პორტუ" მინიმალური ანგარიშით დაამარცხეს და მომდევნო ეტაპზე გასვლის კარგი შანსი აქვთ. მაღაროელებს ლიგის მეოთხედფინალში არასოდეს უთამაშიათ. მაგრამ ერთია ევროპული წარმატება და მეორე საშინაო ფრონტზე არცთუ ისე დამაჯერებელი ასპარეზობა. "შალკემ" ბოლო ორი მატჩი წააგო: გასულ უქმეებზე "ლევერკუზენთან" 0:1, ხოლო ერთი კვირით ადრე - "ვოლფსბურგთან" 1:2. გელზენკირხენელები გათამაშების ლიდერ "ბაიერნს" 11 ქულით ჩამორჩნენ. ჩემპიონატის დასრულებამდე 13 ტურია დარჩენილი. 21 ტურის შემდეგ "შალკეს" 9 მოგება, 8 ფრე ("ბაიერნმაც" ამდენივე მატჩი დაასრულა ფრედ) და 35 ქულა აქვს. ის ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელ მესამე ადგილს სამი ქულით ჩამორჩება. ეს ადგილი ამჟამად ლევერკუზენის "ბაიერნს" უჭირავს.

საგანგებო სხდომის შემდეგ "შალკეს" პრეზიდენტმა **იოზეფ შნუსენბერგმა** ასეთი კომენტარი გააკეთა: *"ნათელია, რომ გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ, მაგრამ ეს არ იქნება ნაჩქარევად მიღებული გადაწყვეტილება. ჩვენ ყველაფერს ავწონ-დავწონით. შესაძლოა, კლუბს სპორტული დირექტორი სჭირდებოდეს."*

შნუსენბერგმა გარკვევით თქვა, რომ ზომების მიღება აუცილებლად მწვრთნელის გათავისუფლებას არ გულისხმობს, თუმცა გერმანულ ტაბლოიდებს საუბარი მაინც აქეთ მიჰყავთ. კლუბის პრეზიდენტი სლომკას ამ დღეებში შეხვდება და მწვრთნელის პოზიციას მოისმენს. მას ისიც აინტერესებს, რატომ არ თამაშობენ ახალწვეულები - **ალბერტ შტრაიტი** და **ვისენტე სანჩესი,** რომლებიც ზამთრის ტრანსფერებისას 6 მილიონ ევროდ იყიდეს.

სლომკა მიიჩნევს, რომ მისი მდგომარეობა უიმედო არ არის: *"ზედიზედ ორი დამარცხება და ცხრილში პოზიციების დათმობა საკმარისი საფუძველია, რათა მწვრთნელი გააკრიტიკო. მიმაჩნია, რომ შენიშვნები სამართლიანია. მინდა, ისიც აღვნიშნო, რომ დირექტორატს კონსტრუქციული პოზიცია უკავია და ულტიმატუმის ენით არ საუბრობს."*

მოსკოვის დინამო

# უსმანოვი: არა მხოლოდ არსენალში

## მოსკოვური კლუბის წლევანდელი ბიუჯეტი 40 მილიონს გადააჭარბებს, კერჟაკოვის შემდეგ, რიგში იზმაილოვი დგას...

"არსენალის" ერთ-ერთი უმსხვილესი აქციონერი **ალიშერ უსმანოვი** მოსკოვის "დინამოს" გენერალური სპონსორი გახდა. მისმა კომპანიამ, "მეტალოინვესტმა" კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ოფიციალურ პირებს ხელშეკრულების ფინანსური დეტალები არ გაუხმაურებიათ. "სპორტ ექსპრესმა" კარგად ინფორმირებული წყაროსგან შეიტყო, რომ დინამოელებს წელიწადში 7 მილიონ ევროს გადაუხიან. კონტრაქტის ხელმოწერისთანავე უსმანოვმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. ჟურნალისტები დაინტერესდნენ, აპირებს თუ არა ის მოსკოვური კლუბის აქციების შეძენას. უსმანოვმა მიუგო: *"დინამოს" სპონსორობა იმიტომ გადავწყვიტე, რომ ბავშვობიდან მისი გულშემატკივარი ვარ. დინამოელთა პირველ მატჩს 1963 წელს დავესწარი. იმ საღამოს მოსკოველები დონეცკის "შახტიორს" ეთამაშებოდნენ. პირადად მე "დინამოს" არცერთი აქცია არ გამაჩნია. კლუბის მფლობელთა შორის არ არის არც ჩემი კომპანია, "მეტალოინვესტი". როგორც ძველი გულშემატკივარი, "დინამოს" სულითა და გულით ვუსურვებ წარმატებას. იმედი მაქვს, ის სულ მალე გახდება რუსეთის საუკეთესო კლუბი."*

ახალ სეზონში დინამოელებს სარეკორდო ბიუჯეტი ექნებათ. ის 41 მილიონ დოლარს გადააჭარბებს. ინფორმაცია მოსკოველთა გენერალურმა დირექტორმა **დმიტრი ივანოვმა** გაავრცელა. მან ჟურნალისტებს აუწყა, რომ ნოვოგორსკში ახალი საწვრთნელი ბაზა მაისის მიწურულს გაიხსნება. ის ერთ-ერთი საუკეთესო საფეხბურთო ბაზა იქნება მთელ აღმოსავლეთ ევროპაში.

ივანოვის თქმით, 41-მილიონიანი ბიუჯეტის გარდა, "დინამოს" სოლიდური სარეზერვო ფონდიც გააჩნია. მის ანგარიშზე 20 მილიონი დოლარია. სწორედ ამ ფონდიდან დაფინანსდება რუსი თავდამსხმელის, **ალექსანდრ კერჟაკოვის** ტრანსფერი. კერჟაკოვმა "დინამოს" გასულ უქმეებზე მიაშურა.



ლონდონის არსენალის ერთ-ერთი უმსხვილესი აქციონერი ალიშერ უსმანოვი დინამოს სპონსორი გახდა

"სევილიამ" მის სანაცვლოდ 8-დან 10 მილიონ ევრომდე მიითვალა. კლუბებს გარიგების ფინანსური დეტალები არ გაუხმაურებიათ. ამიტომ ჟურნალისტებმა ცნობები სხვადასხვა წყაროებიდან მოიძიეს. იქ კი განსხვავებული თანხები იყო დასახელებული. ერთი რამ ნათელია: კერჟაკოვის ტრანსფერი ანდალუსიური კლუბისათვის ძალიან სარფიანი აღმოჩნდა. ერთი წლის წინათ "სევილიამ" პეტერბურგის "ზენიტს" ფეხბურთელის სანაცვლოდ 3.5 მილიონი ევრო მიუთვალა. ახლა კი დაახლოებით სამჯერ ძვირად მიჰყიდა მოსკოველებს.

"დინამოს" სატრანსფერო ამბიციები ამით არ ამოიწურება. კლუბს თანაქალაქელი "ლოკომოტივის" ნახევარმცველის, **მარატ იზმაილოვის** შეძენაც სურს. იზმაილოვი ერთწლიანი იჯარით ლისაბონის "სპორტინგში" ასპარეზობს. პორტუგალიურ კლუბს ფეხბურთელის შეძენა 4 მილიონ ევროდ შეუძლია. "დინამო" მზადაა, "ლოკომოტივს" ორჯერ მეტი თანხა შესთავაზოს. მოლაპარაკებები უახლოეს დღეებში დაიწყება. "სპორტინგს" ჯერ არ გადაუწყვეტია, სჭირდება თუ არა რუსი ლეგიონერი. საეჭვოა, დინამოს გააქტიურების შემთხვევაში, მან მოსკოველებზე მეტი ფული გაიმეტოს. კერჟაკოვის შემდეგ, "დინამო" კიდევ ერთი ხმაურიანი ტრანსფერისთვის ემზადება.

სკანდალი გერმანიაში

# პოლიცია გერმანიის საფეხბურთო კავშირს ესტუმრა

## გერმანელი საფეხბურთო მოღვაწეები გაკვირვებასა და უკმაყოფილებას ვერ მალავენ...

გერმანიის პოლიცია ქვეყნის საფეხბურთო კავშირის შტაბბინას ეწვია. სამართალდამცველებმა საფეხბურთო კავშირისა და საფეხბურთო ლიგის ოთახებიდან მთელი რიგი ოფიციალური დოკუმენტაცია ამოიღეს და იქაურობა უკომენტაროდ დატოვეს. ეს თემა უკლებლივ ყველა გერმანულმა გამოცემამ პირველ გვერდზე გამოიტანა. კავშირისა და ლიგის ხელმძღვანელობამ მათ ქაღალდებში დარღვევების არსებობა კატეგორიულად გამორიცხა, პოლიციელთა ქმედება კი გადამეტებულად და გამაოგნებლად მონათლა. პოლიციის მაღალჩინოსნებმა განაცხადეს, რომ კომენტარს მხოლოდ გამოძიების დასრულების შემდეგ გააკეთებენ.

გამოძიება ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევისთვის დაიწყო. ფინანსური მაქინაციების საკითხი იმთავითვე გამოირიცხა. გერმანული ფეხბურთის მამებს ფინანსები წესრიგში აქვთ. მათ ამის გამო არავინ ედავება. საქმე ისაა, რომ გამომძიებელთა ინფორმაციით, საფეხბურთო კავშირმა და ლიგამ შექმნეს ისეთი წესდებები, რომლითაც ერთმანეთს შორის კონკურენცია მინიმუმამდე დაიყვანეს. კონკურენცია თითქმის არ არსებობს კლუბებს შორისაც, როცა საქმე მომგებიან სატელევიზიო გარიგებებს ეხება. შეიქმნა ვითარება, როცა საქმეში ჩართულმა ყველა მხარემ მისთვის საკმარისი ტერიტორია მოიზომა და კმაყოფილია.

საფეხბურთო ჩინოვნიკები საკუთარ ინტერესებს სასამართლოშიც კი დაიცავენ, თუ ეს საჭირო გახდა. იქამდე კი ამბობენ, რომ ქვეყნის ხელისუფლებასთან დასამალი არასოდეს არაფერი ჰქონიათ. საფეხბურთო მუშაკებისა და მთავრობის შეთანხმებული მოქმედების ნაყოფი მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატი გახლდათ. საყოველთაო შეფასებით, ეს იყო საუკეთესოდ ორგანიზებული ტურნირი ყველა იმ მუნდიალს შორის, რომელიც იქამდე ჩატარებულა. ფეხბურთის ფედერაცია არ მალავს, რომ თუ ვითარება უმოკლეს დროში არ გაირკვევა და ხელისუფლება საკუთარი ქმედების უსაფუძვლობას არ აღიარებს, საფეხბურთო საზოგადოებისა და მთავრობის ნდობას სერიოზული ჩრდილი მიადგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორხე ვალდანო

# საფეხბურთო ისტორიები

გაგრძელება. დასაწყისი №41

## ზიკო

ის 100 ათასი ადამიანი, რომელიც 1990 წლის თებერვალში "მარაკანაზე" **ზიკოს** გაცილებას ესწრებოდა, დაადასტურებს, რომ ფეხბურთის შესანიშნავ სამყაროში ხანდახან ქრება ზღვარი სიხარულსა და ნაღველს შორის. "ფლამენგოს" ფანები ერთმანეთს ეკითხებოდნენ: *"რა იქნება ხვალ?"* და იქვე ამატებდნენ: *"მარაკანაზე" ზიკოს გარეშე"*.

იმ დღეს სიყვარულსა და ზიზღს შორის ყოველგვარი საზღვარი გაქრა. მისი მოწინააღმდეგეები "ფლუმინენსედან", "ბოტაფოგოდან", "ვასკო და გამადან" აღიარებდნენ: ფეხბურთიდან მიდიოდა შეუდარებელი ღირსებების მოთამაშე, სამაგალითო სპორტსმენი. ისინი ამბობდნენ: *"ახლა, შაბათობით უფრო მშვიდად დავიძინებთ, მაგრამ ყოველი კვირა დღე უფრო ღარიბი გახდება"*.

*"ფეხბურთს სული გააჩნია და მას ზიკო ჰქვია"*, - ასეთი იყო ტორსიდას გამოძახილი, რაც მათ მაისურებზე, დროშებსა და პლაკატებზე იყო გამოსახული. ყველას - ზიკოს მეგობრებსა და მტრებს - 1990 წლის 6 თებერვალს, რიო დე ჟანეიროში, "მარაკანას" სტადიონზე ტკივილის გამოხატვის უფლება ჰქონდა.

**არტურ ანტუნეშ კოიმბრა** ყველასთვის **არტურზიკო** იყო იქამდე, სანამ არ შეთანხმდნენ მისთვის ისევე დაეძახათ, როგორც ამას მისი მშობელი დეიდა აკეთებდა - ზიკო. და მართლაც, დეიდებს ხანდახან თავში უბრალო და გენიალური აზრები მოსდით.

პირველებმა არტურზიკო 60-იანების დასაწყისში, რიოს გარეუბანში ღარიბმა მეზობლებმა აღმოაჩინეს. ათი წლისა, ის თავისი ნიჭის დემონსტრირებაში უფროსებს არაფერში ჩამორჩებოდა. ჩონჩხივით ბიჭს, რომელიც 30 კილოზე ნაკლებს იწონიდა, დიდი მოხერხებულობა და ეშმაკობა სჭირდებოდა იმისთვის, რომ უფროსების ფეხებს შორის გაეკვალა გზა. ამის გამო, სულ უფრო მეტი ადამიანი იკრიბებოდა იმის სანახავად, თუ როგორ ამაიმუნებდა ის უფროსებს. მის წვრილ ფეხებში ბურთიც რაღაც არაპროპორციულად დიდი მოჩანდა, მაგრამ მორჩილად ასრულებდა ზიკოს ყველა ახირებას. სულ მალე, ამ ბიჭმა პარტნიორების, მეტოქეებისა და გულშემატკივრების დიდი პატივისცემა მოიპოვა. მისი ნიჭი არც "ფლამენგოს" გამოპარვია, თუმცა მისი ძმები სხვა კლუბებში თამაშობდნენ: **ედუ** "ამერიკაში", **ანტუნეში** - "ფლუმინენსეში".

15 წლის ასაკში ზიკო 155 სანტიმეტრი სიმაღლის იყო და მხოლოდ 37 კილოგრამს იწონიდა. რა თქმა უნდა, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ეს "ჯოხი" "ფლამენგოს" ისტორიას "Z-მდე და Z-ს შემდეგ" გაყოფდა და მას ბრაზილიაში ორი ათწლეულის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელებდნენ, კერძოდ კი, 70-80 წლებში.

17 წლისამ 166 სანტიმეტრს მიაღწია, ხოლო კიდევ ოთხი წელი დასჭირდა იმას, რომ მისი სიმაღლე 172 სანტიმეტრამდე ასულიყო. მცირე წონის წინააღმდეგაც უწევდა ბრძოლა. "ფლამენგოში" ორი წლის განმავლობაში 15 კილოგრამი მოიმატა (1970 წელი), ხოლო 1974-ში უკვე 66 კილოგრამი იყო.

გენეტიკური სიგამხდრე დაძლეულ იქნა კვებით, კომპლექსური ვიტამინებითა და ჰორმონებით. მას მუდმივად თავს დასტრიალებდნენ "ფლამენგოს" ექიმი **ჟოზე დე პაულა ჩავეს ფილიო** და ფიზიკური მომზადების მწვრთნელი **ჟოზე რობერტო ფრანკალაჩი**. ვის არ მიმართეს მათ დასახმარებლად, ორთოპედსაც კი. *"ზიკოს ნაწილ-ნაწილ აწყობდნენ"*, - ჰყვებოდა ფრანკალაჩი.

*"ზიკოს მთელი კარიერის განმავლობაში თან სდევდნენ ურწმუნო ადამიანები*, - იხსენებს მისი ძმა ანტუნეში. - *ასეთი მონაცემებით მას ფეხბურთში არაფერი ესაქმება... ის მხოლოდ "მარაკანაზეა" ძლიერი... ზიკო ვერ უძლებს ხისტ მეურვეობას და ასე შემდეგ. მას ყოველდღე უხდებოდა საპირისპიროს დამტკიცება"*.

ზიკომ "ფლამენგოსთან" ერთად 20 წელი გაატარა, გაიტანა 500-ზე მეტი გოლი და მოიპოვა ყველა ეროვნული თუ საერთაშორისო ტიტული. კიდევ ორი წელი და 57 გოლი (მათგან 17 საჯარიმო დარტყმებით) მან მოკრძალებულ იტალიურ კლუბ "უდინეზეს" აჩუქა, ხოლო "მარაკანადან" გაცილების შემდეგ, 41 წლის ასაკში კარიერა იაპონიაში დაასრულა. ამ სიაში უნდა შევიტანოთ 89 მატჩი და 66 გოლი - ეს მისი წვლილია ბრაზილიის ნაკრებში (უფრო მეტი მხოლოდ **პელეს** აქვს). სულ კი, ზიკომ კარიერაში 1047 მატჩი ჩაატარა და 729 გოლი გაიტანა.

მოიძებნებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ამ შთამბეჭდავი სიიდან ამოშლიან მსოფლიოს სამ ჩემპიონატს (1978, 82, 86), რომელზეც ზიკომ ითამაშა, მაგრამ ვერაფერი მოიგო. ეს ადამიანები დახუჭავენ თვალს იმაზე, თუ რა დიდი სიხარული მოუტანა თავისი თამაშით "თეთრმა პელემ" ბრაზილიასა და მთელს მსოფლიოს. *"ისეთები, როგორიც ზიკოა, განცალკევებით დგანან მსოფლიო ფეხბურთში. მათ საერთო საზომით ვერ მიუდგები, ისინი გამონაკლისები არიან"*, - წერდა ბრაზილიელი ჟურნალისტი **სერჟიო კაბრალი**.

გაცილების დღეს, ზიკომ ადრე გაიღვიძა, გაზეთი "ო'გლობო" გადაშალა და ყველასთვის პატივსაცემი საფეხბურთო მიმომხილველის, **არმანდო ნოგეირას** სვეტში ჩაიხედა: *"დღეს ფეხბურთს საზეიმო დღე აქვს. ცამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ვარსკვლავებში ჩაიძიროს, მოიწვიოს სავსე მთვარე. ხალხო, შეატყობინეთ ყველას, არავის არ აქვს უფლება ამაში არ მიიღოს მონაწილეობა"*.

იმ ღამეს ლაზერული შოუც გაიმართა. მეორე დღეს, ყველა გაზეთში ზეიმის ამსახველი ფოტოები დაიბეჭდა. "ლომების მატადორმა" ეს ყველაფერი დაიმსახურა. მან ეს ზეიმი ჩვეულებრივად მიიღო - სიხარულითა და სინანულით. წავიდა და სახსოვრად დატოვა მისთვის დამახასიათებელი ღიმილი და უბრალო ადამიანების ცრემლები. ერთი სიტყვა - გამარჯვებული.



ფეხბურთს სული გააჩნია და მას ზიკო ჰქვია

## რომარიო

ზიკოს არ გაუმართლა: ბრაზილია მაინც გახდა მსოფლიო ჩემპიონი. და სწორედ მაშინ, მსოფლიომ გაიცნო კიდევ ერთი გენიალური, პარამეტრებითა და თამაშით არასტანდარტული ფეხბურთელი, რომელიც დანარჩენი სხვა რამით სულაც არ ჰგავდა ზიკოს.

ფეხბურთი - პირველ რიგში, ფინტებია და არავინ ატყუებს ისე კარგად, როგორც **რომარიო**. ის მოსიარულე ტყუილია. მისი ნელი მოძრაობა მშვილდის ლარივითაა, რომელიც ნელა იჭიმება, რათა ისარი გაუშვას - უსწრაფესი, ფატალური და შხამით მოწამლული.

მისი მოუხეშაობის უკან ქარიშხალი იმალება. ის იმით ცხოვრობს, რომ ტყუილ შეტყობინებებსა და ყალბ ინფორმაციას გზავნის, ხოლო სიმართლე მხოლოდ ბოლო მომენტში მჟღავნდება. ეს სიმართლე კი იმაში მდგომარეობს, რომ ბურთი ბადეში ფართხალებს.

მისი გახსნილი და ნათელი თვალები თითქოს გულგრილობაზე მეტყველებს, სინამდვილეში კი, ის მალავს ბუნებრივ ეშმაკობასა და მოხერხებულობას. საჯარიმო მოედანზე, სადაც დრო შუქის სიჩქარით გარბის, ის თითქოს სამუდამო პაუზას აკეთებს; იქ, სადაც წინააღმდეგობა იზრდება და იმატებს ადრენალინი, ის შინაგან გულგრილობას ამჟღავნებს. და ხან სიჩქარეს ნულამდე აგდებს და ხან საათში 100 კილომეტრი სისწრაფით აჩქარდება.



რომარიოს ტექნიკა არ ესნავლებოდა

რომარიოს ტექნიკა არ ესნავლება, მაგრამ მას მკაცრი ეკონომიის პირობებში იყენებს. მეტოქის კარის სიახლოვეს შეკრებილ უამრავ ფეხბურთელს შორის, ის თავს უფლებას აძლევს ბურთით გაერთოს, მეტოქე გაალიზიანოს, პარტნიორთან წაითამაშოს, მაგრამ ყველაზე ხშირად მეკარის აბუჩად აგდება უყვარს, რომელიც მაქსიმალურად ყურადღებით კი არის, მაგრამ მაინც გაოგნებული რჩება საბოლოო შედეგით, ანუ გოლით.

მიმაჩნია, რომ რომარიო ბოლო გამოწვევა იყო მექანიკური თამაშის წინააღმდეგ, რომელიც ნელ-ნელა იპყრობს ფეხბურთს. დიდება რომარიოს და იმ ფეხბურთს, რომელიც მასთან ერთად დაგვემშვიდობა. დაგვემშვიდობა მთელი საუკუნით.

## რონალდო

თუ რომარიოსთვის საყვარელი ადგილი მეტოქის საჯარიმოა, **რონალდო** მოედნის ცენტრშია ჩასაფრებული, საიდანაც იწყება მისი ფეხბურთი. თუ რომარიო წარსულია, რონალდო მომავალს ეკუთვნის. ის ორი საუკუნის მიჯნაზე აღიარეს საუკეთესოდ და ასეთად შევიდა ოცდამეერთე საუკუნეში.

როდესაც რონალდო პირველად ვიხილე, იმედგაცრუების გრძნობა დამეუფლა და როგორც შემდეგ გაირკვა, სრულიად უსაფუძვლოდ. არ მომწონდა, რომ ბურთს ვერ ელეოდა და მარტოდმარტო ცდილობდა მცველებთან გამკლავებას, თან მეჩვენებოდა, რომ ბურთს საკმაოდ შორს უშვებდა და სხვებთან ერთად მეც ვფიქრობდი - "აი, ახლა ჩაიშლება შეტევა", მაგრამ რონალდო ეწეოდა ბურთს; მეგონა, რომ მცველს შეეტაკებოდა, მაგრამ ეს უკანასკნელი დაბნეული ტრიალდებოდა და რონალდოს ზურგს ხედავდა; ისე ჩანდა, რომ მეკარე დაასწრებდა ფორვარდს, მაგრამ ყველანი გოლის მოწმე ვხდებოდით.

საქმე ისაა, რომ მე მის სიჩქარეს ადამიანური საზომით ვზომავდი, რონალდო კი ის ფეხბურთელია, ვისთვისაც არ დაწერილა დროისა და დისტანციის კანონები. მხოლოდ საჯარიმოში, სადაც ბრძოლაში ერთვება სივრცე, შეგიძლია აღმოაჩინო, რომ სისწრაფესაც ჰქონია ზღვარი. სამაგიეროდ, ძალაში შედის არაჩვეულებრივი მოხერხებულობა, რომელიც საგოლე სიტუაციის შექმნასა და გადამწყვეტი დარტყმის შესრულებაში ეხმარება.

შეიძლება ისე მოგეჩვენოთ, რომ მისთვის პარტნიორის დახმარებას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. თუმცა "ბარსელონაში" და შემდეგ "ინტერში", მას ძალიან ეხმარებოდა შესაბამისად **დე ლა პენიასა** და **ჯორკაეფის** პასები. ხოლო, როცა ბრაზილიის ნაკრები რომარიოს გარეშე დარჩა, რაც ამ გუნდისთვის მეტოქის საჯარიმოში უპირატესობის დაკარგვას ნიშნავდა, რონალდოს მანერა ძალიან წაადგა ბრაზილიას. სწორედ მაშინ დავრწმუნდით, რომ ის მარტო არ წყვეტს ამა თუ იმ ეპიზოდის ბედს, არამედ რონალდოს შეუძლია პარტნიორთა დახმარებაც კარგად გამოიყენოს - როგორც შემტევი ნახევარმცველების (**რივალდო, ჯოვანი**), არამედ ფლანგის მოთამაშეების (**კაფუ** და **რობერტო კარლოსი**). ეს ფეხბურთელები დაეხმარნენ რონალდოს შესაძლებლობების სრულად წარმოჩენაში და შესაბამისად, მსოფლიო ფეხბურთში იმ ადგილის დაკავებაში, რომელიც ყველას მიერ აღიარებულ **მარადონას** ეკუთვნოდა.

გენიოსებს ყოველთვის თან ახლავთ უბრალოება. ისინი, ვისაც პელე უნახავს, რომელიც ერთი ილეთისთვის ათჯერ ეხებოდა ბურთს და თან ამას ნელ ტემპში აკეთებდა, ეჭვის თვალით უყურებდნენ მეფეს - შეესაბამებოდა თუ არა ეს დიადი ფეხბურთელი თავის დიად ლეგენდას და სულელურ კითხვას სვამდნენ: *"ეს ის პელეა?"* ასეთივე სისულელეს უშვებდნენ მისი მეურვეებიც. ისინი გენიოსს ჩვეულებრივ მოთამაშედ იღებდნენ, თავის თავს მოდუნების უფლებას აძლევდნენ და საკუთარ კარში გოლით ისჯებოდნენ.

რონალდო თავის ხიფათს არ მალავს. ის მოკრივესავითაა, რომელიც მუდმივად ცდილობს ნოკაუტის მომტანი დარტყმის განხორციელებას. ჩემი აზრით, ის ზედმეტადაც არის დაავადებული გოლის მანიით, მაშინაც კი, როცა ამის პირობები არ არსებობს. მას ვიღაცამ უნდა უთხრას, რომ მხოლოდ მუშტზე აქცენტის გაკეთება კრივშიც კი არ არის კარგი სტილის მაჩვენებელი. სხვა პლანეტიდან წამოსულ ფეხბურთელებსაც არ შეუძლიათ იგნორირება გაუკეთონ ფეხბურთის ბუნებრივ კანონებს. მაგრამ სწორედ ისაა პრობლემა, რომ კანონები მისთვის არ არის დაწერილი და რონალდოს საპირისპიროში დარწმუნება შეუძლებელია.

მას რაც არ უნდა უთხრან, რამდენადაც არ უნდა ურჩიონ თავი დაზოგოს და მეტად ენდოს პარტნიორებს, ის მაინც იწყებს თავის დრიბლინგს მეტოქის კარიდან 50 მეტრის მოშორებით. თითქოს სხვანაირად არ შეიძლება, რადგან მოკლე მანძილებზე მისი სისწრაფე არ მოქმედებს. თანამედროვე, მჭიდრო ფეხბურთში თავისუფალი სივრცის მონახვა შეუძლებელია, მაგრამ სწორედ ისაა რონალდოს გენიის საიდუმლო, რომ მას ძალუძს შეუძლებელი გააკეთოს. და ამიტომაც, რონალდო საუკეთესო ფეხბურთელია მსოფლიოში, თუმცა ხანდახან ცუდად თამაშობს.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოსტEND და კიევი მერვედფინალშია!

მანუჩარ მარკოიშვილის "კიევმა" ულების თასის მეთექვსმეტედფინალში ბელგიური "ოსტენდე" მეორედაც დაამარცხა - 68:60. პირველ მატჩში კიეველებს სტუმრად 65:61 ჰქონდათ მოგებული და შინ სამქულიანი სხვაობით მარცხის შემთხვევაშიც გადიოდნენ მომდევნო ეტაპზე, თუმცა **ტომო მაჰორიჩის** შეგირდებმა საკუთარი გულშემატკივრის წინაშე თავი არ შეირცხვინეს და "ოსტენდეს" მეორედაც სძლიეს.

ვიდრე ორი სიტყვით შეხვედრის მსვლელობას შევეხებოდეთ, მოგახსენებთ, რომ **მანუჩარ მარკოიშვილმა** ჩვეულად ვერ ითამაშა, თუკი ბელგიაში ბოლო წუთებზე "კიევმა" მისი სამქულიანითა და ჩატენვით იმარჯვა, საპასუხო მატჩში ქართველს თამაშიდან ქულაც არ ჩაუგდია: 22 წუთში 2 ორქულიანი და 4 სამიანი ააცილა, სამაგიეროდ 4-დან 3 საჯარიმო გამოიყენა და 3 ქულას 4 მოხსნა და თითო ჩაჭრა-პასი-დაფარება მიამატა.

მასპინძელთა შორის ყველაზე შედეგიანი კაპიტანი **არტურ დროზდოვი** გახლდათ, რომელმაც 17 ქულას მოუყარა თავი. "ოსტენდეს" რიგებში კი **ჩაკ დევისი** გამოირჩა - 16 ქულა, 11 მოხსნა.

აი, მოკლედ, რა წარია "კიევის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე: *"უკანახა ზელთა ეფექტური თამაშის წყალობით მასპინძლებმა 9:4 დაწინაურება მოახერხეს, მაგრამ ეს უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს - პირველი მეოთხედი "ოსტენდემ" 18:11 მოიგო. მეორე პერიოდში ტომო მაჰორიჩის შეგირდებმა დაცვის წყალობით მდგომარეობის გამოსწორება მოახერხეს და დიდ შესვენებაზე 5-ქულიანი ფორით გავიდნენ - 36:31. მეორე ოცწუთეულში თანაბარი თამაში გაჩაღდა, 5 ქულაზე მეტით დაწინაურებას ვერც ერთი გუნდი ვერ ახერხებდა. გადამწყვეტი კი "კიევის" გამთამაშებლის პუხ ჯეტერის მოქმედება გახდა, რომელიც დაცვაშიც ასწრებდა და შეტევაშიც უშეცდომო იყო. სწორედ მასთან ჭიდილის შემდეგ მიიღო სტუმართა ლიდერმა დევისმა მეხუთე ფოლი... ამერიკელ პუხს ხელი არც მაშინ აჰკანკალებია, ბელგიელებმა განზრახ ჯარიმების ტაქტიკას რომ მიჰყვეს ხელი. ჯეტერმა ბოლო წამებზე ზედიზედ 6 საჯარიმო გამოიყენა და თანაგუნდელები მერვედფინალში გაიყვანა."*

ვისაც მანუჩარ მარკოიშვილის მატჩისშემდგომი ინტერვიუ აინტერესებს, შეუძლია, მწვრთნელის ტომო მაჰორიჩის საინტერესო კომენტარი გამოტოვოს: *"პირველი მატჩის შემდეგ ვთქვი, რომ შეტევა მეორეხარისხოვანი იყო და ამ კომპონენტს შინ მეტ ყურადღებას დავუთმობდით. თუმცა, ჩემი ვარაუდი არ გამართლდა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ "ოსტენდეს" დახვეწილი დაცვა აქვს, მეორეც, პლეი ოფის დაძაბულ შეხვედრებში კალათბურთელებზე წნეხი მატულობს და მათგან ისეთ შედეგიანობას არ უნდა ველოდეთ, როგორც ჩვეულებრივ მატჩებში. როცა შენს ბედს ერთი მატჩი წყვეტს, მთავარია შედეგი და არა სანახაობა."*

შეიძლება დასაწყისშიც უნდა გვეთქვა, მაგრამ ამისთვის შესაბამისი ადგილი ვერ მოვნახეთ - მერვედფინალში "კიევი" პოლონურ "ტუროვს" დაუპირისპირდება. პირველი მატჩი 11 მარტს უკრაინაში გაიმართება, ხოლო განმეორებითი 18-ში, პოლონეთში. მკითხველს იმასაც შევახსენებთ, რომ "ტუროვს" მანუჩარ მარკოიშვილის ყოფილი მწვრთნელი (სლოვენიის "ოლიმპიადან") **საშო ფილიპოვსკი** წვრთნის. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა I ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა, უკან ჩამოიტოვა რუსული "უნიქსი", ისრაელის "ჰაპოელი", ფრანგული "სტრასბური", ხორვატიის "ზადარი" და ბელგიური "ეიფელ ტაუერსი". ხოლო მეთექვსმეტედფინალში პოლონელებმა ჩეხეთის "ნიმბურკს" სძლიეს - 61:61 და 68:66. "კიევი"-"ტუროვის" წყვილში გამარჯვებული მოსკოვის "დინამოსა" და ბულგარეთის "აკადემიკს" შორის საუკეთესოს დაუპირისპირდება. ოღონდ, მერვედფინალის მატჩები შინ და გარეთ აღარ გაიმართება - ფინალურ რვეულს იტალიის ქალაქი ტურინი უმასპინძლებს.



მარკოიშვილი ოსტენდესთან მატჩში



# 40 წუთში მოგებული 80 წუთიანი მატჩი

**"ოსტენდესთან" მატჩის შემდეგ ქართველ ლეგიონერ მანუჩარ მარკოიშვილს დავუკავშირდი. ჯერ მერვედფინალში გასვლა მივულოცე, შემდეგ ულების თასის პერიპეტიებზე ვესაუბრე, ბოლოს ნაკრებზეც ვკითხე, 16 თებერვალს ხომ B დივიზიონის გუნდების წილისყრა გაიმართა...**

**- საუბარი "ოსტენდესთან" კიევურ მატჩში გუნდისა და შენი გამოსვლით დავიწყოთ.**

- ჯერ ჩემს შესახებ ვიტყვი, თუმცა, სათქმელი ბევრი არაფერია - გუნდს რითაც შემეძლო იმით დავეხმარე, მაგრამ შეტევაში გარჯით უკმაყოფილო ვარ. "კიევის" თამაშზე მეტის თქმა შემიძლია. გუნდს არა უშავდა. ვითამაშეთ შედეგზე და საწადელსაც მივაღწიეთ. წინასწარ ვიცოდით, რომ "ოსტენდეს" ძლევა იოლი არ იქნებოდა. მათ უკანდასახევი გზა არ ჰქონდათ და ყველა ღონე იხმარეს, რათა მომდევნო ეტაპის საგზური კიევში არ დაეტოვებინათ. ჩვენც იგივე მიზანი გვქონდა და საბრძოლველად ვემზადებოდით. თავიდან კარგად დავიწყეთ, მაგრამ პირველი მეოთხედის ბოლოს ბელგიელებმა შვიდი ქულის სხვაობით გადაგვასწრეს. მეორე პერიოდში კარგი დაცვა დავაყენეთ, თუმცა იყო მომენტები, როცა მეტოქეები უმეთვალყურეოდ დაგვრჩნენ, მაგრამ საბედნიეროდ ტყორცნების რეალიზება ვერ მოახერხეს. ბოლო მეოთხედში თამაში ჩვენს სასარგებლოდ შემოვატრიალეთ და დამსახურებულად გავიმარჯვეთ.

**- ბევრი რამე, ალბათ, ოსტენდეში მოგებულმა თამაშმა გადაწყვიტა, რომელიც კარგად ჩაატარე...**

- ის დღე კარგად დამამახსოვრდა. ბელგიელები მესამე პერიოდში 14 ქულის სხვაობით დაწინაურდნენ და მწვრთნელმა ტომო მაჰორიჩმა წუთშესვენებისას გვითხრა, გახსოვდეთ, რომ ეს მატჩი არა 40 წუთს, არამედ 80 წუთს გრძელდება. ამიტომ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა მინიმალური სხვაობით დავმარცხდეთო. მწვრთნელის ასეთმა სიტყვებმა ბოლომდე გამოგვაფხიზლა, ენერგია შეგვმატა, ჩვენც დავიჯერეთ, რომ იმ მატჩის მოგება შეიძლებოდა და მწვრთნელიც დავაჯერეთ. რაც შეეხება ჩემს გარჯას, სხვებთან ერთად მეც გავიხსენი, ბოლო წუთებზე სამქულიანიც ჩავაგდე, მას ჩატენვა მივაყოლე, საჯარიმოებიც და... დაგეთანხმები, ბელგიაში გამარჯვებამ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ჩვენზე დადებითად იმოქმედა.

**- მერვედფინალში მეტოქედ პოლონური "ტუროვი" გერგოთ...**

- მას ჩემი ყოფილი მწვრთნელი საშო ფილიპოვსკი წვრთნის და ზოგადად შეიძლება ვიმსჯელოთ, რა სტილის გუნდია. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია, რამდენად ძლიერია. ამ საკითხზე კი წარმოდგენას გვაძლევს "ტუროვის" მიერ ულების თასზე ნაჩვენები შედეგები - პოლონელებმა რთულ ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს. ამით ყველაფერია ნათქვამი. დანარჩენს უშუალოდ "კიევი"-"ტუროვის" დუელი გვიჩვენებს.

**- თუ ის ბარიერიც დაძლიეთ, შეიძლება მოსკოვის "დინამოს" გადაეყაროთ. ასეთი მაღალი დონის ტურნირში კლუბის უფროსობა უპირობო გამარჯვებას ხომ არ გთხოვთ?**

- ზეწოლას ნამდვილად არ ვგრძნობთ, თუმცა მაღალი მიზნებისთვის ბრძოლას გვთხოვენ. ასეც რომ არ იყოს, ნებისმიერ სპორტსმენში შინაგანად გამჯდარია პირველობისკენ სწრაფვა. ყველას სურს იმ ტურნირის მოგება, რომელშიც ის ასპარეზობს. ჩვენც ერთ მუშტად ვართ შეკრულნი და ვცდილობთ, რაც შეიძლება წინ წავიწიოთ. ბოლოს სადამდე მივალთ, მომავალი გვიჩვენებს.

**- წელან საშო ფილოპოვსკი ახსენე, დღეს მემი ბეჩიროვიჩის ინტერვიუ წავიკითხე, რომელიც "აზოვმაშის" თავკაცად დაინიშნა, "კიევს" ასევე სლოვენიელი ტომო მაჰორიჩი წვრთნის, ალბათ მიხვდი, რისი კითხვაც მინდა...**

- ექს-იუგოსლავიური სამწვრთნელო სკოლა მთელს ევროპაში განთქმულია. სერბებთან და ხორვატებთან ერთად ბოლო წლებში დაწინაურდა სლოვენიური სკოლაც. იქაური მწვრთნელები მართლაც დიდ სიმაღლეებს აღწევენ.

**- ახლა ნაკრების თემაზე გკითხავ.**

- გისმენ, მაგრამ, ამ საკითხზე ახლა ბევრს ვერაფერს ვიტყვი, სანაკრებო შეკრებამდე ხომ 4-5 თვეა...

**- ახლახან ქვედა ლიგის წილისყრა გაიმართა და საქართველოს ნაკრების მეტოქეთა ვინაობაც გაირკვა...**

- ლუქსემბურგთან, ირლანდიასთან, შვედეთთან და სლოვაკეთთან მატჩებამდე ჯერ ძალიან შორია. მე კი მაქვს ზოგადი მიზანი - მათი დამარცხება და ზედა ეშელონში ასვლა, მაგრამ ჯერ სანაკრებო ამბები უნდა გაირკვეს, ვინ იქნება გუნდის თავკაცი, სად მოვემზადებით და ა.შ...

**ვაჟა სიმონიშვილი**



## ჭადრაკი

საქართველოს ჩემპიონატი

# სკანდალური გახსნა



ანა მათნაძემ თამაშზე უარი თქვა

გუშინ, ჭადრაკის სასახლეში საქართველოს ქალთა ჩემპიონატის ნილისყრა და ვითომც საზეიმო გახსნა შედგა. საზეიმო განწყობის შესაქმნელად რაიმე კულტურული ღონისძიება სულაც არ დაგეგმილა და არც არავინ ელოდა ასეთ რამეს, - განწყობა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ჩინოვნიკთა მოკლე მისასალმებელ სიტყვებს უნდა შეექმნა... ასეც მოხდა: **გიგა ყაჭეიშვილმა**, რომელიც ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია საზოგადოებრივ საწყისებზე, მონაწილეთ მიულოცა საიუბილეო ჩემპიონატის დაწყება და წარმატებები უსურვა. ტურნირის მთავარი მსაჯის მოადგილემ - **ევგენი მელიქსეთბეგმა** კი ჩემპიონატის ჩატარების სისტემაზე ისაუბრა და დებულებაც გააცნო მონაწილეებს. დამსწრე საზოგადოებამ შვიდად მოისმინა მელიქსეთ-ბეგის გამოსვლა და როცა მომხსნებელი და პრეზიდიუმში მსხდომნი კითხვების მოსასმენად მოემზადნენ, მაშინ აირია მონასტერი. მოდით, ვიდრე ამბავს გავაგრძელებდეთ, გაგაცნობთ დებულების შინაარსს და ამით გახსნის ერთგვარ ქრონოლოგიასაც დავიცავთ და მკითხველიც უკეთ გაერკვევა, რაზე იდავეს მოჭადრაკეებმა.

როგორც გითხარით, წელს ქალთა ჩემპიონატი 65-ედ ჩატარდა. ფინალურ ეტაპზე 14 ქალბატონი გაეჯიბრება ერთმანეთს. აქედან შვიდს ყოველგვარი შერჩევის გარეშე, სხვადასხვა დამსახურებებისთვის მიენიჭათ უმაღლესი ლიგის საგზური შვიდს კი შესარჩევის გავლა მოუხდა: **სოფიკო ხუხაშვილი** - შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი; **სოფიო გვეტაძე** - შარშანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი; **ნინო ხურციძე, , მაია ლომინეიშვილი, ანა მათნაძე, სალომე მელია,** - უკეთესი რეიტინგის მფლობელები; **ბელა ხოტენაშვილმა, სოფიო გურამიშვილმა, ქეთი ნანალაშვილმა, სოფიო ნიკოლაძემ, ინგა ჭარხალაშვილმა, სოფიკო ტერელაძემ და ინგა ხურცილავამ** პირველი ლიგიდან მიიღეს უმაღლესში თამაშის უფლება. წესისამებრ, თუკი რომელიმე მონაწილე უარს იტყოდა ასპარეზობაზე, ვაკანტური ადგილი პირველი ლიგიდან უნდა შევსებულიყო - ანუ მერვე ადგილის მფლობელი იღებდა უფლებას. ასეთი **ნინო ბაციაშვილი** იყო და, სხვათა შორის, ნინო გუშინ გახსნაზე მოვიდა - როგორც ჩანს, გული უგრძნობდა, რომ ერთი ადგილი გამოთავისუფლდებოდა...

ჩემპიონატი წრიული სისტემით, 13 ტურად გაიმართება; მეცხრე ტურის შემდეგ, 8 მარტს ერთი დღით დაისვენებენ. სათამაშო დრო ფიდესეულია: პირველ ორმოც სვლაზე 90 წუთი, შემდეგ 30 წუთის დამატებით; ყოველი სვლის დროს 30 წამი ტრადიციულად ემატება. გამარჯვებული ქულათა უბრალო უმრავლესობით გამოვლინდება, მაგრამ თანაბარი ქულების შემთხვევაში დაითვლება ბერგერის კოეფიციენტი. თუ ეს მაჩვენებელი თანაბარი იქნა, მაშინ მეტი მოგებები მიიღება მხედველობაში; ამ მაჩვენებელთა თანაფარდობის შემთხვევაში საქმეში ურთიერთშეხვედრის შედეგი ჩაერთვება. არსებობს ალბათობა, რომ აქაც თანასწორობა იყოს და დაინიშნება ტაი-ბრეიკები. ეს წესი მხოლოდ პირველ სამ ადგილზე გასვლისთვის იმუშავებს, რადგანაც წლევანდელ ჩემპიონატში სამი ადგილია მნიშვნელოვანი: სამივენი ევროპის ქალთა ინდივიდუალურ ჩემპიონატზე სრულად დაფინანსდებიან; საქართველოს ჩემპიონი კი ნაკრებში დაიბევებს ადგილს. გარდა ამისა, პირველადგილოსანი 3000 ლარს მიიღებს ჯილდოდ; მეორეზე გასული 2500 ლარით დაჯილდოვდება, მესამეადგილოსანს 2000 ერგება; გულს არ დაწყვეტენ მეოთხე ადგილზე გასულსაც - 1500 ლარით შეუსებენ ბიუჯეტს. სულ 9000 ლარი გამოდის საპრიზო ფონდი, რაც უპრეცედენტოა საქართველოს ქალთა ჩემპიონატების ისტორიაში.

ამისთვის ფედერაციას მადლობა ეკუთვნის და მონაწილეებსაც არ აქვთ პრეტენზია, მაგრამ საკამათო მაინც მოძებნეს - პირველ რიგში ეს ტაი-ბრეიკის საკითხი იყო, მეორე კი - ნაკრებში მოხვედრისთვის დაწესებული კვოტა. შევნიშნავთ, რომ ჩემს მიერ წარდგენილი დებულების წესი თავდაპირველი არ გახლავთ - ასეთი შინაარსი კამათის შემდეგ შეიძინა; ანუ ბევრი რამ შეიცვალა და თქვენის ნებართვით პირვანდელ ვარიანტს არ შემოგთავაზებთ. გადაუჭრელი გახდა მეორე საკითხი, - ნაკრებში ჩემპიონის გარდა ვერავინ მოხვდება ამ ტურნირიდან. მოდავეები მეორე ადგილისთვის ასეთი დატვირთვის მიცემას ითხოვდნენ. არგუმენტი ასეთია: საქართველოს ჩემპიონატი ძლიერი ტურნირია და ერთ-ერთი გზაა ნაკრებში მოხვედრისა. აქ თითქმის ყველა უძლიერესი თამაშობს და მეორე ადგილზე გასულიც კი ნაკრებში თამაშის ღირსია; თანაც ამით ახალგარდა თაობასაც ეძლევა სტიმული.

ამ, საკმაოდ საღ აზრს ისეთი ხმაური და დაპირისპირება მოჰყვა, რომ კარგა ხანს ვერ მოხერხდა კენჭისყრის ჩატარება და ნორმალურ სამუშაო ვითარებაში დაბრუნება. საბოლოოდ, როგორც იქნა მისაღებ ვარიანტზე შე თანხმდნენ, მაგრამ **ანა მათნაძის** დედამ, ქალბატონმა მანანამ განაცხადა - თუ ასეთ ფორმას დატოვებთ, ჩემი შვილი თამაშზე უარს იტყვისო. მოგეხსენებათ, ანა მათნაძე წელიწადზე მეტია, ესპანეთში, ბარსელონაში ცხოვრობს. ანა საქართველოში გუშინ გვიან ღამით ჩამოვიდა, ამიტომ მისი პოზიცია დედამ გააჟღერა. მართალია მეორე პირობის შეცვლა არ მოხერხდა, მაგრამ ქალბატონმა მანანამ ანას თამაში დაადასტურა და კენჭისყრაც ამის მიხედვით გაკეთდა.

თუმცა შეხვედრის დასრულებიდან რამდენიმე წუთში ანა მათნაძე დედას ტელეფონით დაუკავშირდა, გაიგო, რომ ნაკრებში თამაშის უფლება მხოლოდ ჩემპიონს ეძლეოდა, უარი განაცხადა ასპარეზობაზე. იგი თბილისში მაინც ჩამოვა, მაგრამ მის ნაცვლად ბაციაშვილი ითამაშებს. ასეთი ფაქტი ნამდვილად არ ამშვენებს ჩემპიონატს, მაგრამ ჩემი აზრით როგორც ფედერაციის ხელმძღვანელობამ ისე მოჭადრაკეებმაც დაუშვეს შეცდომა. ტურნირის გახსნის დღეს დებულება არ უნდა იხილებოდეს. ამისთვის წინა თვეებში და დღეებშიც უნდა მოენახათ დრო, მოეძებნათ კომპრომისი და შეემუშავებინათ ოპტიმალური ვარიანტი. ნებისმიერ ქვეყანაში ეროვნული ჩემპიონატის და სხვა მნიშვნელოვანი ტურნირების ჩატარების წესით რამდენიმე თვით ადრეა ცნობილი. ჩვენში კი, რატომღაც მუდამ ბოლოსთვის იტოვებენ და შედეგსაც ვიღებთ დაპირისპირების, უკმაყოფილების და საერთო ჯამში არაჯანსაღი ვითარების. საკუთარი სამართლის დასამტკიცებლად არგუმენტები ორივე მხარეს მოაქვს, მაგრამ აშკარაა, რომ ბევრად უკეთ შეიძლებოდა საქმის წარმართვა და საერთო ენის გამონახვა... თავს ვერ დავდებ, მაგრამ ეჭვი მაქვს, დღეს პირველი ტურის დაწყებამდე რამდენიმემ კვლავ არ გამოთქვას პრეტენზია. საქმე ის არის, რომ დებულების ჩასწორებას გარკვეული დრო დასჭირდა, - რამდენიმეს აზრიც ჰკითხეს, მაგრამ ბევრაც უკვე დაეტოვებინა ჭადრაკის სასასახლე და შესაძლოა, მათ საკუთარი აზრის დაფიქსირება კვლავ მოუხდეთ. იმედი მაქვს, ასე არ იქნება და საიუბილეო ჩემპიონატი მშვიდიდად აიღებს სტარტს.

ბოლოს, იმასაც მოგახსენებთ, რომ პირველი სამი პრიზიორი, მომავალ ჩემპიონატშიც დაიბევებს ადგილს. რახან ნაკრების თემა აქტუალურია, შეგახსენებთ, რომ **მაია ჩიბურდანიძე** და შარშანდელი ჩემპიონი **ლელა ჯავახიშვილი** ნაკრების წევრებად დამტკიცებულნი არიან; მესამე ადგილს საქართველოს ჩემპიონატი გაარკვევს, მეოთხეს პირველი აპრილიდან პირველი ოქტომბრის პერიოდში საშუალო რეიტინგით საუკეთესო ქალბატონი მიიღებს, მეხუთე ადგილს კი ნაკრების კაპიტნისა და მწვრთნელის წარდგენით საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელობა დაამტკიცებს.

ნილისყრამ პირველ ტურში ასეთი წყვილები შექმნა: **სოფიკო გურამიშვილი-მაია ლომინეიშვილი; ბელა ხოტენაშვილი-ნანა ძაგნიძე; ინგა ხურცილავა-ნინო ბაციაშვილი; სოფიკო ხუხაშვილი-ქეთი ნანალაშვილი; სოფიკო ტერელაძე-სოფიო ნიკოლაძე; სოფიო გვეტაძე-სალომე მელია; ნინო ხურციძე-ინგა ჭარხალაშვილი.** ტური ყოველდღე, 12 საათზე დაიწყება.

**ზვიად შათირიშვილი**

## კრივი



ზვიად იზორიას ბოლო ბრძოლა პესკარაში

სალიცენზიო ტურნირი

# პესკარა ნაადრევად მორჩა, დარჩა ერთადერთი შანსი

**სამწუხაროდ, იტალიის ქალაქ პესკარაში მიმდინარე ათენის ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო ტურნირი ჩვენთვის ნაადრევად დასრულდა. რვავე ქართველი ნახევარფინალამდე გამოეთიშა შეჯიბრებას.**

როგორც გუშინ გაცნობეთ, ტურნირს შემორჩენილი იყო 3 ქართველი მოკრივე. **ნიკოლოზ იზორიასა** (54 კგ) და **კახა ჟვანიას** (69 კგ) 2-2 ორთაბრძოლა ჰქონდათ მოგებული და მეოთხედფინალში უნდა ეჩხუბათ, **ლევან ლვამიჩავა** (64) კი ჯერ არ გამოსულიყო რინგზე.

იზორიამ გერმანელ **რუსტამჰოჯა რაჰიმოვთან** ოთხ რაუნდში ქულებით წააგო - 8:21. ბარემ აქვე აღვნიშნოთ ისიც, რომ პესკარაში რვავე ჩვენებური ანალოგიურად - 4 რაუნდში და ქულებით დამარცხდა.

ჟვანიამ ინგლისელ ბილი **ჯოი სანდერსს** დიდი ბრძოლა გაუმართა, მაგრამ შეხვედრის ბოლოს, ტაბლოზე 15:5 დაეწერა ბრიტანელის სასარგებლოდ. არადა, იზორიასა და ჟვანიას გუშინ ფეხი რომ არ დასცდენოდათ, ძალიან ახლოს იქნებოდნენ ლიცენზიებთან. ასეთ შემთხვევაში, მათ ნახევარფინალში დამარცხებაც უტოვებდათ შანსს. კერძოდ, მეორე ნახევარფინალისტის დამარცხება პეკინში წასვლის გარანტია იყო...

რაც შეეხება ლევან ლვამიჩავას, მას იტალიელმა **დარიო ვანგელმა** გადაუკეთა გზა მეორე წრისაკენ - 19:11.

ამრიგად, ისღა დაგვრჩენია, რომ უკანასკნელი სალიცენზიო ტურნირის იმედად დავრჩეთ. პეკინის ოლიმპიური თამაშების ბოლო საგზურები ევროპელებისათვის ათენის საერთაშორისო ტურნირზე გათამაშდება 4-14 აპრილს. იმედია, საბერძნეთის დედაქალაქში მაინც გაგვიმართლებს და პეკინის ოლიმპიადა უქართველოდ არ ჩაივლის.

**კობა ხატისაშვილი**

## რაგბი

ახალგაზრდული ნაკრები

# თვრამეტი და ოცი

**საქართველოს თვრამეტწლამდელთა და ოცწლამდელთა მორაგბეთა ნაკრები გუნდები მომავალი მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეჯიბრებისთვის მზადებას აგრძელებენ. თვრამეტწლამდელები 16 მარტიდან იტალიის ქალაქ ტრევიზოში ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებენ, ხოლო ოცწლამდელებს 15 აპრილიდან ჩილეში, მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მოუწევს ასპარეზობა. აქ, პირველი ადგილის დაკავების შემთხვევაში პატარა ბორჯღალოსნები გაისად ელიტაში იასპარეზებენ.**

გუშინ, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის სათადრიგო მოედანზე ეს გუნდები საკონტროლო მატჩში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. შეხვედრას უამრავ დაინტერესებულ პირებთან და ქომაგებთან ერთად ეროვნული ნაკრების მწვრთნელებიც **ტიმ ლეინი** და **ლევან ცაბაძეც** ადევნებდნენ თვალს.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ შეხვედრის პირველ ტაიმში უმცროსების, თვრამეტწლამდელების. უპირატესობა აშკარა იყო. იმდენად, რომ ორი წლით უფროსმა მოწინაალმდეგეებმა მათ ოცდაორმეტრიან ზონაში ერთხელაც კი ვერ შეაღწიეს. ფაქტი თავისთავად მეტყველია, თუ რა პოტენციალი გააჩნია 16-17 წლის ბიჭებით დაკომპლექტებულ ამ გუნდს. თვალში საცემი მაში დაცვაში პრაქტიკულად უშეცდომო თამაში იყო. რაც უდავოდ ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელის **პაატა ნარიმანაშვილის** დამსახურება იქნება, რომელიც სწორედ თამაშის ამ კომპონენტის სპეციალისტად ითვლება. შედეგიც სახეზეა, თვრამეტწლამდელებმა, პირველი ნახევარი მშრალი ანგარიშით 10:0 მოიგეს (ერთი ლელო, გარდასახვა და საჯარიმო).

მეორე ტაიმში **ლევან მაისაშვილისა** და **ნიკოლოზ ჭავჭავაძის** გუნდი საგრძნობლად გააქტიურდა და მოედანზე ვითარება რადიკალურად შეიცვალა. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ თვრამეტწლამდელთა მწვრთნელებმა **დიმა ობოლაძემ, ზურაბ ამონაშვილმა** და **პაატა ნარიმანაშვილმა** თითქმის ყველა მორაგბის საქმეში ხილვა გადაწყვიტეს და გუნდი მთლიანად გადახალისდა. შედეგად ოცწლამდელებმა სათამაშო უპირატესობაც იგდეს ხელთ და მეტოქეს სამი უპასუხო ლელო გაუტანეს.

ნანახის შეფასება საქართველოს ნაკრების მწვრთნელ **ტიმ ლეინს** ვთხოვეთ: **- ნაკლოვანებები უფრო მეტი დავინახე ვიდრე პოზიტიური, რაც ბუნებრივია. ასაკით ახალგაზრდა ბიჭები თამაშობდნენ და გასაკვირი არაა, რომ შეცდომები მოსდიოდათ. მომეწონა მოკლე პასებით თამაში. ძალიან ბევრი პრობლემა და სამუშაოა შერკინებასა და დერეფანში თამაშისას. ცუდია ბურთის კონტროლი. შეჯიბრებამდე ორივე გუნდს დრო ჯერ კიდევ ბევრი აქვს და მუშაობისას ყურადღება სწორედ ამ ხარვეზების აღმოფხვრაზე უნდა გამახვილდეს.**

თვრამეტწლამდელთა ნაკრები 16 მარტს პირველ შეხვედრას ინგლისის ნაკრებთან გამართავს. იტალიაში წასვლამდე კი პატარა ბორჯღალოსნები ათდღიან შეკრებას საფრანგეთში, კლერმონში გამართავენ. იქ მათ სავარაუდოდ ტიმ ლეინიც გაჰყვება და მწვრთნელებს დაეხმარება.

რაც შეეხება ოცწლამდელებს, ჩილეში გამგზავრებამდე ისინი ასევე საფრანგეთში, ტულუზში გაივლიან ორკვირიან შეკრებას.

ჯერჯერობით გადაწყვეტილი არაა, რომელ ტურნირში იასპარეზებენ ჩვიდმეტწლამდელები. გამორიცხული არაა ივლისში ამ ასაკის მორაგბეებს შორის საერთაშორისო ტურნირი თბილისში მოეწყოს. უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რუსეთის, უკრაინის, რუმინეთის, მოლდოვას და პორტუგალიის რაგბის კავშირებთან ამ ქვეყნების გუნდების მონაწილეობის თაობაზე.

**ბესიკ ჯანგავაძე**

## თარიღი

**აკაკი მეიფარიანი.** 28.02.1918, თბილისი - 31.12.1995, იქვე. ფარიკაობა (რაპირა, დაშნა). თავიდან ტანვარჯიშს მისდევდა, შემდეგ კი, 27 წლის ასაკში, საქართველოში ფარიკაობის ერთ-ერთ ფუძემდებელთან, ლევ გოლოვნიასთან დაიწყო ვარჯიში. სულ მოკლე ხანში სსრკ მოფარიკავეთა ნაკრებში შეიყვანეს. 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების მონაწილე. მომდევნო თამაშებისთვის (1956, მელბურნი) უკვე სსრკ თანამედროვე ხუთჭიდელთა ნაკრების მწვრთნელი იყო. ამ ოლიმპიადაზე გუნდი ფარიკაობაში იმდენად კარგად გამოვიდა, რომ საბჭოთა სპორტის ხელმძღვანელებმა აკაკი მეიფარიანს მელბურნშივე მიანიჭეს სსრკ დამსახურებული მწვრთნელის წოდება. საქართველოს ქალთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი (1956-69), საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფარიკაობის კათედრის გამგე (1969-74). საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

**მორის სახვაძე.** დაიბადა 28.02.1937, თბილისი. ფარიკაობა, ხმალი. კლუბებს შორის ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1967), სსრკ სამგზის ჩემპიონი გუნდურ შეჯიბრებაში (1960, 62, 64), მეორე პრიზიორი პირად (1964) და გუნდურ (1966) ჩათვლაში, სსრკ თასის მფლობელი (1963). საერთაშრისო კატეგორიის მსაჯი. იმსაჯა 1980 წლის მოსკოვისა და 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებში. 2004 წლის ათენის ოლიმპიადაზე იყო ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის მსაჯთა კომისიის დელეგატი. მსაჯად იყო მიწვეული 15-მდე მსოფლიოს ჩემპიონატზე. 1992 წლიდან ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის მსაჯთა კომისიის წევრია.

**დავით ხახალეიშვილი.** დაიბადა 28.02.1971, ქუთაისი. ძიუდო (+95 კგ). 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე (1993) და სამგზის მესამე (1991, 93, 95) პრიზიორი, ევროპის სამგზის ჩემპიონი (1993 - +95 და აბსოლუტური, 1996) და მესამე პრიზიორი (1990), სსრკ (1991), სსრკ ხალხთა X სპარტაკიადის (1991) და დსთ-ის ჩემპიონი (1992). 1996 წლის ატლანტის ოლიმპიურ თამაშებში აწონვაზე დაგვიანების გამო მოხსნეს შეჯიბრებიდან. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი სამბოში (1996, 97). ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენების კავალერი.

# გამოსათხოვარი



დღეს უკანასკნელ გზაზე ვაცილებთ ბატონ ბადრი პატარკაციშვილს, კაცს, რომელიც ბურჯად ედგა ქართულ სპორტსა და ოლიმპიურ მოძრაობას.

ბატონი ბადრი პატარკაციშვილი 2004-2007 წლებში საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი იყო. მანამადე კი სეოკ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტისა და საქართველოს ოლიმპიური ფონდის დამფუძნებლის სტატუსით გვერდში ედგა ჩვენი ქვეყნის ოლიმპიურ მოძრაობას. წარმატებები, მოპოვებული 2004 წელს ათენში, ხოლო - შემდეგ მიმდინარე ოლიმპიურ ციკლში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე, მნიშვნელოვნად იყო განპირობებული უშუალოდ მისი ძალისხმევით და თანადგომით.

როდესაც ქართულ სპორტსა და ოლიმპიურ მოძრაობას ძალზედ უჭირდა და ფაქტობრივად ყოფნა-არყოფნის მიჯნაზე იდგა, ბატონი ბადრი მას მხსნელად მოევლინა.

2002 წელს მისი ინიციატივით დაარსებულმა ოლიმპიურმა ფონდმა ქართულ სპორტს დიდი ამაგი დასდო და მრავალი სასიკეთო საქმე გაუკეთა. მარტო ის რად ღირს, რომ წლების მანძილზე სპორტსმენები, მწვრთნელები, ვეტერანი ოლიმპიელები და სპორტული ჟურნალისტები, მედიცინის მუშაკები, მრავალი ათეული ადამიანი ყოველთვიურად იღებდა ფონდის სოლიდურ სტიპენდიას.

მისი ინიციატივით მრავალი ისეთი პროექტი განხორციელდა, რომლებიც ღირსეულ ადგილს დაიკავებენ ქართულ კულტურულ მემკვიდრეობაში. მათ შორის აღსანიშნავია „ოლიმპიური ენციკლოპედია“, კრებული „სპორტი და ოლიმპიზმი ქართულ სახვით ხელოვნებაში“, 13-სერიიანი დოკუმენტური ფილმი „ათენიდან-ათენამდე“, ათეულობით წიგნი სპორტულ და ოლიმპიურ თემატიკაზე.

ბატონი ბადრი პატარკაციშვილის სახელს უკავშირდება ჩვენი სასიქადულო მამულიშვილების - XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენებისადმი მიძღვნილი დაუვიწყარი, საერთაშორისო რეზონანსის მქონე საიუბილეო ღონისძიებები, ქართველ სპორტსმენთა ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის ნახევარსაუკუნოვანი თარიღის ღირსეულად აღნიშვნა.

სამწუხაროა, და ჩვენ გულწრფელ სინანულს გამოვთქვამთ, რომ უამრავი სასიკეთო საქმის საპასუხოდ ისეთ ადამიანს, როგორიც ბადრი პატარკაციშვილია სხვადასხვა მიზეზთა გამო, ნებსით თუ უნებლიედ სპორტული სამყაროს ერთმა ნაწილმა გული ატკინა, ამაგი არ დაუფასა, მის მიმართ უმადურობა გამოიჩინა...

დიდი დაკავებულობის გამო ბატონი ბადრი იშვიათად სტუმრობდა აღმაშენებლის გამზირზე სეოკ-ის ოფისს – ყველა ოლიმპიური საკითხი მის რეზიდენციაში იხილებოდა და წყდებოდა. მაგრამ რაოდენ დაუვიწყარია სეოკ-ის თანამშრომლებთან შემდგარი შეხვედრები! თითოეული მათგანის მიმართ ის იყო ყურადღებიანი, ურთიერთობაში უბრალო, შესანიშნავად მოსაუბრე, ხალასი იუმორით.

ბატონო ბადრი, გემშვიდობებით. დიდი მადლობა იმ საქმეებისთვის, რომლებიც გააკეთეთ ქართული კულტურისა და სპორტის საკეთილდღეოდ.

მსუბუქი ყოფილიყოს თქვენთვის მშობლიური ქართული მიწა, ბატონო ბადრი!

*საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თანამშრომლები*

## თავისუფალი ჭიდაობა

# ორი მედალი ცოტაა, მაგრამ...



ზაზა თურმანიძე

გუშინ, ჭიდაობის ფედერაციაში პრესკონფერენცია გამართეს კიევიდან დაბრუნებულმა მოჭიდავეებმა. შეგახსენებთ, რომ მათ იქ გასულ უქმეებზე საერთაშორისო ტურნირში იჭიდავეს თითო ოქრო-ბრინჯაო მოიპოვეს. ჩემპიონი **გიორგი გოგშელიძე** (96) გახდა, მესამეზე კი **რევაზ მინდორაშვილი** (84) გავიდა. ნაკრების თავკაც **ზაზა თურმანიძესა** და ფედერაციის პრეზიდენტ **კახა გენაძესთან** ერთად პრესკონფერენციას ორივე მედალოსანი ესწრებოდა.

იქედან გამომდინარე, რომ თურმანიძემ კიევში პირველი ნაკრები წაიყვანა, რომელმაც ევროპის პირველობაზე უნდა იჭიდაოს, ორი მედალი ცოტაა, მაგრამ მწვრთნელი ამ შედეგით მაინც კმაყოფილია იმის გამო, რომ გუნდი უკრაინაში პირდაპირ სომხეთიდან გაემგზავრა, სადაც მაღალმთიან კურორტ ნახკაძორში იმყოფებოდნენ შეკრებაზე. იქ ბიჭები მხოლოდ ფიზიკურად ემზადებოდნენ და ლეიბზე ვარჯიში აკლდათ. თანაც, მთიდან ბარში გადანაცვლება სააკლიმატიზაციო პერიოდსაც მოითხოვს, ჩვენები კი უამისოდ, პირდაპირ ჩაებნენ ტურნირში. აქედან გამომდინარე, მწვრთნელი მისი შეგირდების მიერ ნაჩვენები ჭიდაობის ხარისხით კმაყოფილია. ექსტრემალურ პირობებში ასპარეზობის თავისებურებაზე გოგშელიძემ და მინდორაშვილმაც ისაუბრეს, თუმცა ტურნირის დადებითი გავლენაც აღნიშნეს. გოგშელიძემ კმაყოფილმა აღნიშნა, რომ იგი თანდათან იბრუნებს ძველებურ ფორმას, რის დასტურადაც ეს გამარჯვებაც გამოდგება. აღსანიშნავია, რომ იგი თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. თანაც, ნაკრები ლამის უწყვეტად იმყოფება შეკრებებზე, რამაც მას სპარინგების პრობლემა მოუხსნა. ამდენად, უნდა ვენდოთ მის სიტყვებს ფორმის დაბრუნების თაობაზე. თავად ტურნირს რაც შეეხება, ძალიან ძლიერი იყო - 30-მდე ნაკრები გამოდიოდა.

ნაკრებისთვის ეს სასტარტო ტურნირი იყო 1-6 აპრილს ფინურ ტამპერეში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად - იქ წასვლამდე ჩვენები ტურნირში არ გამოვლენ. ისინი გუშინვე გაემგზავრნენ ბორჯომში შეკრებაზე და ფინეთში წასვლამდე იქ ივარჯიშებენ.

ცხადია, მოჭიდავეთა უმთავრესი საზრუნავი ოლიმპიადაა, თუმცა, თურმანიძის განცხადებით, ამ ეტაპზე აქცენტი ევროპის ჩემპიონატზეა გადატანილი. ოლიმპიური გუნდის დაკომპლექტება სწორედ კონტინენტის პირველობის შემდეგ დაიწყება. თუმცა მანამ ლიცენზიებია საფიქრალი, რადგან შარშან გუნდმა ამ მხრივ ცოტა მოიკოჭლა - საგზურები მხოლოდ **ოთარ თუშიშვილმა** (66) და **გელა სალირაშვილმა** (74) მოიპოვეს. გენაძემაც და თურმანიძემაც გამოთქვეს იმედი, რომ წლეულს ამ პრობლემას დადებითად გადაჭრიან. ლიცენზია ევროპაზეც გაიცემა, ოღონდ მხოლოდ ერთი, ძირითადი სალიცენზიო შეჯიბრებები კი ნაევროპევს ჩატარდება. თუმცა რაღა ძირითადი, რადგან სულ 2 სალიცენზიო ტურნირია გასამართი - შვეიცარიასა და პოლონეთში. ამათგან, პირველში ლიცენზიას 4-ვე მედალოსანი მიიღებს, მეორეში - 3. აქ მესამეზე გასულები ერთმანეთში იჭიდავებენ და საგზური გამარჯვებულს დარჩება.

*ირაკლი თავაძე*

## ანტიკური ჭიდაობა

# მხოლოდ ნოზაძე გვაკლია

დღეს უნგრულ სომბათჰეიში მსოფლიო თასის გათამაშება იწყება "ანტიკურ" ჭიდაობაში, რომელშიც საქართველოს, უნგრეთის, ამერიკის, რუსეთის, ირანისა და კორეის გუნდები მონაწილეობენ. დღეს ჯგუფური ეტაპის შეხვედრები გაიმართება, ხვალ - ფინალური ორთაბრძოლები.

სამწუხაროდ, ვერაფრით გავარკვიეთ, ჩვენები ჯგუფში ვისთან მოხვდნენ, თუმცა ვიმედოვნებთ, რომ ამ ბარიერს დაძლევენ. ნაკრების თავკაცმა **ბეგი დარჩიამ** უნგრეთში ლამის ოპტიმალური შემადგენლობა წაიყვანა: **ლაშა გოგიტაძე** (55), **დავით ბედინაძე** და **რევაზ ლაშხი** (60), **ლაშა ლომაძე** და **ელიზბარ მაჭუტაძე** (66), **მანუჩარ კვირკველია** და **შმაგი სახლთხუციშვილი** (74), **ბადრი ხასაია** და **ვლადიმერ გეგეშიძე** (84), **გია მორჩილაძე** (96), **რევაზ ჭელიძე** და **გურამ ფერსელიძე** (მძიმე). მწვრთნელს ლიდერთაგან მხოლოდ ტრავმირებული **რამაზ ნოზაძე** (96) არ წაუყვანია. ეს ტურნირი საოლიმპიადო მზადების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, როგორც მისი დასრულებისთანავე იქვე, სომბათჰეიშივე გასამართი "ოქროს დიდი პრიზის" მეორე ტურნირი. მასში ჩვენი ნაკრები იგივე შემადგენლობით გამოვა.

---

ღრმა მწუხარებით შევიტყვეთ ბატონი **არკადი (ბადრი) პატარკაციშვილის**, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ყოფილი პრეზიდენტის გარდაცვალების შესახებ.ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მსოფლიო ასოციაციისა და მისი წევრების სახელით გულწრფელ სამძიმარს გიცხადებთ ამ მნიშვნელოვანი დანაკლისის გამო. ჩვენ ყოველთვის მადლიერი ვიქნებით ბატონი პატარკაციშვილის მიერ საქართველოში და მთელს მსოფლიოში ოლიმპიური მოძრაობის განვითარებაში შეტანილი უდიდესი წვლილისთვის.

გთხოვთ გადასცეთ ჩვენი სამძიმარი ბატონი პატარკაციშვილის ოჯახს.

*ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთა მსოფლიო ასოციაციის პრეზიდენტი* ***მარიო ვასკეს რანია***

---

მივიღეთ სამწუხარო ინფორმაცია - საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ყოფილი პრეზიდენტისა და საქართველოს ოლიმპიური ფონდის დამფუძნებელი პრეზიდენტის ბატონი **არკადი (ბადრი) პატარკაციშვილის** გარდაცვალების შესახებ.

გთხოვთ, სამძიმარი გამოუცხადოთ მის ოჯახს, აგრეთვე საქართველოს მთელს ოლიმპიურ და სპორტულ საზოგადოებრიობას.

*საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვიცე პრეზიდენტი, ეოკ-თა მსოფლიო ასოციაციის გენერალური მდივანი* ***გუნილა ლინდბერგი***

---

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ ბატონი ა. პატარკაციშვილის, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის (2004-2007), საქართველოს ოლიმპიური ფონდის დამფუძნებლისა და პრეზიდენტის, ცნობილი ბიზნესმენისა და ქველმოქმედის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. მისი გარდაცვალება უდიდესი დანაკლისია ევროპისა და საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობისთვის.

გთხოვთ, პოლონეთის ოლიმპიური კომიტეტის, აღმასრულებელი საბჭოსა და მთელი ჩვენი ოლიმპიური ოჯახის სახელით გულწრფელი სამძიმარი გამოუცხადოთ მის ოჯახს.

*პოლონეთის ოლიმპიური კომიტეტი პრეზიდენტი* ***პიოტრ ნუროვსკი***

*გენერალური მდივანი* ***ადამ კრუჟინსკი***

---

დიდ მწუხარებას გამოვხატავთ ბატონი **არკადი პატარკაციშვილის**, საქართველოს ეოკ-ის ყოფილი პრეზიდენტის გარდაცვალების გამო. ევროპის ოლიმპიური ოჯახის ყველა წევრს კარგად გვახსოვს თუ რა დიდ თავდადებას იჩენდა ბატონი პატარკაციშვილი პრეზიდენტობის პოსტზე ყოფნის პერიოდში საქართველოში სპორტული მოძრაობის განვითარებისთვის და რამდენად დიდი იყო მისი ძალისხმევა, რომ საქართველოს ღირსეული ადგილი დაემკვიდრებინა ოლიმპიურ ოჯახში, რაშიც განსაკუთრებული როლი შეასრულა მის მიერ დაფუძნებულმა ოლიმპიურმა ფონდმა.

ევროპის ოლიმპიური კომიტეტების სახელით გულწრფელ გულისტკივილს გამოვთქვამთ საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის მიმართ და სამძიმარს ვუცხადებთ ბატონი პატარკაციშვილის ოჯახს.

*ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტი* ***პატრიკ ჰიკი***

*გენერალური მდივანი* ***რაფაელე პანოცი***

---

სომხეთის რესპუბლიკის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და პირადად ჩემი სახელით ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ ბატონი **ბადრი პატარკაციშვილის**, სეოკ-ის პრეზიდენტის საქართველოს ოლიმპიური ფონდის დამფუძნებლისა და პრეზიდენტის მოულოდნელი გარდაცვალების გამო.

***არსენ გრიგორიანი***

*სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი*

---

სომხეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს ეოკ-ის პრეზიდენტის (2004-2007), საქართველოს ოლიმპიური ფონდის დამფუძნებლისა და პრეზიდენტის **ბატონი პატარკაციშვილის** გარდაცვალების გამო.

*პრეზიდენტი* ***გაგიკ ცარუკიანი***

---

ლიტვის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტისა და სპორტულ ფედერაციათა კავშირის სახელით ნება მოგვეცით გავიზიაროთ თქვენი უდიდესი მწუხარება ამ მძიმე ჟამს და სამძიმარი გამოვუცხადოთ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ბატონი **არკადი (ბადრი) პატარკაციშვილის**, ეოკ-ის ყოფილი პრეზიდენტის, საქართველოს ოლიმპიური ფონდის დამფუძნებლისა და პრეზიდენტის გარდაცვალების გამო.

ლიტვის ეოკ-ი სამძიმარს უცხადებს არკადი (ბადრი) პატარკაციშვილის ოჯახს.

***არტურას პავილიუნასი,*** *პრეზიდენტი*

***ვიტაუტას ზუბერნისი,*** *გენერალური მდივანი*

---

ლატვიის ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ოლიმპიური იდეალების ერთგული პიროვნებისა და ოლიმპიური ოჯახის ღირსეული წევრის **ა. პატარკაციშვილის** გარდაცვალების გამო. სამძიმარს ვუცხადებთ მისი ოჯახის წევრებს და საქართველოს მთელს ოლიმპიურ საზოგადოებას ამ უდიდესი დანაკლისის გამო.

***ალდონს ვრუბლევსკისი,*** *პრეზიდენტი*

---

უკრაინის ოლიმპიური საზოგადოებრიობის სახელით ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ **ბადრი პატარკაციშვილის** ოჯახის წევრების, ახლობლების, მეგობრებისა და კოლეგების მიმართ. მოულოდნელმა გარდაცვალებამ შეაჩერა ცხოვრება ჭეშმარიტი პროფესიონალის, უერთგულესი პიროვნების ოლიმპიური მოძრაობისა და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა 2004-2007 წლებში.

ყოველთვის უდიდეს შეფასებას ვაძლევდი მის გულწრფელ თავდადებას ოლიმპიური იდეალებისადმი და ენთუზიაზმს ძალა არ დაეშურებინა, რათა ქართველ სპორტსმენებს ღირსეულად წარმოეჩინათ ქვეყანა მსოფლიო ასპარეზზე.

სამარადისო ხსოვნა მას და მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის ქართული მიწა.

***სერგეი ბუბკა,*** *პრეზიდენტი*



მარიან ჰოსა

NHL. ტრეიდები

# ტრანსფერები მორჩა, წინ პლეი ოფია

გუშინ, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში სატრანსფერო ფანჯარა დაიხურა. NHL-ის კლუბებმა უამრავი გაცვლა განახორციელეს, რომელთაგან ყველაზე დიდი ყურადღება ხუთმა ტრეიდმა გამოიწვია.

მნიშვნელოვნად გააძლიერა შეტევითი პოტენციალი **სიდნი კროსბის** "პიტსბურგმა", რომელმაც "ატლანტადან" სლოვაკი ფორვარდი **მარიან ჰოსა** აიყვანა; ძალიან წაადგება დასავლეთი კონფერენციის მეორე გუნდს, "დალას სტარზს" ცნობილი ფორვარდი **ბრედ რიჩარდსი**, რომელიც მანამდე "ტამპაში" თამაშობდა; შესამჩნევად გაძლიერდება "სან ხოსეს" დაცვა, რადგან "ზვიგენებმა" "ბაფალოს" აწ უკვე ყოფილი კაპიტნის, **ბრაიან კემპბელის** გადაბირება შეძლეს; რუსული გუნდი ხდება "ვაშინგტონ კეპიტალზი". **ალექსანდრ ოვეჩკინსა** და **ვიაჩესლავ კოზლოვს** ცნობილი ვეტერანი **სერგეი ფიოდოროვი** შეემატა; დედაქალაქურმა კლუბმა მეკარის პრობლემაც მოაგვარა - "მონრეალიდან" **კრისტობალ იუე** დაიმატა.

ქვემოთ გთავაზობთ გუშინ განხორციელებული ყველა ტრანსფერის სრულ სიას:

| ჰოკეისტი | ძველი კლუბი | ახალი კლუბი |
|---|---|---|
| მარიან ჰოსა (ფორ) | ატლანტა | პიტსბურგი |
| პოლ გილი (მცვ) | ტორონტო | პიტსბურგი |
| ბრაიან კემპბელი (მცვ) | ბაფალო | სან ხოსე |
| ბრაიან ბუშე (მეკ) | ფილადელფია | სან ხოსე |
| ბრედ რიჩარდსი (ფორ) | ტამპა ბეი | დალასი |
| იოჰან ჰოლმკვისტი (მეკ) | ტამპა ბეი | დალასი |
| კრისტობალ იუე (მეკ) | მონრეალი | ვაშინგტონი |
| სერგეი ფიოდოროვი (ფორ) | კოლამბუსი | ვაშინგტონი |
| მეტ კუკი (ფორ) | ვანკუვერი | ვაშინგტონი |
| ალექს ჟირუ (ფორ) | ატლანტა | ვაშინგტონი |
| ჟან-სებასტიან ობენი (მეკ) | ლოს ანჯელესი | ანაჰაიმი |
| მარკ-ანდრე ბერჟერონი (მცვ) | აილენდერსი | ანაჰაიმი |
| ფრედრიკ სიოსტრიომი (ფორ) | ფინიქსი | რეინჯერსი |
| დევიდ ლენევო (მეკ) | ფინიქსი | რეინჯერსი |
| ჯოშ გრეტონი (ფორ) | ფინიქსი | რეინჯერსი |
| კრისტიან ბეკმენი (მცვ) | სენტ ლუისი | რეინჯერსი |
| ადამ ფუტი (მცვ) | კოლამბუსი | კოლორადო |
| რუსლან სალეი (მცვ) | ფლორიდა | კოლორადო |
| მაიკ სმიტი (მეკ) | დალასი | ტამპა ბეი |
| იუსი იოკინენი (ფორ) | დალასი | ტამპა ბეი |
| ჯეფ ჰალპერნი (ფორ) | დალასი | ტამპა ბეი |
| ელ მონტოია (მეკ) | რეინჯერსი | ფინიქსი |
| მარსელ ჰოსა (ფორ) | რეინჯერსი | ფინიქსი |
| ჯო მოტცკო (ფორ) | ვაშინგტონი | ატლანტა |
| ანჯელო ესპოზიტო (ფორ) | პიტსბურგი | ატლანტა |
| კოლბი არმსტრონგი (ფორ) | პიტსბურგი | ატლანტა |
| ერიკ კრისტენსენი (ფორ) | პიტსბურგი | ატლანტა |
| კარლის სკრასტინში (მცვ) | კოლორადო | ფლორიდა |
| ჩად კილგერი (ფორ) | ტორონტო | ფლორიდა |
| უეიდ ბილაკი (მცვ) | ტორონტო | ფლორიდა |
| კრის საიმონი (ფორ) | აილენდერსი | მინესოტა |
| იან პლავაჩი (ფორ) | ტამპა ბეი | ნეშვილი |
| ბრედ სტიუარტი (მცვ) | ლოს ანჯელესი | დეტროიტი |
| სტივ ბერნიე (ფორ) | სან ხოსე | ბაფალო |
| ტეო რუტი (მცვ) | ვაშინგტონი | კოლამბუსი |
| ტუომო რუუტუ (ფორ) | ჩიკაგო | კაროლინა |
| ენდრიუ ლედი (ფორ) | კაროლინა | ჩიკაგო |
| მეტ პეტინგერი (ფორ) | ვაშინგტონი | ვანკუვერი |
| მარტინ ლაპოინტი (თავ) | ჩიკაგო | ოტავა |
| ბრიუ სალვადორი (მცვ) | სენტ ლუისი | ნიუ ჯერსი |
| კემ ჯენსენი (მცვ) | ნიუ ჯერსი | სენტ ლუისი |

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ბოსტონი–ოტავა 4:0**

2:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 შ. ტორნტონი-3 (სობოტკა-3), 2:0 კრეისი-1 (მეფერი-15, ლუჩიჩი-13), 3:0 ხარა-13 (შტურმი-24, სავარი-56), 4:0 ხარა-14.

**აილენდერსი–პიტსბურგი 2:4**

0:2, 1:0, 1:2

**გოლები:** 0:1 მალკინი-36 (სიკორა-27, ტეფი-4), 0:2 ტეფი-4 (ტ. კენედი-5, ლეტანგი-10), 1:2 ნილსენი-1 (ტამბელინი-1, ფ. მეიერი-7), 1:3 ჯ. სტაალი-9 (მალკინი-48, სიკორა-28), 1:4 კ. ჯეიმსი-1 (რაიან უიტნი-22), 2:4 ფედოტენკო-15 (ვაშიჩეკი-16, ჰანტერი-26).

**ვაშინგტონი–მინესოტა 4:1**

2:0, 2:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ლეიჩი-12 (ფლიშმანი-18, იურჩინა-7), 2:0 შ. მორისონი-1 (ლეიჩი-9, ჯ. შულტცი-9), 2:1 რადივოევიჩი-4 (ბელანჟე-23, ვეილო-6), 3:1 ფერი-1 (პოტი-17, ლეიჩი-10), 4:1 ლეიჩი-13 (ფლიშმანი-19, მ. გრინი-25).

**კაროლინა–ნიუ ჯერსი 2:1 (ო)**

0:0, 1:1, 0:0, 1:0

**გოლები:** 0:1 ჯონტა-17, 1:1 სამსონოვი-8 (კ. ოკუანი-5, ტ. რუუტუ-16), 2:1 სამსონოვი 9 (ს. უოკერი-14, პედიკანი-12).

**მონრეალი–ატლანტა 5:1**

1:0, 0:1, 4:0

**გოლები:** 1:0 ლაპიერი-5 (გორჯესი-6, ბუიონი-4), 1:1 კოვალჩუკი-41 (ტ. უაიტი-23, რეკი-25), 2:1 ჰიგინსი-20 (რაიდერი-12, ს. კოივუ-34), 3:1 ჰიგინსი-21 (მარკოვი-37, ს. კოივუ-35), 4:1 მარკოვი-13 (ჰიგინსი-19, შრატიტი-34), 5:1 ს. კოსტიცინი-7 (ლატენდრესი-7, ბუიონი-5).

**სენტ ლუისი–დალასი 1:3**

1:0, 0:0, 0:3

**გოლები:** 1:0 ტკაჩუკი-20 (ბრიუერი-19), 1:1 ლ. ერიქსონი-10 (რიბეირო-46, მოროუ-36), 1:2 ი. ლეჰტინენი-11 (რიბეირო-47, მოდანო-29), 1:3 ლ. ერიქსონი-11.

**კალგარი–კოლორადო 2:3 (ო)**

1:1, 1:0, 0:1, 0:1

**გოლები:** 0:1 რ. სმიტი-12 (სვატოსი-9, ლაილსი-22), 1:1 ბოიდი-6 (ნოლანი-11, ლომბარდი-18), 2:1 რეგერი-5 (ლენგკოუ-29), 2:2 ჰეიდუკი-21 (შჩასტნი-33, ლაილსი-23), 2:3 შჩასტნი-19 (რ. სმიტი-18, ჰეიდუკი-20).

**ედმონტონი–დეტროიტი 4:3 (ბ)**

0:0, 1:0, 2:3, 0:0

**გოლები:** 1:0 გილბერტი-9 (რ. ნილსონი-20, კოლიანო-20), 2:0 სანდერსონი-3 (რისონერი-10, გილბერტი-15), 2:1 ჯ. ერიქსონი-1 (ფილპულა-13, ჰოლმსტრიომი-19), 2:2 დაციუკი-23 (სამუელსონი-24, მიჩი-3), 2:3 ფილპულა-17 (ლებდა-10), 3:3 პიზანი-8 (სტოლი-18, გილბერტი-16).

**ბულიტები გაიტანეს:** რ. ნილსონი (ედმონტონი).

ისტორიის ოქროს ფურცლები

# მისი უდიადესობა, სუპერმარიო და მისტერ ორი

**გასულ რეგულარულში "პიტსბურგის" ახალგაზრდა ვარსკვლავმა, გუნდის კაპიტანმა სიდნი კროსბიმ 120 ქულა დააგროვა, რაც პროფესიული ლიგის ისტორიაში თინეიჯერისთვის საუკეთესო მაჩვენებელი იყო. თუმცა "კიდის" (კროსბის მეტსახელი) მიღწევა ახლოსაც ვერ მიდის იმ 7 ფენომენალურ გამორჩეულ მიღწევასთან, რომელიც თავის დროზე, ქვემოთ მოყვანილმა ვარსკვლავებმა დააფიქსირეს.**

### 1. უეინ გრეცკი (ედმონტონი), 1981/82

უდიდესი სეზონი პროფესიული ლიგის მდიდარ ისტორიაში "მის უდიადესობად" წოდებულმა ფენომენმა, შეუდარებელმა **უეინ გრეცკიმ** დააფიქსირა. გრეცკი შეუდარებელი იყო - 20 წლის ვარსკვლავმა სეზონის ყველა შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და 92 (!) შაიბა გაიტანა, რასაც 120 შედეგიანი გადაცემაც დაურთო და 212 ქულით ყველა დროის რეკორდი დაამყარა, რომელიც მანვე (ქულების მხრივ) 1985/86 წლების სეზონში გააუმჯობესა.

გრეცკიმ **ფილ ესპოზიტოს** რეკორდი (76 გოლი) ერთბაშად 16 შაიბით გააუმჯობესა და 50 გოლის გატანა იმ რეგულარულის პირველ 39 (!) შეხვედრაში მოახერხა.

მიუხედავად იმისა, რომ უეინის გუნდმა იმ სეზონში სტენლის თასი ვერ მოიგო (პრიზი ბომბარდირთა სიაში 65-ქულიანი ჩამორჩენით მეორე ადგილზე გასული კიდევ ერთი ლეგენდის, **მაიკ ბოსის** "აილენდერზმა" მოიპოვა), გრეცკი უკლებლივ ყველა ინდივიდუალური პრიზის მფლობელი გახდა (ცხადია, მცველისა და მეკარის ჯილდოების გარდა) და მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენის ჯილდოც მიიღო.

### 2. ბობი ორი (ბოსტონი), 1969/70

80-იანი წლების პირველ ნახევარში "ედმონტონის" სუპერმცველი **პოლ კოფი** რეკორდს რეკორდზე ამყარებდა, რის გამოც ბევრმა სპეციალისტმა იგი ყველა დროის საუკეთესო მცველადაც კი მიიჩნია, მაგრამ ვერც კოფი და ვერც კიდევ ერთი დიდი უკანახაზელი, "ბრიუინზის" კაპიტანი **რეი ბურკი** ახლოსაც კი ვერ მივიდოდნენ მოთამაშესთან, რომელმაც მცველის თამაში უფრო მრავალფეროვანი, ძნელადპროგნოზირებადი გახადა. 1969-70 წლების სეზონამდე, ლიგის ისტორიაში მხოლოდ სამჯერ შესულა მცველი მექულეთა პირველ სამეულში (**ტომი ანდერსონი, რედ კელი** და **ბილ გედსბი**), თუმცა **ბობი ორის** შედეგი მათზე გაცილებით შთამბეჭდავი იყო. ლეგენდარულმა მცველმა რეგულარული 76 შეხვედრაში 33 ზუსტი დარტყმითა და 87 (ლიგის მაშინდელი ახალი რეკორდი) პასით ჩაამთავრა და 120 ქულით უპირველესი მექულე გახდა, ხოლო მეორე ადგილზე გასულ თანაგუნდელს, ამ სიაში ოდნავ ქვემოთ მოხსენიებულ **ფილ ესპოზიტოს** მთელი 21 ქულით გაუსწრო. ბობიმ ყველა არსებული ინდივიდუალური პრიზი მიიღო და სეზონი პლუს-მინუსის +54 მაჩვენებლით დაასრულა. მომდევნო რეგულარულში კი ორმა ყველა დროის რეკორდი დაამყარა, როდესაც +124-ით ჩაამთავრა რეგულარული.

### 3. მარიო ლემიე (პიტსბურგი), 1992/93

"სუპერმარიოს" უდიდეს კარიერაში ეს სეზონი არა მარტო სტატისტკის გამო იყო გამორჩეული. 27 წლის ლემიე ისეთ ფორმაში შევიდა, რომ **უეინ გრეცკის** 215-ქულიანი მიღწევის გაუმჯობესების შანსი მიეცა, თუმცა ლემიეს მოგვიანებით ჰოჯკინის დაავადება აღმოუჩინეს. 1993 წლის იანვარში მარიოს თამაშის შეწყვეტა მოუხდა და ორი თვის განმავლობაში მკურნალობდა. ყველასთვის მოულოდნელად, ლემიემ ამავე სეზონში შეძლო დაბრუნება და რეგულარულის ბოლო 20 შეხვედრაში 56 ქულა დააგროვა. 160 ქულით (და ეს მიუხედავად იმისა, რომ ლემიემ ორი თვე (!) გამოტოვა), იგი სეზონის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, ხოლო ლემიეს დაბრუნებამ "პიტსბურგს" ზედიზედ 17 მატჩი მოაგებინა, რაც ყველა დროის რეკორდი იყო.

### 4. ბერნი პარენტი (ფილადელფია), 1973/74

სიაში ერთადერთი მეკარე აქ მოხვედრას ნამდვილად იმსახურებს. "ფილადელფია" მთელი სეზონი 28 წლის **ბერნი პარენტმა** ათრია. რეგულარულის 78 შეხვედრიდან, მან მონაწილეობა 73 (!) მატჩში მიიღო და 47 გამარჯვება მოიპოვა, რაც შარშანდლამდე, ყველა დროის რეკორდი იყო. "ნიუ ჯერსი დევილზის" ლეგენდარულმა მეკარემ, **მარტინ ბროდომ** შარშან ეს შედეგი ერთი გამარჯვებით გააუმჯობესა, თუმცა მარტინს ოვერტაიმებისა და ბულიტების სერიაში მოგებული მატჩებიც ჩაეთვალა, რაც პარენტის დროს მხედველობაში არ მიიღებოდა. პარენტი ერთ მატჩში საშუალოდ მხოლოდ 1.89 შაიბას უშვებდა და მისმა გუნდმა თავისი დივიზიონი უპრობლემოდ მოიგო. პლეი ოფში ბერნიმ თავის გუნდს ყველა ოპონენტი დაამარცხებინა და "ფლაიერზმა" პირველად თავის ისტორიაში სტენლის თასი მოიგო.

### 5. უეინ გრეცკი (ედმონტონი), 1984/85

იმ პერიოდისთვის დიდი უეინისთვის 200 ქულის დაგროვება ჩვეულებრივ ამბად იქცა, თუმცა მის გარდა ასეთ ზღაპრულ სტატისტიკას იმ დროს (და ვერც ვერასდროს) ვერავინ აგროვებდა. გრეცკიმ ის სეზონი 73 გატანილი შაიბითა და 135 ზუსტი პასით დაასრულა, რამაც ერთობლიობაში 208 ქულა შეადგინა. არ გაინტერესებთ, რამდენი ქულით გაუსწრო უეინმა ბომბარდირთა დავაში მეორე ადგილზე გასულ თანაგუნდელ **იარი კურის**? ფინელი მას 73 (!) ქულით ჩამორჩა. მთავარი მაინც იმ წლის პლეი ოფში ნაჩვენები სტატისტიკა იყო - გრეცკიმ სტენლის თასის 18 შეხვედრაში 47 ქულა შესძინა გუნდს. სუპერსერიაში "ფილადელფიის" ("ედმონტონმა" 4:1 მოიგო) წინააღმდეგ, გრეცკიმ 5 შეხვედრაში 7 შაიბა გაიტანა.

### 6. გი ლეფლერი (მონრეალი), 1976/77

მაშინდელი "კანადიენსი" დაუმარცხებელი გუნდი იყო. მისი ლიდერი ლეგენდარული **გი ლეფლერი** გახლდათ. 56 გატანილი შაიბითა და 80 შედეგიანი გადაცემით, მან "ლოს ანჯელესის" **მარსელ დიონს** ერთბაშად 14 ქულით აჯობა და არავის გაკვირვებია, როდესაც სეზონის ბოლოს, სწორედ ლეფლერი დაასახელეს ყველა ინდივიდუალური ჯილდოს მფლობელად. "მონრელამა" ზედიზედ მეორედ მოიგო სტენლის თასი.

### 7. მარიო ლემიე (პიტსბურგი), 1988/89

მიუხედავად იმისა, რომ წინა რეგულარულში მარიომ უეინს მექულეთა სიაში გადაასწრო, ბევრმა ეს ფაქტი სერიოზულად არ აღიქვა, რადგან "მის უდიადესობას" 13 შეხვედრა ჰქონდა გამოტოვებული. აღნიშნულ რეგულარულში კი "სუპერმარიომ" 199 ქულა დააგროვა და მეორე ადგილზე გასულ და "ოილერზიდან" "ლოს ანჯელესში" გადასულ გრეცკის არც მეტი, არც ნაკლები, 31 ქულით გადაასწრო. ლემიემ 76 შეხვედრაში 85 შაიბა გაიტანა და 114 პასით ის გახდა ლიგის ისტორიაში ოდენ მესამე (გრეცკისა და ორის მერე) მოთამაშე, რომელმაც რეგულარული 100 და მეტი პასით დაასრულა. მარიოს ტრავმების გამო 4 შეხვედრა რომ არ გამოეტოვებინა, იგი ულაპარაკოდ დააგროვებდა მინიმუმ, 200 ქულას.

ზურაბ თალაკვაძე



უეინ გრეტცკი



ვენუს უილიამსი

ტურნირები

# მემფისში ფავორიტები მარცხდებიან

მემფისში მიმდინარე საჩოგბურთო ტურნირს პირველივე წრეში გამოეთიშა მისი შარშანდელი ჩემპიონი, მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, ამერიკელი **ვენუს უილიამსი**, ვინც ყველასთვის მოულოდნელად, ტურნირზე საკვალიფიკაციო ეტაპიდან მოხვედრილმა ჩეხმა თინეიჯერმა **პეტრა კვიტოვამ** დაამარცხა.

17 წლის ჩეხი პირველ სეტში თითქმის უბრძოლველად დამარცხდა, მაგრამ ამას ის არ შეუშინებია. კვიტოვამ, ვინც რეიტინგში ვენუსზე 135 საფეხურით უკანაა, საკმაოდ იოლად მოიგო მეორე სეტი და გადამწყვეტ სეტშიც ორი ბრეიკის უპირატესობით დაჯაბნა ტიტულოვანი მეტოქე, რითაც თავის კარიერაში უდიდესი გამარჯვება მოიპოვა.

*"საოცარია, მაგრამ ეს გოგო შეცდომებს იშვიათად უშვებდა და მრავალფეროვანი თამაშით ბევრ პრობლემას მიქმნიდა. თანაც, მოწოდების მიღებისთანავე, თითქმის ყოველთვის შეტევაზე გადადის და თვითონაც კარგად აწოდებს. მე კი განბილებული ვარ იმით, რომ ტურნირს ასე ადრე ვემშვიდობები"*, - განაცხადა ვენუსმა.

კვიტოვამ კი აღიარა, რომ შეხვედრის დასაწყისში ნერვიულობდა, რადგან რეიტინგის მოწინავე ათეულში მყოფ ჩოგბურთელს პირველად შეხვდა. ამის გამო, თავიდან თამაში საერთოდ არ მისდიოდა. მაგრამ პირველი სეტის წაგების შემდეგ, დაწყნარება შეძლო და საქმეც ასე გამოასწორა.

მეორე სეტის მოგების შემდეგ, კვიტოვა კიდევ უფრო გააქტიურდა, რამაც გადამწყვეტი სეტის მეხუთე გეიმში ორი ბრეიკ პოინტი მოაპოვებინა. მათგან პირველი ვენუსმა გაქვითა, მაგრამ მეორე ჩეხმა ქულად აქცია და 3:2 დაწინაურდა. კვიტოვამ ვენუსს ანგარიშის გათანაბრების შანსიც კი არ დაუტოვა. უფრო მეტიც, მეცხრე გეიმში კიდევ ერთი ბრეიკი აიღო და შეხვედრასაც ამით დაუსვა წერტილი.

*"ბედნიერი ვარ. ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე გამორჩეული მომენტია. თამაშის წინ ვიცოდი, რომ პირველ სეტში გამიჭირდებოდა, თუმცა მეორე სეტის დასაწყისშივე ვიგრძენი, რომ მოგება შემეძლო და ბედნიერი ვარ, რომ ჩემი შანსების გამოყენება შევძელი"*, - განაცხადა კვიტოვამ, ვისაც მემფისამდე ვტა-ს მხოლოდ 13 ტურნირზე აქვს ნათამაშები.

ვენუსი ერთადერთი მოწინავე განთესილი არ არის, ვინც ტურნირს პირველივე წრეში დაემშვიდობა - მეორე ნომრად განთესილი ფრანგი **ტატიანა გოლოვინი** რეიტინგში 148-ე ადგილზე მყოფ ამერიკელ **ბეტანი მატეკთან** დამარცხდა. შეხვედრის დასრულების შემდეგ, გამარჯვებულმა განაცხადა, ამ სეზონში ჩემგან კარგი თამაში სხვა ტურნირებზეც არ გაგიკვირდეთო. მანვე ავსტრალიის ღიაზე თავისი ადრეული მარცხი ავადმყოფობას დააბრალა.

ამერიკელმა თამაში შესანიშნავად დაიწყო და მალე 5:1 დაწინაურდა. გოლოვინმა გაბრძოლება სცადა და მართალია, ერთი ბრეიკის გაქვითვა მოახერხა, მაგრამ უფრო მეტი ველარ შეძლო. მეორე სეტი შედარებით თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და ამჯერადაც, მცირე უპირატესობა მატეკის მხარეს იყო.

დუბაიში მიმდინარე ტურნირი კი, ჯერჯერობით, მოულოდნელობათა გარეშე მიმდინარეობს, თუმცა სერიოზული დანაკლისი ამ ტურნირსაც აქვს - ვირუსული გრიპის გამო, ტურნირზე გამოსვლისგან თავი შეიკავა რუსმა **მარია შარაპოვამ**, ვინც ახლახანს დოჰას პირველი კატეგორიის ტურნირი მოიგო და დუბაიშიც ფავორიტად მოიაზრებოდა.

დუბაიში პირველი ბარიერი საკმაოდ ძნელად გადალახა რუსეთის **ანა ჩაკვეტაძემ**, ვისაც სამი სეტი დასჭირდა პოლონელი ამომავალი ვარსკვლავის, **აგნიეშკა რადვანსკას** დასამარცხებლად. პარიზის ჭერქვეშა ტურნირზე გამარჯვების შემდეგ, ჩაკვეტაძეს თამაში არ მოეგო. თანაც, ფორტუნამ რადვანსკას სახით მას ურთულესი მეტოქე შეახვედრა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ პოლონელი ჩოგბურთელი ამ სეზონს კარგად ატარებს - პატაიას ტურნირი მოიგო, დოჰაში კი ნახევარფინალს მიაღწია, მაგრამ ამის მიუხედავად, დუბაიში საკვალიფიკაციო ეტაპის გავლა მოუხდა.

პირველი ორი სეტი მეტოქეებმა დაინაწილეს, გადამწყვეტში კი თავიდან ჩაკვეტაძე 5:2 დაწინაურდა. მართალია, რადვანსკამ ანგარიშის გათანაბრება შეძლო, მაგრამ ჩაკვეტაძემ უმალ კიდევ ერთი ბრეიკით უპასუხა და შეხვედრასაც წერტილი დაუსვა.

## ATP

### Abierto Mexcicano Telcel

აკაპულკო (მექსიკა). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 794 000 დოლარი

**I წრე**

**დავიდ ნალბანდიანი (არგ, 1)**-ბორის პაშანსკი (სერ) 6:2, 7:5; **კარლოს მოია (ესპ, 2)**-ვერნერ ეშაუერი (ავსტრია) 6:4, 6:4; **ხუან მონაკო (არგ, 3)**-ხუან პაბლო ბრჟეჟიჩკი (არგ) 6:3, 2:6, 6:3; **გილერმო კანიასი (არგ, 4)**-კარლოს ბერლოკი (არგ) 6:4, 6:7 (5), 6:4; **ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 5)**-პაბლო კუევასი (ურუ) 7:6 (4), 6:4; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 6)**-ირჟი ვანეკი (ჩეხ) 6:1, 6:2; **ალბერტ მონტანიესი (ესპ)**-იგორ ანდრეევი (რუს, 7) 7:6 (4), 6:3; **პოტიტო სტარაჩე (იტა, 8)**-ნიკოლას ლაპენტი (ეკვ) 6:4, 6:2; **ნიკოლას მასუ (ჩილ)**-მარტინ ვასალო არგელო (არგ) 6:3, 6:4; **მარსელ გრანოლერს-პუიოლი (ესპ)**-ბრუნო როდრიგესი 6:3, 6:3; **პეტერ ლუჩაკი (ავსტრა)**-სერხიო როიტმანი (არგ) 6:3, 6:4; **ლუის ორნა (პერ)**-ფაბიო ფონინი (იტა) 6:4, 7:5; **ხოსე აკასუსო (არგ)**-ოსკარ ერნანდესი (ესპ) 6:4, 6:0; **აგუსტინ კლაერი (არგ)**-ბრუნო ეჩაგარაი (მექ) 6:4, 6:1; **ფილიპო ვოლანდრი (იტა)**-ივო მინარი (ჩეხ) 6:4, 7:5; **სანტიაგო ვენტურა (ესპ)**-სესარ რამირესი (მექ) 6:3, 6:1.

### PBZ Zagreb Indoors

ზაგრები (ხორვატია). ხალიჩა
**საპრიზო ფონდი:** 370 000 ევრო

**I წრე**

**ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 1)**-ერნესტ გულბისი (ლატ) 6:3, 7:6 (7); **სერგეი სტახოვსკი (უკრ)**-ივო კარლოვიჩი (ხორ, 2) 4:6, 7:6 (5), 6:2; **ჟილ სიმონი (საფ, 3)**-პავოლ ჩერვენაკი (სლოვაკ) 7:6 (2), 6:1; **მარინ ჩილიჩი (ხორ, 5)**-გილერმო გარსია ლოპესი (ესპ) 6:2, 6:2; **მარიო ანჩიჩი (ხორ)**-ნიკოლა მაუ (საფ, 6) 7:6 (3), 7:6 (6); **რიკ დე ვოესტი (ს. აფრ)**-ანდრეას სეპი (იტა, 7) 6:4, 7:6 (3); **დენის გრემელმაირი (გერ)**-სებასტიან დე შონაკი (საფ) 6:7 (2), 6:1, 6:4; **რობინ ჰაასე (ჰოლ)**-მიხაელ ბერერი (გერ) 6:4, 6:3; **ლოვრო ზოვკო (ხორ)**-მარკ ჟიკელი (საფ) 6:3, 7:5; **როკო კარანუშიჩი (ხორ)**-ბლაზ კავჩიჩი (სლოვენ) 6:7 (9), 6:4, 6:4; **თეიმურაზ გაბაშვილი (რუს)**-ფლორიან მაიერი (გერ) 7:6 (6), 6:0; **ვიქტორ ტროიცკი (სერ)**-გეორგე ბასტლი (შვეიც) 6:3, 7:6 (3).

### Regions Morgan Keegan

მემფისი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 769 000 დოლარი

**I წრე**

**რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 4)**-ჯესი ლევინი (აშშ) 6:1, 6:4; **სემ კერი (აშშ, 5)**-მაიკლ რასელი (აშშ) 3:6, 6:3, 7:5; **ტომას იოჰანსონი (რუს, 6)**-მარატ საფინი (რუს) 7:6 (5), 7:6 (2); **ვიქტორ ჰანესკუ (რუმ)**-იენ-ჰსუნ ლუ (ტაივ) 6:3, 2:1 ლუს უარი; **დონალდ იანგი (აშშ)**-სემ ვარბურგი (აშშ) 6:4, 6:4; **მარდი ფიში (აშშ)**-ბობი რეინოლდსი (აშშ) 6:7 (3), 6:4, 6:2; **სტივ დარცისი (ბელ)**-ვინსენტ სპეიდი (აშშ) 7:5, 4:6, 7:6 (4); **ბენჯამინ ბეკერი (გერ)**-კრისტოფ ვლიგენი (ბელ) 7:5, 7:6 (1).

## WTA

### Dubai Tennis Championships

დუბაი (საემიროები). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 1 500 000 დოლარი

**I წრე**

**ანა ჩაკვეტაძე (რუს, 6)**-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) 6:2, 2:6, 6:4; **ფრანჩესკა სიკავონე (იტა)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 7) 6:1, 6:7 (5), 6:1; **ამელი მორესმო (საფ)**-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ) 7:6 (7), 6:2; **სიბილ ბამერი (ავსტრია)**-ეკატერინა მაკაროვა (რუს) 7:6 (6), 6:3; **ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ)**-აიკო მორიგამი (იაპ) 6:3, 6:0; **ლუსი საფაროვა (ჩეხ)**-აი სუგიამა (იაპ) 1:6, 6:3, 6:2; **კატარინა სრებოტნიკი (სლოვენ)**-ნადია პეტროვა (რუს) 6:4, 6:4; **სანია მირზა (ინდ)**-ვერა დუშევინა (რუს) 7:6 (5), 6:2; **აკიკო მორიგამი (იაპ)**-აგნეს შავაი (უნგ) 6:1, 6:4.

### Regions Morgan Keegan

მემფისი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 175 000 დოლარი

**I წრე**

**პეტრა კვიტოვა (ჩეხ)**-ვენუს უილიამსი (აშშ, 1) 2:6, 6:4, 6:3; **ბეტანი მატეკი (აშშ)**-ტატიანა გოლოვინი (საფ, 2) 6:4, 6:4; **შაარ პეერი (ისრ, 3)**-აშა როული (აშშ) 6:2, 6:1; **კაროლინ ვოზნიაჩკი (დან, 6)**-მილაგროს სეკერა (ვენ) 6:0, 6:2; **მარინა ერაკოვიჩი (ახ. ზელ)**-ალინა ჟიდკოვა (რუს) 2:6, 6:3, 6:4.

**II წრე**

**ოლგა გოვორცოვა (5, ბლრ)**-რენატა ვორაკოვა (ჩეხ) 4:6, 6:4, 7:6 (5); **სოფია არვიდსონი (შვედ)**-სტეფანი დუბუა (კან) 1:6, 7:5, 6:3.

### Abierto Mexicano

აკაპულკო (მექსიკა). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 185 000 დოლარი

**I წრე**

**ალიზ კორნე (საფ, 2)**-ელენა კოსტანიჩ ტოშიჩი (ხორ) 7:5, 6:3; **კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ, 3)**-მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპ) 4:6, 6:3, 6:1; **ოლივა სანჩესი (საფ)**-მარტინა მიულერი (გერ, 4) 6:2, 6:4; **სარა ერანი (იტა, 5)**-ტატიანა მალეკი (გერ) 6:3, 6:3; **კაია კანეპი (ესტ, 7)**-არანჩა პარა სანტონხა (ესპ) 6:4, 6:3; **ედინა გალოვიტცი (რუმ, 8)**-დანიელა მუნიოს გალეგოსი (მექ) 6:1, 6:0; **პეტრა ჩეტკოვსკა (ჩეხ)**-ემილია სალერნი (არგ) 6:2, 7:5; **ივეტა ბენეშოვა (ჩეხ)**-ნადია რომა (შვედ) 6:1, 6:1; **სორანა კრისტეა (რუმ)**-ხორხელინა კრავერო (არგ) 5:7, 7:5, 7:6 (2); **მარია კორიტცევა (უკრ)**-კამილ პინი (საფ) 6:2, 3:6, 6:0.

# TV სპორტი

## 28 თებერვალი. ხუთშაბათი

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. ატ. ნასიონალი (კოლუმბია)-სან პაულუ (ბრაზილია).
15:10 ესპანეთის თასი. 1/2 ფინალი. ბარსელონა-ვალენსია. I მატჩი.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:15 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:15 გასული კვირის ჰიტ-ალბომი.
20:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:20 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
20:25 ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. ატ. ნასიონალი (კოლუმბია)-სან პაულუ (ბრაზილია).
22:10 ესპანეთის თასი. 1/2 ფინალი. ბარსელონა-ვალენსია. I მატჩი.
23:55 ესპანეთის თასი. 1/2 ფინალი. ხეტაფე-რასინგი. I მატჩი (LIVE).
01:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
02:55 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

### SPORT 1 (უკრაინა)

08:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-ბოლტონი.
09:50 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
10:03 წყლის სამყარო. ტელეჟურნალი.
10:32 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა. ტელეჟურნალი.
11:05 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი - TOP16. III ტური. მონტეპასკი-პანათინაიკოსი.
12:43 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. მონრეალი-ატლანტა.
14:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-რომა.
16:17 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
16:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
17:15 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კატანია-მილანი.
19:02 გოლფი. ტელეჟურნალი.
19:31 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
19:58 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. სამხრეთ ამერიკა.
20:55 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
21:08 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:05 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
22:35 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
22:50 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი - TOP16. III ტური. მაკაბი-რეალი (LIVE).
00:40 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
00:52 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
01:14 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
01:40 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
01:52 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
02:17 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-რომა.
04:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-ოტავა (LIVE).
06:40 ბილა. ჩემპიონთა თამაშები.
07:37 ფეხბურთი. Barca TV.
07:44 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კატანია-მილანი.

### EUROSPORT

11:30 თავგადასავალი. ტელეჟურნალი.
12:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სპრინტი. კორეა.
13:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. სპრინტი. კორეა (LIVE).
14:30 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. დუბაი. საემიროები (LIVE).
16:15 მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. გუნდური. ჯგუფური ეტაპი. III დღე. ჩინეთი (LIVE).
18:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. სპრინტი. კორეა.
19:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. დუბაი. საემიროები (LIVE).
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. დუბაი. საემიროები (LIVE).
22:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. სპრინტი. კორეა.
23:30 პროფესიული კრივი.
01:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მექსიკა.
02:00 ბრძოლა წესების გარეშე.
04:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მექსიკა.

### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. გრანადა. ესპანეთი.
14:00 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. როჩესტერი-ნიუ იორკი.
15:00 ახალი ამბები.
15:45 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. დუბაი. საემიროები (LIVE).
17:30 ფრისტაილი. მსოფლიო თასი. რუსეთი.
18:00 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. როჩესტერი-ნიუ იორკი.
17:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩები.
19:00 პული. ევროტური. მალაგა. ესპანეთი.
20:00 ბოულინგი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ფინალი. რუსეთი.
21:00 ახალი ამბები.
21:30 BMX. მსოფლიო თასი. მალაგა. ესპანეთი.
22:00 ფრისტაილი. მსოფლიო თასი. კანადა.
22:30 ახალი ამბები.
23:00 მოტოფრისტაილი. პრაღა. ჩეხეთი.
00:00 კარტინგი. ფელიპე მასას მეგობრები.
01:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. სეზონის მიმოხილვა.
02:00 ახალი ამბები.
02:15 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II ცდა. დოჰა. კატარი.
03:15 ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ამხანაგური მატჩი** | |
| პოლონეთი-ესტონეთი | 2:0 |
| **ინგლისის თასი** | |
| მიდლსბრო-შეფილდი | 0:0, დ.დ. 1:0 |
| **ესპანეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. I მატჩი** | |
| ბარსელონა-ვალენსია | 1:1 |
| **გერმანია** | |
| **1/4 ფინალი** | |
| ვოლფსბურგი-ჰამბურგი | 1:1, დ.დ 2:1 |
| ბაიერნი-მიუნხენი | 0:0, დ.დ 1:0 |
| **საფრანგეთის ლიგის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| ლე მანი-ლანსი | 4:4, დ.დ. 4:5 |
| **ჰოლანდიის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| ქუიქ ბოისი-ბრედა | 0:3 |
| **ბელგიის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| გენტი-კორტრეიკი | 4:0 |
| დენდერი-ანდერლეხტი | 1:1 |
| რუზელარე-ბეერსხოტი | 1:1 |
| სტანდარდი-სერკლი | 4:0 |
| **პორტუგალიის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| ნავალი-სეტუბალი | 1:2 |
| პორტუ-ჟილ ვისენტე | 1:0 |
| ბენფიკა-მორეირენსე | 2:0 |
| სპორტინგი-ამადორა | 1:0 |
| **შოტლანდია** | |
| აბერდინი-მოზერველი | 1:1 |
| სელტიკი-ინვერნესი | 2:1 |
| დანდი იუნ-სტ. მირენი | 1:1 |
| ფალკირკი-ჰიბერნიანი | 0:2 |
| გრეტნა-კილმარნოკი | 4:2 |
| ჰართსი-რეინჯერსი | 0:4 |
| **II დივიზიონი** | |
| ეირი-ეირდრი | 1:1 |
| **III დივიზიონი** | |
| არბროთი-ისტ სტირლინგი | 2:0 |
| ელჯინი-სტრანრაერი | 0:5 |
| **ავსტრია** | |
| ტიროლი-ავსტრია (ვ) | 1:2 |
| ლინცერი-მატერსბურგი | 2:1 |
| რაპიდი-რიდი | 4:0 |
| ზალცბურგი-ალტახი | 4:0 |
| **შვეიცარიის თასი** | |
| ბაზელი-ტუნი | 1:0 |
| ბელინცონა-ქსამაქსი | 0:0, პენ. 4:2 |
| **საბერძნეთის თასი** | |
| ქსანტი-არისი | 0:0 |
| ოლიმპიაკოსი-ირაკლისი | 2:0 |
| **თურქეთის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| ქაისერი-ოფთასი | 2:0 |
| ბეშიქთაში-რიზე | 3:2 |
| გალათასარაი-ფენერბაჩე | 2:1 |
| **პოლონეთი** | |
| **ლიგის თასი** | |
| გურნიკი-კრაკოვია | 0:1 |
| **ხორვატიის თასი** | |
| სლავენი-დინამო | 0:1 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროლიგა** | |
| მონტეპასკი-პანათინაიკოსი | 84:75 |
| ოლიმპიაკოსი-ჟალგირისი | 86:84 (ო) |
| უნიკახა-ცსკა | 72:67 |
| **ULEB-ის თასი** | |
| ვალენსია-პანიონიოსი | 82:61 |
| **ჰოკეი** | |
| **გერმანია** | |
| ჰანოვერ-ფრანკფურტი | 3:3 |
| **ფინეთი** | |
| ლუკო-ჰიფკ | 0:2 |
| **ჩეხეთი** | |
| ზნოიმო-ტრშინეცი | 1:2 |
| პლზენი-კლადნო | 6:5 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ზაგრები** | |
| გაბაშვილი-დე ვოესტი | 7:5, 6:1 |
| კუბეკი-ო. როხუსი | 2:6, 4:6 |
| ტროიცკი-სტახოვსკი | 6:7, 6:3, 4:6 |
| ტიპსარევიჩი-კარანუშიჩი | 6:3, 6:7, 6:4 |
| ლუბიჩიჩი-ზოვკო | 6:4, 7:6 |
| ჩილიჩი-ბოლელი | 4:6, 3:6 |
| **ATP. მემფისი** | |
| შტეპანეკი-სერა | 7:6, 2:6, 7:5 |
| სიოდერლინგი-ნიემაიერი | 6:2, 6:1 |
| მელცერი-დარცისი | 3:6, 6:7 |
| ჰაასი-ბეკერი | 6:3, 2:6, 5:7 |
| **WTA. დუბაი** | |
| კუზნეცოვა-საფაროვა | 6:1, 6:2 |
| ჩაკვეტაძე-საფინა | 6:7, 6:4, 6:3 |
| მორესმო-მორიგამი | 4:6, 6:1, 6:4 |
| ბამერი-სკიავონე | 3:6, 2:6 |
| იანკოვიჩი-მირზა | 4:6, 6:3, 6:4 |
| დემენტიევა-ა. ბონდარენკო | 6:2, 6:1 |
| ანენი-სრებოტნიკი | 7:5, 6:7, 6:3 |
| ივანოვიჩი-ვაიდიშოვა | 6:4, 6:0 |
| **WTA. ბოგოტა** | |
| ვოზნიაჩკი-ლარჩერდე ბრიტო | 6:2, 6:4 |
| პეერი-ჩინკი | 6:0, 3:6, 6:2 |
| ერაკოვიჩი-ლიუ | 7:5, 6:3 |
| მატეკი-გორჯესი | 4:6, 3:6 |
| დავენპორტი-როდინა | 6:1, 6:1 |



იაო ამ სეზონში სათადარიგოთა სკამზე იჯდება

NBA. ჰიუსტონ როკეტსი

# იაოსთვის რეგულარული დასრულდა

"ჰიუსტონ როკეტსი" ისეთ არაჩვეულებრივ ფორმაში იყო, ტეხასელთა ბოსები არა მარტო საპლეიოფო საგზურს, არამედ ჩემპიონობასაც კი უმიზნებდნენ. ზემძლავრი დასავლეთის ცხრილში სწრაფად პროგრესირებადმა გუნდმა უკვე ზედიზედ 13 შეხვედრა მოიგო, მაგრამ ახლა შეიძლება, რვა საუკეთესოშიც კი ვერ მოხვდეს. დასავლეთში დიდი კონკურენციაა, "ჰიუსტონს" კი სეზონის ბოლომდე საუკეთესო მექულე და მომხსნელი, ჩინელი გიგანტი **იაო მინი** გამოაკლდა, რომელსაც მარცხენა მუხლზე ქირურგიული ოპერაცია დასჭირდება და ცხადია, მინი ვარჯიშს ასეთ მოკლე დროში ვერ განაახლებს.

ჩინელს კარიერაში საუკეთესო სეზონი ჰქონდა, რაზეც მისი საშუალო სტატისტიკაც მეტყველებს - 22.1 ქულა და 10.8 მოხსნა.

რეგულარულის დასაწყისში შემადგენლობის დაბალანსების პრობლემის გადაჭრის მერე, ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **რიკ ადელმანმა** "როკეტსი" დიდებულად აათამაშა და ეს მაშინ, როდესაც **ტრეისი მაკგრეიდიმ** ათიოდე შეხვედრა სხვადასხვა მიკროტრავმების გამო გამოტოვა. მინი "ჰიუსტონის" მთავარ დამრტყმელ ძალად იქცა, ხოლო მის გვერდით კი, არგენტინელმა დებიუტანტმა **ლუის სკოლამ** ნელ-ნელა მოიხსნა NBA-ის კომპლექსი და ჩვეულად ათამაშდა.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, "როკეტსი" თებერვალში მთელს ლიგაში საუკეთესო იყო, ახლა კი გუნდმა სასწრაფოდ უნდა შეცვალოს სათამაშო სქემები, რადგან მინის გარეშე სამწამიანში ბურთის გაშვებას აზრი აღარ აქვს, მაკგრეიდი კი ძველ დროს გაიხსენებს და მოწინააღმდეგის პერიმეტრული ბომბარდირებით იჯერებს გულს.

*"იაოს სერიოზული დაზიანება აქვს მიღებული და გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, სჯობს, წლევანდელ რეგულარულსა და პლეი ოფში მოედანზე აღარ გავიდეს"*, - ამბობს "როკეტსის" ექიმი **ტომ კლენტონი**.

მინისთვის ეს პირველი სერიოზული ტრავმა არ არის. ჩინელმა ცენტრმა შარშანდელი რეგულარულის 32 მატჩი მარცხენა მუხლის ტრავმის გამო გამოტოვა, ერთი წლით ადრე კი 21 შეხვედრას დააკლდა ფეხის თითში ინფექციის შეჭრის გამო.

"როკეტსმა" იაოს გარეშე გამართული 32 შეხვედრიდან 20 მოიგო, ახლა კი სასტარტოში ბებერი **დიკემბე მუტომბოს** დაყენება მოუწევს, რომელიც მიმდინარე რეგულარულში საშუალოდ მხოლოდ 8 წუთს თამაშობს. 37 წლის კონგოელი ამ სეზონის შემდეგ კარიერის დასრულებასაც გეგმავს.

"ჰიუსტონს" ამ ეტაპზე 37 მოგება და 20 წაგება აქვს, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დასავლეთში ისეთი ბრძოლაა, რომ "როკეტსს" მინის გარეშე მეშვიდე საპლეიოფო ადგილის შენარჩუნებაც კი გაუჭირდება. იმასაც შეგახსენებთ, რომ ტრეისი მაკგრეიდის გუნდს არასოდეს გადაულახავს პლეი ოფის პირველი ეტაპი.

ზურაბ თალაკვაძე

ინტერვიუ ტიმ დანკანთან

# ჩვენი შაკი კურტ ტომასია

**ბოლოდროინდელმა ტრანსფერებმა უაღრესად დაძაბა სიტუაცია დასავლეთის კონფერენციაში, სადაც გუშინდლამდე, ერთბაშად 9 (!) გუნდი მიდიოდა 50-მოგებიანი გრაფიკით, რაც პროფესიული ზელიგის ისტორიაში რეგულარულის ამ ეტაპზე, მანამდე არასოდეს მომხდარა.**

**პაუ გასოლით გაძლიერებულმა "ლეიკრსმა", შაკით შეფერადებულმა "ფინიქსმა" და ჯეისონ კიდისა და დირკ ნოვიცკის ახალი სუპერტანდემის პატრონმა "დალასმა" ყველას აგრძნობინეს, რომ წლევანდელი პლეი ოფი მათთვის სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და სამივე გუნდის მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ჩემპიონობაა. ძალიან კარგ ფორმაშია მიჯრით 11 მატჩის მომგები "ჰიუსტონიც", მაგრამ ყველას ავიწყდება ერთი გუნდი, რომელიც იქამდე, სანამ პლეი ოფში ვინმესთან არ წააგებს სერიას, ლიგის მოქმედი ჩემპიონის სტატუსს ატარებს. საუბარია "სან ანტონიო სპურსზე", რომლის ლიდერი და კაპიტანი ტიმ დანკანი, აღნიშნულ ინტერვიუში უკანასკნელ ტრანსფერებსა და მოახლოებულ პლეი ოფზე საუბრობს.**

**- მოდით, ჯერ შაკის ტრანსფერზე გკითხავთ. რაში დასჭირდა "ფინიქსს" ონილი"?**

- შაკი ყოველთვის და ყველგან საჭიროა. ნამდვილად ვერ გეტყვით, რატომ გადავიდა იგი კონკრეტულად "ფინიქსში", მაგრამ ვერ დავეთანხმები იმას, რომ ონილი ამ გუნდს ვერ გააძლიერებს. შაკი გამოცდილების ხარჯზე ნებისმიერს დიდ ფორას მისცემს და არა მგონია, "ფინიქსმა" ინანოს მასთან თანამშრომლობა.

**- ღირდა კი ონილში შონ მერიონის გაცვლა?**

- შონი ჩემი მეგობარია და მას ახალ გუნდში ყველაფერს საუკეთესოს ვუსურვებ. როგორც შაკი გამოადგება "სანზს", ასევე შონი - "მაიამის".

**- დასავლეთში ისედაც ბევრი ძლიერი გუნდი იყო, ახლა კი რამდენიმე მათგანი აშკარად მოწყდა დანარჩენ სავარაუდო მეპლეიოფეებს.**

- მაინც, ვის გულისხმობთ?

**- იგივე "ლეიკერსი", "სანზი", "დალასი" და რა თქმა უნდა უნდა, "სპურსიც".**

- ეს გუნდები შემადგენლობით ისედაც ძლიერები იყვნენ, თუმცა გავიწყდებათ "ნიუ ორლეანი", რომელმაც ერთი თვის წინათ "ფინიქსსაც" მოუგო, ჩვენ სან ანტონიოში გადაგვიარა და ბოლოს "დალასიც" დაამარცხა. გაგახსენებთ შარშანდელ სეზონს, როდესაც "დალასი" რეგულარულში შეუდარებელი იყო, მერე კი "გოლდენ სტეიტთან" პირველივე წრეში დამარცხდა. ვერავინ იფიქრებდა, რომ დასავლეთის ფინალში "ჯაზი" გავიდოდა, მაგრამ ხომ ასე მოხდა? მოკლედ, ეს ტრასფერები ამ ეტაპზე მხოლოდ ქაღალდზეა განსაკუთრებული. მთავარი მაინც მოედანზე ხდება.

**- თითქმის ყველა გუნდის წარმომადგენელი აღიარებს, რომ როგორც კი ენდრიუ ბინუმი მოედანს დაუბრუნდება, "ლეიკერსი" საუკეთესო გუნდი იქნება. გვეთანხმებით?**

- "ლეიკერსი" ძალიან ძლიერია. კობი ბრაიანტი დღესაც ლიგის, პლანეტის უდიდესი კალათბურთელია და გასოლის ტრასფერის შემდეგ, კობის რიგ მატჩებში ენერგიის დაზოგვაც შეუძლია. პაუს გარდა კი ყოველთვის სახიფათოა დერეკ ფიშერი, ლამარ ოდომი თავისი უნივერსალიზმით გამოირჩევა და სათადარიგოების მხრივაც უნდა გამოვარჩიოთ ეს გუნდი. ასე რომ, ნამდვილად გეთანხმებით, რომ ბინუმის დაბრუნება ამ გუნდს კიდევ უფრო გააძლიერებს. "ლეიკერსი" ჩემპიონობის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია.

**- "დალასმა" დაკარგა ორი მოთამაშე - დევინ ჰარისი და დესაგანა დიოპი, რომლებიც "სპურსს" პრობლემებს უქმნიდნენ, მაგრამ დაიმატა ჯეისონ კიდი.**

- "მავერიქსიდან" ჩვენს გუნდს ყველაზე დიდ პრობლემებს ნოვიცკი უქმნის და ჯოშ ჰოვარდის ერთი-ერთზე დაჭერაც წარმოუდგენლად რთულია. კიდი გამორჩეული მოთამაშეა, რომელმაც უფრო ააჩქარა "დალასის" თამაში და დირკსაც, ისევე როგორც დანარჩენებს, უფრო იოლად მიეცემათ ქულების დაგროვების საშუალება, თუმცა ბევრი რამ იმაზეც იქნება დამოკიდებული, თუ ვინ ვის შეხვდება პირველ წრეში. არ არის გამორიცხული, თავიდანვე რამდენიმე სუპერწყვილი შედგეს.

**- სხვებმა ვარსკვლავები დაიმატეს, "სპურსმა" კი ორი საეჭვო ტრანსფერი განახორციელა. რატომ, მაინც, და მაინც, დეიმონ სტაუდმაიერი და კურტ ტომასი?**

- მოდით, შევთანხმდეთ, რომ მთელ სატრანსფერო პოლიტიკას გრეგ პოპოვიჩი აწარმოებს და უფრო კონკრეტულად ამ კითხვაზე ჩვენი მთავარი მწვრთნელი გიპასუხებთ, მე კი მხოლოდ იმას გეტყვით, რომ სტაუდმაიერი მაშინ დავიმატეთ, როდესაც ტონი პარკერი დაგვემტვრა, თუმცა დეიმონი შემდგომშიც მოგვიტანს სარგებელს. ტომასი კი "სან ანტონიოს" შაკილ ონილი იქნება. შარშან კურტმა "ფინიქსში" თამაშისას ბევრი მტკივნეული დარტყმა მომაყენა. მადლობა პოპს, რომ მან სწორედ კურტზე შეაჩერა არჩევანი.

**- მოდით, "ბოსტონთან" წაგებულ მატჩზეც ვისაუბროთ. როგორ მოახერხეთ და დათმეთ მატჩი გუნდთან, რომელსაც არ ჰყოლია გარნეტი?**

- "ბოსტონი" მარტო კევინ გარნეტით არ არის ძლიერი. პოლ პირსმა ჩვენთან შეხვედრაში მგონი, ყველაფერი ჩააგდო. ისევე, როგორც "ლეიკერსს", "სელტიქსსაც" ძალიან ძლიერი რეზერვი გააჩნია და გუნდი მშვენივრადაა დაბალანსებული. კევინს კი წარმატებას ვუსურვებ. ამ კაცმა "მინესოტას" მრავალი წლის განმავლობაში უერთგულა და რაღაც განსაკუთრებულს აშკარად იმსახურებს.

**- ჩემპიონობასაც?**

- კი, ჩემპიონობასაც. გარნეტი ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი მოთამაშეა, რომელიც ბევრი ახალგაზრდისთვის სამაგალითო სპორტსმენად და პიროვნებად რჩება. ჩემთვის დიდი პატივია, რომ წლების განმავლობაში, კევინის წინააღმდეგ თამაში მიწევდა.

ზურაბ თალაკვაძე



დანკანი და გარნეტი

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**მაიამი–საკრამენტო 107:86**

30:32, 28:20, 31:11, 18:23

**მაიამი:** მერიონი (24 ქ. 8 მ. 2 ჩ. 2 დ), ჰასლემი (17 ქ. 7 მ. 3 ჩ), უეიდი (15 ქ. 9 პ. 2 დ), ბლაუნტი (14 ქ. 9 მ. 2 დ), ბარონი (11 ქ), რ. დევისი (11 ქ), ჯ. უილიამსი (10 ქ. 9 პ. 4 მ).

**საკრამენტო:** პოუზი (16 ქ), არტესტი (14 ქ. 3 მ), კევინ მარტინი (14 ქ. 4 მ).

**ნიუ ჯერსი–ორლანდო 92:102**

23:20, 20:24, 24:26, 25:32

**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (26 ქ. 8 მ. 5 პ. 2 ჩ. 2 დ), რ. ჯეფერსონი (@0 ქ. 6 პ. 4 მ), ბუნი (12 ქ. 11 მ), ნახბარი (11 ქ. 6 მ. 5 პ), მარკუს უილიამსი (10 ქ. 8 პ. 3 მ).

**ორლანდო:** თურქოღლუ (25 ქ. 5 მ. 3 პ. 2 ჩ), რ. ლუისი (25 ქ. 6 მ. 4 პ), დ. ჰოვარდი (17 ქ. 10 მ. 2 დ), მ. ევანსი (14 ქ. 5 პ), დულინგი (14 ქ).

**მემფისი–ფინიქსი 113:127**

23:28, 30:33, 36:29, 24:37

**მემფისი:** გეი (36 ქ. 3 მ), ნავარო (23 ქ. 5 პ), უორიკი (16 ქ. 11 მ. 2 პ), მილიჩიჩი (15 ქ. 7 მ. 2 ჩ), კონლი (15 ქ. 11 პ. 2 ჩ).

**ფინიქსი:** ა. სტაუდმაიერი (25 ქ. 7 მ), ნეში (25 ქ. 13 პ), გ. ჰილი (@3 ქ. 6 მ. 2 პ), ბარბოსა (17 ქ. 4 პ. 2 ჩ), დიაო (15 ქ. 11 მ. 7 პ. 3 ჩ. 2 დ), შ. ონილი (13 ქ. 11 მ).

**მილუოკი–კლივლენდი 105:102**

25:28, 32:25, 20:27, 28:22

**მილუოკი:** მო უილიამსი (37 ქ. 7 მ. 6 პ), რედი (25 ქ. 4 პ), ბოგუტი (16 ქ. 8 მ. 2 ჩ), დ. მეისონი (11 ქ. 11 მ. 5 პ), ვილიანოვა (10 ქ. 8 მ).

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (35 ქ. 6 პ. 4 მ), მჩერბიაკი (13 ქ. 4 პ), ჯო სმიტი (12 ქ. 8 მ. 2 პ), დეიმონ ჯოუნსი (12 ქ. 5 პ), დევინ ბრაუნი (10 ქ), ბ. უოლასი (7 ქ. 11 მ).

**მინესოტა–იუტა 111:100**

27:25, 25:22, 20:25, 39:28

**მინესოტა:** ე. ჯეფერსონი (22 ქ. 10 მ. 3 დ), მაკკენტსი (22 ქ. 5 პ. 3 ჩ), გომესი (20 ქ. 11 მ. 2 ჩ), ფოიე (20 ქ. 3 ჩ), ტელფეირი (12 ქ. 4 პ. 2 ჩ).

**იუტა:** ბუზერი (34 ქ. 8 მ. 3 პ), დ. უილიამსი (18 ქ. 9 პ), ოქური (11 ქ. 11 მ. 2 ჩ), ჰარპრინგი (10 ქ).

**ჰიუსტონი–ვაშინგტონი 94:69**

24:12, 27:11, 17:26, 26:20

**ჰიუსტონი:** ჰედი (18 ქ. 5 მ. 4 პ), სკოლა (14 ქ), ალსტონი (13 ქ. 5 მ. 5 პ), ლანდრი (12 ქ. 8 მ), მაკგრეიდი (11 ქ. 6 პ).

**ვაშინგტონი:** ჯეიმისონი (18 ქ. 9 მ. 2 პ. 2 ჩ), ნ. იანგი (16 ქ. 5 მ), პეჩეროვი (11 ქ. 5 მ).

**გ. სტეიტი–სიეტლი 105:99**

27:32, 26:25, 27:17, 25:25

**გოლდენ სტეიტი:** მ. ელისი (30 ქ. 6 მ. 4 პ), ბ. დევისი (20 ქ. 10 პ. 7 ჩ), ს. ჯექსონი (17 ქ. 7 მ. 3 პ), კროშირი (14 ქ. 5 მ), მ. პიეტრუსი (11 ქ. 3 პ. 2 ჩ).

**სიეტლი:** დიურანი (21 ქ. 7 პ. 4 მ. 3 დ), ჯ. გრინი (21 ქ. 9 მ), კოლისონი (20 ქ. 13 მ. 3 პ. 2 დ), ქელაბალი (12 ქ. 7 მ), რიდნური (8 ქ. 15 პ. 6 მ. 3 ჩ).

**ლეიკერსი–პორტლენდი 96:83**

17:27, 27:24, 23:14, 29:18

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (30 ქ. 9 მ. 7 პ. 2 დ), ფარმარი (21 ქ), გასოლი (15 ქ. 10 მ. 3 დ), ვუიაჩიჩი (12 ქ. 5 მ. 2 ჩ), ოდომი (6 ქ. 11 მ).

**პორტლენდი:** ოლდრიჯი (24 ქ. 4 მ. 2 დ), ტ. აუთლო (18 ქ. 4 მ. 2 ჩ), ბლეიკი (17 ქ. 7 მ. 5 პ), უებსტერი (12 ქ. 6 მ), პრჟიბილა (4 ქ. 16 მ).

სპორტული გაზეთი
მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებელი:
შპს გაზეთი ლელო

ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონსტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56. 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995. 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა